სააკაშვილი ქართველი ნეოა A2
ვარდები რევოლუციის შემდეგ A8
"საოჯახო ტოტო" - ცხრილი B6-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 22 დეკემბერი, 2003 წელი. №329 (541) ფასი 50 თეთრი

პასუხისმგებლობა მსხვერპლს მოითხოვს

ეკა კვესიტაძე

"დიდი იმედების დრო" - ასე დაარქვეს უცხოელებმა რევოლუციის შემდგომ დღეებს. თუმცა, ეს ერთადერთი ეპითეტი არ არის, რომლითაც ეს პერიოდი ხასიათდება – ეს არის "კიდევ ერთი შანსი", "ბოლო შანსი", "ახალგაზრდა ლიდერების გამოცდა" და ასე შემდეგ.

ის, რომ ქართულ საზოგადოებას უნიკალური შესაძლებლობა მიეცა, ამაზე არავინ დავობს. მაგრამ, არც იმაზე არავინ დავობს, რომ ახალ შანსსა და შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა რეალური ღირებულება, თუ ის სათანადოდ იქნება გამოყენებული.

დღეს მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც ახალგაზრდა პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ, სწორედ ამ ახალი შესაძლებლობის ეფექტურად გამოყენებაა.

თუმცა, ეს არა მხოლოდ ახალი ლიდერებისთვისაა გამოწვევა, ეს გამოწვევაა ყველასთვის – სამოქალაქო საზოგადოებისთვის, თავისუფალი პრესისა და, ზოგადად, ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანებისთვის, რომელთაც მთელი ამ ხნის განმავლობაში დაკარგული ჰქონდათ შეგრძნება, რომ ისინი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში მთავარი მოქმედი სუბიექტები იყვნენ.

დღეს ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა აქამდე არსებული "პოსტ-სოვიეტური" ცნობიერების ძირეული შეცვლაა ანუ წარსულს უნდა ჩაბარდეს განცდა იმისა, რომ სახელმწიფო - ეს რაღაც აბსტრაქტული ცნებაა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს თითოეული ჩვენგანის ცხოვრებასთან და, შესაბამისად, სახელმწიფოსთვის მილიონების მოპარვა ცოდვად არ ითვლება.

ახალი სახელმწიფოს მშენებლობა ახალი რეალობის გაცნობიერებით უნდა დაიწყოს. ახალი რეალობა კი, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით, საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრისაგან ახალი თვისებების გამოვლინებას ითხოვს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ვოლიტიკა

წინასწარი რეგისტრაციის პროცესი გაბრძელდა

ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესმა 25 დეკემბრამდე გადაიწია. "მოსახლეობის აქტივობა ძალზე მაღალია და ყველამ რეგისტრაციის გავლა უნდა შეძლოს", - ამბობს ზურაბ ჭიაბერაშვილი

A3

ეკონომიკა

მიწის გადასახადი მორგებული უნდა იყოს ახალ პირობებსა და საჭიროებებს

ქართველი გლეხისათვის მიწის ბეგარისაგან გათავისუფლება დიდი შეღავათი იქნება, მით უმეტეს, როცა ამ გადასახადიდან ამოღებული თანხა, გლეხის ნაცვლად, მავანთა კეთილდღეობას ხმარდება.

A4

უცხოეთი

დიქტატორობა საშიში პროფესია ხდება

მსოფლიოს 192 ქვეყანას შორის 88 თავისუფალია, 55 ნაწილობრივ თავისუფალი, 49 – არათავისუფალი – ასეთ დასკვნამდე მივიდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ფრიდომ ჰაუსი", რომელიც ყოველ წელს აქვეყნებს მოხსენებას მსოფლიოს ქვეყნებში დემოკრატიისა და თავისუფლების ხარისხის შესახებ.

A5

საზოგადოება

ქართველი ხალხის ამერიკელი მეგობრები

თბილისში ცხოვრობენ ამერიკიდან ჰუმანიტარული მისიით ჩამოსული ოჯახური წყვილები. "საზოგადოებრივი განვითარების მისიონერები" - სტივ და შარ პიტერსონები და პენსიონერი მასწავლებლები - სელ და დინ ჰეკინგსები. პიტერსონები სოციალურად დაუცველ ფენებს ეხმარებიან, ჰეკინგსები კი ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს უფასოდ ამეცადინებენ.

A6

სამართალი

საეჭვო დამთხვევები

ჯერ ერთი წელი არ გასულა მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში ჩამომხრჩვალი იპოვეს 25 წლის გიორგი ბაბუნაშვილი. შაბათს დილით, იმავე იზოლატორში ასევე ჩამომხრჩვალი იპოვეს 40 წლის გიორგი ინასარიძე.

A7

ამინდი

თბილისი	7
ქუთაისი	12
ბათუმი	13
სოხუმი	11
ფოთი	12
თელავი	6
ზუგდიდი	12
გორი	5
ახმეტა	6
ჭიათურა	8
გაგრა	9
სამტრედია	12

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0900
ევრო	2.5952
გირვანქა სტერლ.	3.6895
რუბლი	0.0715

ნინო ბურჯანაძე საქართველოს საზღვრის დაცვით კმაყოფილია

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტან-ჩეჩნეთის მონაკვეთი დაათვალიერა და შემდეგ პანკისის ხეობაში ჩავიდა.

როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, საზღვრის პერიმეტრის დათვალიერება დაღესტანში განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებს უკავშირდება.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მიიჩნევს, რომ მძიმე პირობებში მუშაობის მიუხედავად, ქართველი მესაზღვრეები სადღეღამისო პატრულირებით საზღვარს აკონტროლებენ და იგი საიმედოდ არის დაცული. ბურჯანაძეს მესაზღვრეთათვის დაფინანსების გაზრდა საჭიროდ მიაჩნია.

ნინო ბურჯანაძე უშუალოდ ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ ბომბავდა რუსეთის ავიაცია დაღესტნის მთებში გამაგრებულ ჩეჩენ მებრძოლებს.

რუსეთის შეიარაღებული ძალების თითქმის სამიათასიანი სამხედრო კონტინგენტი უკვე ერთი კვირაა, რაც დაღესტნის ცუმანდინის რაიონში მოულოდნელად გამოჩენილ 60-მდე ჩეჩენი მებრძოლის განადგურებას თითქმის უშედეგოდ ცდილობს.

დღესვე ნინო ბურჯანაძე ახმეტის რაიონში მცხოვრებ ჩეჩენ დევნილებსაც შეხვდა და პირადად მოისმინა ის პრობლემები, რაც ლტოლვილებს და ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს.

ჩრდილოეთის საზღვარი ახალი ხელისუფლებისთვის კვლავაც აქტუალურია.

პანკისის ხეობაში ჩასვლისთანავე ნინო ბურჯანაძე სოფელ დუისში მოსახლეობასთან შესახვედრად გაემგზავრა. მას თან ახლდა შს მინისტრი გიორგი ბარამიძე, უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია და შინაგანი ჯარის სარდალი გოგი თათუხაშვილი. ***ინტერ-პრესი***

„მინდა, შენნაირი გამოვიდე!"

101 ოცნება დიღმის ბავშვთა სახლიდან

A6

მიხეილ სააკაშვილის ყველა საჩუქარს ბავშვთა სახლის აღსაზრდელები აღფრთოვანებით ხვდებოდნენ. ბატა გელაშვილის ფოტო

როგორ შევაჩეროთ პურზე ფასის ზრდა

პურზე ფასის ზრდა საქართველოს დღევანდელი სამეურნეო ცხოვრების მთავარი პრობლემაა. თუმცა, ეს არ არის ახალი საკითხი აღმასრულებელი ხელისუფლების და სამეურნეო სფეროს მუშაკთათვის. პრობლემას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს. მათგან პირველი და უმთავრესია ხორბლის, ფქვილის და პურპროდუქტების წარმოებაში "ჩრდილოვანი სექტორის" მაღალი ხვედრითი წილი და ერგნეთის ბაზრობიდან კონტრაბანდული იმპორტის დამაგრეველი გავლენა ადგილობრივი ფერმერების და წისქვილკომბინატების სამეურნეო საქმიანობაზე. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა კი ისაა, რომ მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობაში არსებული პარალელიზმისა და კორუფციის გამო, დღევანდელ პირობებში ამ სფეროში წესრიგის დამყარება შეუძლებელია.

ზურაბ ბარაყანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვრები ჯეროვნად ვერ კონტროლდება, ამასთან, მთელ მსოფლიოში 21-ე საუკუნე აღინიშნა საგადასახადო ტარიფების ლიბერალიზაციით, ჩვენ წარმოვადგენთ წინადადებას ხორბლის და ფქვილის იმპორტის დაბეგვრის დროებითი (ექსპერიმენტული) წესის შესახებ.

გაგრძელება A4 გვერდზე

შეძლებს თუ არა ახალი ხელისუფლება სიგარეტის ბიზნესის "გათეთრებას"?

სიგარეტის ბიზნესი საქართველოში, განსაკუთრებით - ბოლო წლების განმავლობაში, ნამდვილად გახლავთ ის სფერო, სადაც ფულის ძირითადი ნაწილი "ჩრდილში" მოძრაობს. მიუხედავად საქართველოს სხვადასხვა დროის აღმასრულებელი ხელისუფლების არაერთგზის განცხადებებისა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ბიზნესი თანდათან "თეთრდება", სიგარეტის ბიზნესიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შემომავალი თანხების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ეს ბიზნესი ისეთი ჩრდილოვანი არასოდეს ყოფილა, რამდენადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში.

თამარ ხორბალაძე

ამ აზრის გასამყარებლად საკმარისია წლების განმავლობაში ოფიციალურად მოხმარებული სიგარეტის სტატისტიკის მოყვანა: 1997 წელს საქართველოში 375 მილიონი კოლოფი სიგარეტი იბეგრებოდა ოფიციალურად, 1998 წელს - 110 მლნ კოლოფი, 1999 წელს - 163 მლნ, 2000 წელს - 130 მლნ, 2001 წელს - 138 მლნ, 2002 წელს - 161 მლნ, 2003 წელს კი, საპროგნოზო მონაცემების თანახმად, სულ 143,3 მლნ კოლოფი სიგარეტის დაბეგვრა და, შესაბამისად, მოხმარებაა ნავარაუდევი.

გაგრძელება A4 გვერდზე

სამხედრო ამბოხების აღსაკვეთად „სადამსჯელო ღონისძიებები" ტარდება

დაკავებულ სპეცრაზმელებსა და ამოღებულ სამხედრო არსენალს შორის კავშირს ძალოვანები ადგენენ

სამხედრო ამბოხების შესახებ შს მინისტრის გია ბარამიძის მიერ გაკეთებულ ხმაურიან განცხადებებს, გუშინწინ ასევე ხმაურიანი "სადამსჯელო ღონისძიებები" მიეძღვნა. მოსალოდნელი საფრთხის მთავარი მოქმედი გმირი, ბოლო რვა წლის ტრადიციის მიხედვით, კვლავ უშიშროების ექსმინისტრი, ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძეა. უშიშროების ძებნილი გენერლის ანგარიშზე უკვე მეშვიდე პოლიტიკური გადატრიალების მოწყობის მცდელობაა.

ინგა ალავიძე

პირველად იგი 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზატორობაში დაადანაშაულეს. სწორედ იგორ გიორგაძე გამოცხადდა გია ჭანტურიასა და სოლიკო ხაბეიშვილის ტერაქტებისა და გია ყარყარაშვილის მკვლელობის მცდელობის ორგანიზატორადაც; 1997 წლის ოქტომბერში, თბილისობის დღესასწაულზე დაგეგმილი ტერაქტისა და 1999 წლის მაისში განსახორციელებელი ცენტრალური ტერაქტის დამგეგმავად. იგორ გიორგაძე ახლა ახალი მოსალოდნელი სამხედრო გადატრიალების მეთაურადაა გამოცხადებული. თავის დროზე სამართალდამცველებმა თითქმის ყველა ტერორისტული აქტის შემსრულებლები დააკავეს, ყველა შემთხვევაში ისინი იგორ გიორგაძის დროს შექმნილი სპეცრაზმელები იყვნენ – ყოფილი ალფელები და ომეგელები.

გაგრძელება A7 გვერდზე

უვიზო რეისი

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

20 დეკემბერს მოსკოვის ვნუკოვოს აეროპორტში პირველად დაფრინდა რეისი №5577 ბათუმიდან. ბათუმი-მოსკოვის რეისის მგზავრთა უდიდეს ნაწილს, როგორც აღმოჩნდა, რუსეთში შემოსასვლელი ვიზები ორი-სამი კვირის წინათ ჰქონდათ ნაყიდი, ასე რომ, გამარტივებული რეჟიმის სიამე მათ არ უგრძვნიათ.

თვითმფრინავი ვნუკოვოში მოსკოვის დროით 17სთ და 35 წთზე დაეშვა. ბათუმიდან პირველ უვიზო რეისს რუსეთის ოფიციალური ტელეარხების ჟურნალისტები დახვდნენ, მაგრამ მათ ბოლომდე ვერ გაიგეს, მაინც რაში მდგომარეობს გამარტივებული სავიზო რეჟიმი. თავად მგზავრები კი მაინცდამაინც კმაყოფილები არ ჩანდნენ.

"რიგია ვეებერთელა. ვისაც ვიზები გვქონდა, მათაც ლოდინი დაგვჭირდა. ორგანიზება იყო ცუდი. ათამდე მგზავრს ვიზა ჰქონდა ვადაგასული და ისინი მებაჟეებმა დააყოვნეს, ჩვენ მარტო აეროპორტის ბეჭდები ჩაგვირტყეს," -ამბობს ბათუმელი ახალდაქორწინებული წყვილი და ქართულ პასპორტებში თბილისში მიღებულ ოცდოლარიან ვიზებს გვიჩვენებენ.

"ჩვენ კი გამოვაღწიეთ, მაგრამ ვისაც ვიზა არ ჰქონდა, იმათ კიდევ ერთი საათი მოუწევთ ყურყუტი საბაჟოზე," - ამბობს სხვა მგზავრი.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ვოლიტიკა A3 ვოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B1 ომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

„წლის პოლიტიკოსი" - მიხეილ სააკაშვილი

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში აკრედიტებულმა უცხოური მასმედიის წარმომადგენლებმა "წლის პოლიტიკოსად" დაასახელეს.

საქართველოს საერთაშორისო პრეს-ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრადიციულ წინასაახალწლო გამოკითხვაში 23 ჟურნალისტი მონაწილეობდა.

მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც 21 დეკემბერს 36 წელი შეუსრულდა, 13 ხმა მიიღო.

"ნაცმოძრაობის" ლიდერს მხარი დაუჭირეს: მარგარიტა ანთიძემ და ნიკო მჭედლიშვილმა (ორივე - როიტერი), ირინა ბარამიძემ ("კომსომოლსკაია პრავდა"), მიხეილ ჯინჯიხაშვილმა ("ასოშეიტედ პრესს"), აკაკი მიქანაძემ ("მოსკოვსკიე ნოვოსტი"), იური სიმონიანმა ("მოსკოვსკი კომსომოლეც"), მაია თოფურიამ ("ფრანს-პრესს"), თამარ ჩიქოვანმა (რადიო "სვობოდა"), თენგიზ აბლოთიამ ("ბი ბი სი"), ნუგზარ კერესელიძემ ("ტვ"), ია ბერსენაძემ ("რტრ"), ალბერტ ერემიანმა ("გაზეტა") და ვანო შლამოვმა ("რენ - ტვ").

ექვსი ხმა მიიღო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ.

მას მხარი დაუჭირეს: ქეთი ბოჭორიშვილმა და სულეიმან სულეიმანოვმა (ორივე - "ბი ბი სი"), მიხეილ რობაქიძემ ("ორტ"), მიხეილ ვიგნანსკიმ ("ვრემია ნოვოსტეი", "ეფე"), ვერა წერეთელმა ("კულტურა") და ეთერ კაკაბაძემ ("ნეზავისიმაია გაზეტა").

ორი ხმა მიიღო ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მას მხარი დაუჭირეს პაატა ყურაშვილმა ("აიფ-ნოვოსტი") და მარინა კვარაცხელიამ ("რია ნოვოსტი").

ვახტანგ ლომთაძემ ("ინტერფაქსი") მხარი დაუჭირა საქართველოში აშშ-ს ელჩს რიჩარდ მაილსს.

ირინა ჯორბენაძე ("რბკ") თვლის, რომ არავინაა ღირსეული "წლის პოლიტიკოსის" წოდებისათვის.

გამოკითხვა მეექვსედ ჩატარდა. "წლის პოლიტიკოსად" ორჯერ, 1998 და 1999 წლებში ედუარდ შევარდნაძე დასახელდა, ხოლო 2000, 2001 და 2002 წლებში, საქართველოში აკრედიტებული უცხოური მასმედიის წარმომადგენლებმა მიიჩნიეს, რომ "წლის პოლიტიკოსად" აღიარებისათვის ღირსეული ფიგურა არ ყოფილა. **პრაიმ-ნიუსი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის ამომრჩეველთათვის საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შექმნისა და ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლების შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო აუწყებს მოსახლეობას, რომ 2003 წლის 20 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით, ასევე შაბათი და კვირა დღეების ჩათვლით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, პოლიციის ქვედანაყოფებში მოქმედი მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურები იმუშავებენ გაძლიერებულ რეჟიმში და უფასოდ, გამარტივებული წესით განახორციელებენ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემას შემდეგ პირებზე:

- 18 წლის ასაკს გადაცილებულ საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც დაკარგეს პირადობის მოწმობა, ან ყოფილი სსრკ სიმბოლიკიანი პასპორტი, ან საერთოდ არ მიუღიათ ასეთი დოკუმენტები;

- საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებსაც 2004 წლის 4 იანვრისათვის უსრულდებათ 18 წელი და დღემდე არ მიუღიათ, ან დაკარგეს მიღებული პირადობის მოწმობა;

- საარჩევნო უფლების მქონე პირებზე, რომლებმაც გამოიცვალეს საცხოვრებელი ადგილი და არ ფლობენ ახალ მისამართზე ცხოვრების ფაქტის (რეგისტრაციის) დამადასტურებელ დოკუმენტს;

- საარჩევნო უფლების მქონე პირებზე, რომლებიც ფლობენ მისამართის აღმნიშვნელ გრაფაშეუვსებელ პირადობის მოწმობას, თუ მათ დაკარგული აქვთ ამ პირადობის მოწმობასთან ერთად გაცემული რეგისტრაციის მოწმობა, რომელშიც მფლობელის საცხოვრებელი ადგილი იყო მითითებული;

- საარჩევნო უფლების მქონე სხვა პირებზე, რომლებიც ფლობენ ხმარებისათვის უვარგის, ან პირადობის მოწმობას, რომლის მოქმედების ვადა იწურება 2004 წლის 4 იანვრამდე.

პირადობის მოწმობის მისაღებად მოქალაქეებმა უნდა მიმართონ საცხოვრებელი ადგილის შესაბამის საპასპორტო განყოფილებებს და წარადგინონ:

- 2 ცალი ფოტოსურათი (ფერადი, ან შავ-თეთრი) ზომებით 3,5X4,5 სმ;

- დაბადების მოწმობა (დედანი), ხოლო მისი არქონის შემთხვევაში - მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის შესაბამისი ორგანოს მიერ დამოწმებული საარქივო ამონაწერი;

- პირები, რომლებიც ცვლიან ხმარებისათვის უვარგის, ან ვადაგასულ დოკუმენტს, დაბადების მოწმობის ნაცვლად წარადგენენ ვადაგასულ დოკუმენტს.

ამასთანავე, პირები, რომლებიც პირველად იღებენ პირადობის მოწმობას, ასევე პირები, რომლებმაც შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი, რეგისტრაციაში გატარებისათვის დამატებით წარადგენენ საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს, ან საცხოვრისის მესაკუთრის წერილობით თანხმობას (დამოწმების გარეშე) საკუთრების დამადასტურებელი შესაბამისი საბუთის თანხლებით, რომელიც დაუყოვნებლივ დაუბრუნდება წარმომდგენს.

პირადობის მოწმობის მისაღებად მოქალაქე უნდა გამოცხადდეს პირადად.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებებისათვის მოქალაქეებს შეუძლიათ დარეკონ საცხოვრებელი ადგილის შესაბამის პოლიციის განყოფილებებსა და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურებში, ან შსს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნულ ბიუროში ტელეფონებზე:

34-20-88; 34-04-04; 34-33-95; 877-78-48-58; 899-55-71-79.

საჩივრებისა და პრეტენზიების შემთხვევაში მოქალაქეებს ვთხოვთ დარეკონ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე - 98-39-43; 99-53-50.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2003 წლის 24 დეკემბერს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 8 000 000 (რვა მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

გადახდის სიდიდე განისაზღვრება 8.00 პროცენტული პუნქტით.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 12 მაისს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2003 წლის 24 დეკემბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

სტალინის იუბილეს იგორ გიორგაძე "კუთხიდან უყურებდა"

ყოველ წელს ისინი სულ უფრო ცოტანი არიან.

პანტელეიმონ გიორგაძე: "იქ, სადღაც კუთხიდან იგორი იყურება".

ვასილ გულეური
გორიდან

სტალინის დაბადების დღეს, 21 დეკემბერს, გორელი კომუნისტები და მათი მხარდამჭერები ჩვეულებისამებრ, დილიდანვე შეიკრიბნენ სტალინის სახლ-მუზეუმთან, სადაც მათზე ადრე სამართალდამცავებს მოეყარათ თავი. ისინი ყველგან იდგნენ და რაოდენობით მომიტინგეებს არ ჩამორჩებოდნენ. როგორც ერთმა მათგანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ასეთი მზადყოფნა ღამის პირველი საათიდან დაუწყიათ. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ამის მიზეზი გასულ საღამოს ადგილობრივი ტელევიზიით კომუნისტების მიერ გავრცელებული განცხადება, რომ სტალინის დაბადების დღეს გორელებს სიურპრიზი ელოდათ. როგორც საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერმა პანტელეიმონ გიორგაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ეს სიურპრიზი გორში იგორ გიორგაძის სტუმრობა იყო, მაგრამ უშიშროების ყოფილი შეფი და საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი გორელებს არ დანახვებია. **"მე მას აუცილებლად შევხვდები. იგი აქ არის, ჩვენ გვიყურებს კუთხიდან და მერე სამტრედიაში წავა. თქვენ რა, ვერ დაინახეთ?** - გაკვირვებით გვკითხა პანტელეიმონ გიორგაძემ - **ხომ ხედავთ, რა ზომები მიიღეს, როგორ არიან გარშემო ბიჭები დაწყობილები, ეშინიათ, ვაითუ გადატრიალება მოვახდინოთ."**

შსს შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა: **"მე ნამდვილად არ გამაჩნია ინფორმაცია, რომ იგორ გიორგაძე გორშია, მაგრამ თუ ჩვენს თვალთახედვაში მოხვდება, აუცილებლად დავაკავებთ, როგორც ძებნილს,"** - განუცხადა მან "24 საათს". სამართალდამცავების ასეთი მზადყოფნა კი იმით ახსნა, რომ რეგიონში ანტიკრიმინალური ღონისძიებები ტარდება.

მოგვიანებით, მიტინგზე გამოსვლისას, გორელ კომუნისტთა ლიდერმა ალეკო ლურსმანაშვილმა კი სიურპრიზად ის დაასახელა, რომ სტალინის დაბადების დღე კომუნისტებმა მაინც აღნიშნეს, თუმცა ძნელი სათქმელია, რატომ იყო სიურპრიზი ის, რასაც ყოველწლიურად თანდათან უფრო ნაკლებმასშტაბურად და უღიმღამოდ აღნიშნავენ.

წლევანდელი იუბილე მართლაც არ გამოირჩეოდა არც ხალხმრავლობით და არც ღონისძიებებით. არც რაიმე ახალი უთქვამთ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 21 დეკემბერი საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეც არის და მიტინგზე ეს სახელი და გვარი სტალინის გვერდით რამდენჯერმე ახსენეს. ალეკო ლურსმანაშვილმა სააკაშვილს მიულოცა კიდეც დაბადების დღე და ისურვა, რომ მან ქართველი კომუნისტებისგან არ შექმნას მტრის ხატი, რადგან ისინი მზად არიან სათანამშრომლოდ. თავად პანტელეიმონ გიორგაძემ კი იწყინა სააკაშვილის ხსენება: **"მე ძალიან მწყინს, რომ ამ ექსტრემისტს სტალინის დაბადების დღეს მის სახლ-მუზეუმთან ახსენებენ. ის უფრო ჰგავს ახალგაზრდა ჰიტლერს, ვიდრე სტალინს."**

თავის სიტყვაში მან დღევანდელ ხელისუფლებას სტალინის "მოსაზრება" გააცნო: **"რას იტყოდა სტალინი, ცოცხალი რომ იყოს? გეტყოდათ, არ შეიძლება, მოხუცი პრეზიდენტი ასე რომ გაათრიეთ! შევარდნაძე კი არ გადადგა, არამედ გაათრიეს თავისმა ლეკვებმა. უნდა ვუთხრა დღევანდელ ხელისუფლებას - თავი დაანებეთ ქართველი ხალხის წვალებას. გამოფხიზლდით და გაიხედ-გამოიხედეთ, რა დღეშია სამშობლო. თავი დაანებეთ პატრიოტების დევნას, რეპრესიებს!"**

ტრადიციული მიტინგი ასევე ტრადიციულად დასრულდა - წითელი დროშებით და გვირგვინებით მომიტინგენი სტალინის ძეგლისკენ გაემართნენ, სადაც კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ბელადის ხსოვნას.

საააკაშვილი ქართველი ნეოა

(ემიგრანტის წერილი)

ალბათ, ახალს ვერაფერს ვიტყვი. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტს, რასაც მთელი მსოფლიოს პრესა წერს საქართველოზე, ქართულზე რომ აღარაფერი ვთქვათ. უბრალოდ, მინდა, ერთი ცხრა მთის იქით გადაკარგული ადამიანის განცდილი გაგიზიაროთ. ის, რაც გულმა და სულმა ვეღარ დაატია. სხვას, აბა, ვის ვუთხრა, თუ არა თქვენ, ჩემს სისხლსა და ხორცს? სხვა ვინ გამიგებს?

აქ ყველა მილოცავს საქართველოში მომხდარს. ვიცი, კეთილი გულით მილოცავენ, აღფრთოვანებას ვერ მალავენ. საოცრად მსიამოვნებს, გამოგიტყდებით, ცოტა ამაყადაც ვიფერებ ქათინაურებს. რატომაც არა? ჩემმა ერმა პირნათლად დაიმსახურა ეს აღფრთოვანება და მეც ხომ მისი პატარა ნაწილაკი ვარ?

მაგრამ სხვაა, როცა შენიანი გიდგას გვერდში, როცა მის მხარსა და სითბოს გრძნობ, ამ დროს ხომ სიტყვებიც აღარ არის საჭირო? სწორედ ამიტომ მშურდა იმ ხალხის, რუსთაველზე, წვიმასა და ყინვაში რომ ათენებდა და აღამებდა. მშურდა თეთრი შურით, ვიყავი ამაყი და ბედნიერი.

სიამაყე – რა დიდი ხნის დავიწყებული გრძნობაა. გაიხსენეთ, რამდენი ხანია, აღარ გვქონია ეს ერთ დროს ჩვეული, თითქმის თანდაყოლილი გრძნობა. მთელი თაობა წამოიზარდა უკვე, რომელსაც ეს გრძნობა არ განუცდია. როცა იგებდნენ, ქართველი ვიყავი, უკეთეს შემთხვევაში თანაგრძნობით ან სიბრალულით შემომხედავდნენ ხოლმე. ასეთ დროს თვალები მიბნელდებოდა და მინდოდა, მიწა გამსკდომოდა, ასე იყო! ალბათ, ბევრ თქვენგანს განუცდია იგივე. ეს ყველაფერი კი იმიტომ, რომ დაჩოქებული ქვეყნის შვილი ვიყავი. ყველას კარგად გახსოვთ, ალბათ, რუსთაველის გამზირზე დაჩოქილი ხალხი...

... და, აი, საოცრება - სულ რამდენიმე წელიწადში, ეს ერთ დროს დაჩოქილი, დამონებული, დამცირებული ხალხი, უდიდესი შინაგანი კულტურის და მორალის, ღირსების მოქალაქეთა ერთიან საზოგადოებად მოგვევლინა. ეს, ალბათ, მხოლოდ საქართველოში შეიძლებოდა მომხდარიყო. ევროპის ცივილიზაციას საამისოდ საუკუნეები დასჭირდა. ჩვენ კი, როგორც იქნა, გამოგვადგა ჩვენი ხასიათის უკიდურესობა – დაჩოქებიდან ღირსებამდე, შუალედის გარეშე. თუმცა, ვტყუი, შუალედი იყო სწორედ ის დამცირება და ტანჯვა, რომელიც ხალხმა ასეთი მოთმინებით გადაიტანა.

სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ თავს აღარ შეგაწყენთ. საქმე ყველამ თავისი უნდა აკეთოს. არც მწერალი გახლავართ და არც ჟურნალისტი, მე მსახიობი და რეჟისორი ვარ. ჩემი საქმეა, მაყურებელს ჩემი გმირების და სპექტაკლის საშუალებით ველაპარაკო სცენიდან. ჰოდა, სათქმელი რაც დამრჩა, ამ შემთხვევისთვის შემოვინახავ. იმედია, მექნება საშუალება ახალ საქართველოში. ეს კი რომ არ მეთქვა, ვერ მოვისვენებდი.

იმ საოცარ დღეებში ძალიან მინდოდა, ხმა მიმეწვდინა ყინვაში მდგარი ხალხისთვის. ინტერნეტის საშუალებით ვუყურებდი "რუსთავი 2"-ს. შეუძლებელი აღმოჩნდა რედაქციისთვის ტელეფონით დაკავშირება. ელექტროფოსტაც უკან დამიბრუნდა, ყუთი გადატვირთულიაო. ბოლოს, როგორც იქნა, მთელი ღამის წვალების შემდეგ, ფაქსი გაიგზავნა. სულ ორი აბზაცი იყო, რედაქციას უღრმესად ვთხოვდი, წაეკითხათ ეთერში. სამწუხაროა, რომ ვერ მოხერხდა. თუმცა, მაშინ ვის ეცალა ჩემი წერილისთვის, ან ისეთს რას შემატებდა იმას, რაც იქ ხდებოდა? თუმცა, რა ვიცი? ამბობენ, ზღვა წვეთით არისო.

ამ წერილში პოლიტიკაზე და პოლიტიკოსებზე სპეციალურად არაფერს ვწერ.

უდავოა, რომ ქართველმა ხალხმა დაიმსახურა კეთილსინდისიერი, ხალხზე და ქვეყანაზე მზრუნველი მთავრობა. ისიც ფაქტია, რომ დაბრუნებულ ღირსებას ხალხი აღარავის გაათელინებს. დანარჩენი კი მომავალში გამოჩნდება. ვნახოთ, ამას დრო სჭირდება.

მაგრამ, ერთი მაინც მინდა გითხრათ. მთელი იმ დღეების განმავლობაში, ჩემი უმცროსი ბიჭი გაფართოებული თვალებით უყურებდა საქართველოში მომხდარს. ასეთი სერიოზული არასოდეს მინახავს. უფროსმა კი თავისი აღფრთოვანება მიხეილ სააკაშვილის მისამართით ასე გამოხატა: სააკაშვილი ქართველი ნეოა (ცნობილი ამერიკული ტრილერის, "მატრიცა"-ს გმირი). ღმერთმა ქნას! ღმერთმა ქნას, რომ ჩემს ბიჭებს ისეთ საქართველოში ეღირსოთ ცხოვრება, სადაც კანონი თავისუფლება იქნება, თავისუფლება კი - კანონი.

ირაკლი აფაქიძე
ამსტერდამი. 11.12.03

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიმართვა მიხეილ სააკაშვილს

ბატონი მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისადმი გაკეთებული მიმართვის პასუხად, გამოვხატავთ მზადყოფნას, შევიტანოთ წვლილი ახალი საქართველოს მშენებლობაში.

დღეს, როდესაც საზოგადოებაში გაჩნდა იმედი უკეთესი მომავლისა, არავის აქვს უფლება, წაართვას ხალხს გამარჯვებისა და შესაძლო წინსვლის შეგრძნება.

ერის გადარჩენის ერთადერთ გზად და უპირველესად განსახორციელებელ ღონისძიებად მიგვაჩნია სახელმწიფო სტრუქტურების დაკომპლექტება პატიოსანი, საკუთარი საქმის მცოდნე, ეროვნულად მოაზროვნე მოქალაქეებით. უნდა შეიქმნას მძლავრი ზეპარტიული, პატრიოტული ბირთვი, რომელიც იკისრებს პასუხისმგებლობას თანამედროვეობისა და შთამომავლობის წინაშე.

მოგეხსენებათ, რომ დღეს-დღეობით რუსეთის ტერიტორიაზე ასიათასობით ქართველი ცხოვრობს. ყოველწლიურად ათობით ღირსეული ახალგაზრდა წარჩინებით ამთავრებს რუსეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს. როდესაც მათ წინაშე დგება დასაქმების საკითხი, საქართველოში კარიერული პერსპექტივის გაურკვევლობასა და რუსეთში სტაბილურ წინსვლას შორის, სამწუხაროდ, იძულებულნი არიან, აირჩიონ მეორე ვარიანტი. შედეგად, საქართველო კარგავს სტრატეგიულ საკადრო რესურსს, ვკარგავთ "თერგდალეულებს."

ჩვენი საზოგადოება, რომელიც აერთიანებს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე, მოსკოვში მოღვაწე საქართველოს ახალგაზრდობის ჯანსაღ, ეროვნულ ძალებს, მზადაა შეარჩიოს და სახელმწიფო სტრუქტურების წინაშე რეკომენდაცია გაუწიოს იმ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც პატიოსანი შრომით მყარ საფუძველს ჩაუყრიან ქვეყნის ხვალინდელ აღმშენებლობას.

გვჯერა რა, რომ თქვენი ხელისუფლებაში მოსვლით სახელმწიფო აპარატში მოირღვევა მხოლოდ თანამდებობების გადაცვლის და კორუმპირებული პირების უცვლელობის ძირგამომთხრელი პრინციპი და, რომ მზად ხართ რეალური, არა-ექსპერიმენტული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებებისათვის, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი წერილი არ დარჩება უპასუხოდ.

საზოგადოების სახელით,
მ. ლომონოსოვის სახელობის
მოსკოვის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასპირანტი,
საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს
ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან
ინტეგრაციის
დეპარტამენტის ოფიცერი
სერგი არაბული

ორი სიტყვით

თბილისი. ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი ელდარ შენგელაია 1999 წლის მოწვევის პარლამენტის იმ დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას ითხოვს, რომლებიც სხვადასხვა თანამდებობებზე დაინიშნენ. ესენი არიან - გია ბარამიძე, ჯემალ გოგიტიძე, რომან დალაქიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, ლადო ჭიპაშვილი, ვახტანგ აბაშიძე და მარინა მოლოდინი. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

ზუგდიდი. ზუგდიდში, "ნაციონალური მოძრაობის" ზუგდიდის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის ლექსო ჯიქიას ინიციატივით, "საზოგადოებრივი დარბაზი" დაფუძნდა. დამფუძნებელ სხდომას ესწრებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ღერი ჭითანავა. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივ საკონტროლო კომისიას ახალი თავმჯდომარე ეყოლება. ირაკლი მაჭავარიანს, რომელიც, ამავე დროს, სახელმწიფო კანცელარიაში არსებულ შესაბამის სამსახურს ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოადგილე ლალი მოროშკინა შეცვლის. თავად სახელმწიფო კანცელარიის სამსახურიც ამ სამინისტროს სტრუქტურული ერთეული გახდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დაღესტნის მთიან რაიონებში დღეიდან განახლდა იმ ჯგუფის წევრთა ძებნა, რომლებიც გასულ კვირას წუნთის რაიონში თავს დაესხნენ რუს მესაზღვრეებს. საგულდაგულოდ მოწმდება წუნთის, ცუმადინისა და თლიარათა რაიონების დასახლებული პუნქტები. რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, ძებნაში ავიაცია ვერ მონაწილეობს. არტილერიამ ბოევიკების სავარაუდო ადგილსამყოფელზე რამდენიმე დარტყმა განახორციელა. წინასწარი მონაცემებით, განადგურებულია 10 მათგანი, ოთხის გვამი უკვე აღმოაჩინეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თურქულმა მშრალმზიდმა „ექსპრესი" რუსეთის შავი ზღვის ნავსადგურ ტუაფსესთან კატასტროფა განიცადა. გემის კორპუსი ივსება წყლით, ეკიპაჟი კი რუსი მაშველების მიერ უკვე ევაკუირებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. როგორც პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი აცხადებს, ფლობს სარწმუნო ინფორმაციას, რომ თბილისსა და ბათუმს შორის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საარჩევნო უბნების გახსნის საკითხზე მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, ხოლო ამ პროცესის შედეგები იმის მტკიცების საფუძველს იძლევა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს არ გამოუცხადებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

დუშეთი. დუშეთის რაიონის ყოფილი გამგებელი გოდერძი ბერბერაშვილი კვლავ აგრძელებს მოვალეობის შესრულებას. როგორც მან განაცხადა, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან და, მისი ინფორმაციით, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე გააუქმებს განკარგულებას დუშეთის რაიონის გამგებლად ირაკლი ბურდულის დანიშვნის შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი ვასილ მაღლაფერიძე 1999 წლის მოწვევის პარლამენტს არასრულფასოვანს უწოდებს და საპარლამენტო არჩევნების დროულად გამართვას მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური მოძრაობის "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე ადასტურებს "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, "მრეწველებისა" და "ახლების" მოსალოდნელ გაერთიანებასთან დაკავშირებით. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

თბილისი. დღეიდან საარჩევნო უბნებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო სამსახურების წარმომადგენლები ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე მუშაობას კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით დაიწყებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესმდივნის შალვა ლონდარიძის განცხადებით, ჩრდილოეთ კავკასიის სასაზღვრო ძალების შტაბიდან მათ რაიმე ოფიციალური შეტყობინება არ მიუღიათ იმის შესახებ, რომ დაღესტნის მთიან რაიონებში ლიკვიდირებულ ჩეჩენ მეამბოხეებს საქართველოში გაცემული ვიზები აღმოაჩნდათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 1999 წლის მოწვევის პარლამენტში ახალი ფრაქცია "თავისუფლება" შეიქმნება, რომელსაც სათავეში ფრაქცია "აღორძინების" ყოფილი წევრი სანდრო ბრეგაძე ჩაუდგება. იგი დაშლილი ფრაქციების - "21-ე საუკუნის" და "აღორძინების" ბაზაზე იარსებებს და მასში 12 დეპუტატი გაერთიანდება. ***ინტერ-პრესი***

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მერიდიანი

საზღვრის მოჩვენებები

მსვლელობა დაღესტანში ბერეზოვსკის ორგანიზებულია?

"ჩვენი ამოცანა უცვლელი რჩება – არ დავუშვათ ბოევიკების შეღწევა საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, - აღნიშნა "მკ"-სთან სატელეფონო საუბარში პოლკოვნიკმა სერგეი ლივანცოვმა, რომელიც ჩრდილოკავკასიის რეგიონალური სამმართველოს უშიშროების სასაზღვრო სამსახურს წარმოადგენს, – ერთი კვირაა არლუნის, ხუნძახის და ახტინის სასაზღვრო მონაკვეთები გაძლიერებულად კონტროლდება."

თუ რუკას დავაკვირდებით, საგუშაგოები გაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, კავკასიის მთავარი ქედის გასწვრივ. არლუნელების კონტროლქვეშაა საქართველო-ჩეჩნეთის საზღვრის მონაკვეთი, ხუნძახის რაზმს საქართველო-დაღესტნის საზღვრის დაცვა ევალება, ახტინელები კი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს დარაჯობენ, თუმცა მესაზღვრეები სიტუაციას აკონტროლებენ არა მარტო ამ მონაკვეთებზე. მათ კონტროლქვეშაა მთელი სასაზღვრო ზოლი. ისინი ამბობენ, რომ ბანდიტებისთვის ყველაზე "მოხიბლავი გზა" პანკისისკენ მიმავალი საიდუმლო ბილიკებია.

საქართველოში ბოევიკებს ჯერ არ შეუღწევიათ, თუმცა ხუთშაბათს, ღამე, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა დაახლოებით 20-25 ბოევიკი მდინარე კუსას სათავეებთან ნახეს, რამდენიმე მათგანი დაჭრილიც კი ყოფილა. ბოევიკები ერომანეთს ჭრილობებს უხვევდნენ. სოფელ თლიცუდასთან წვეროსნებმა სურსათის მარაგი შეიტანეს და გზა ჩეჩნეთისკენ გააგრძელეს. გუშინ, დილით, სოფელ საგადასთან მდებარე "მოკოხის" საგუშაგოზე, სასაზღვრო ვერტმფრენმა ოთხი ბოევიკის ცხედარი ჩამოასვენა. ბოევიკების განადგურება მესაზღვრეებმა ჰაერიდან შეძლეს.

სამხედროები ამტკიცებენ, რომ ცუნტინის რაიონი მთლიანად ბლოკირებულია, თუმცა მაინც გრძელდება ბუნიასკიდან 136-ე მოტომსროლელი ბრიგადის ქვედანაყოფების მთებში გადასროლა. სამხედრო ფორმირებას სათავეში თავად ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელი, არმიის გენერალი ვლადიმერ ბოლდირევი ჩაუდგა.

მიუხედავად ყველაფრისა, მოსკოვი არ მალავს აშკარა უკმაყოფილებას ჩატარებული ოპერაციის გამო.

■ ■ ■

"მკ" დაუკავშირდა დაღესტნის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელის მოადგილეს ანჟელა მარტიროსოვას. აი, რა გვიამბო მან:

- სოფელ შაურში მოვლენები ასე განვითარდა: სასაზღვრო საგუშაგოს ხელმძღვანელისთვის ბოევიკებს თავი არ მოუჭრიათ. ყველა მესაზღვრე (მათ შორის - კაპიტანი ხალილოვი) საბრძოლო შეტაკებისას დაილუპა. ბოევიკებმა ყელის არეში დანით მიაყენეს ჭრილობა ჯარისკაც-კონტრაქტორ მაგომედ ჰუსეინოვს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჰუსეინოვმა უარი განაცხადა ბოევიკების გადაყვანაზე საკუთარი მანქანით.

სხვათაშორის, გათავისუფლებული მძევლები აცხადებენ, რომ ბოევიკებს მიზნად ჰქონდათ საქართველოში, კოდორის ხეობაში შეღწევა.

რედაქციისგან: მძევლების ნათქვამი ძალიან უცნაურად ჟღერს, რადგან კოდორის ხეობა დაღესტნის სრულიად საწინააღმდეგო მხარეს მდებარეობს. შესაძლოა, ან მძევლებს, ან დაღესტნის შსს-ს თანამშრომლებს შეეშალათ და მათ მხედველობაში ჰქონდათ არა კოდორის, არამედ პანკისის ხეობა. ამავე დროს პანკისისკენ მიმავალი უღელტეხილი მართლაც ახლოა დაღესტნის ცუნტინის რაიონთან და მისი გავლით შესაძლოა, მოხვდე საქართველოში, ალაზნის ველზე.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ბოევიკები სწორედ აფხაზეთისკენ, კოდორის ხეობისკენ მიემართებოდნენ. საკმარისია, გავიხსენოთ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის მიერ ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადებები. ისინი აცხადებდნენ, რომ შესაძლოა, განმეორდეს 2001 წლის შემოდგომაზე განვითარებული მოვლენები. როგორც გახსოვთ, მაშინ გელაევმა, თავის რაზმთან ერთად, პანკისის ხეობიდან კოდორში შეასრულა რეიდი.

ზოგიერთებმა დაღესტნის მოვლენები ბერეზოვსკის საქართველოში ვიზიტს დაუკავშირეს. მათი აზრით, კოდორის ხეობაში ბერეზოვსკის "დახმარებით" მზადდება პროვოკაცია. სწორედ ამ პროვოკაციაში მონაწილეობის მისაღებად მიემართებოდნენ ბოევიკები დაღესტნიდან საქართველოში.

"მოსკოვსკი კომსომოლეცი"

შაშიაშვილის თხოვნა თეთრ გიორგის

სოფო ბუკია

"თუ კახეთს მთელი არსებით არ გრძნობ, ქართული ყაიდის პოლიტიკოსი არ ხარ. თუ სტუდენტობის მაჯისცემას ვერ გრძნობ, პოლიტიკაში არ უნდა იყო. თუ ქართული სიწმინდეები ძალას არ გაძლევს, შეგიძლია გააკეთო დასკვნა, რომ ქართველი არა ხარ," – ამ და სხვა ამაღლებული თემებისა და ლირიკული გადახვევების პარალელურად, იმერეთის ყოფილ გუბერნატორს, რომელმაც გუშინდელი ბრიფინგი კახეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მიუძღვნა, თავისი ოპონენტის მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეც არ დავიწყებია.

"დღეს მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეა, მინდა მივულოცო მას," – ღიმილით აღნიშნა ყურადღებიანმა შაშიაშვილმა, თუმცა "სააკაშვილს მიზნების ასრულებას ვულოცავო", არ დასცდენია.

კახეთში მოწყობილი საოჯახო წინასაარჩევნო ექსკურსია ბატონ შაშიაშვილისთვის ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. **"სასიხარულოა, რომ კახეთში ბედობა დღეს ვიყავი, კახეთში ყოფნა დამებედა. სიღნაღში ჩემი მეუღლის დიდი პაპის სახლში ვიყავი, ახმეტაში**

შაშიაშვილის აზრით, პოლიტიკური პროსტიტუციის ეპოქაში ვცხოვრობთ.

კი ის ტაძარი ვინახულე, სადაც რამდენიმე წლის წინ ბიჭი შევთხოვე ღმერთს და თეთრ გიორგის. როდესაც ბიჭი შემეძინა, იქ მოვნათლე და დავარქვი სახელი გიორგი," – ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ამჯერად რა თხოვნა მიიღო თეთრმა გიორგიმ ორი შვილის მამის თემურ შაშიაშვილისგან.

ბრიფინგის ბოლოს შაშიაშვილმა ქართული პოლიტიკისთვისაც მოიცალა და აღნიშნა, რომ ძალიან შეშფოთებულია დღევანდელი ვითარებით.

"გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, დამარცხებულებს არ სცემენ" - ეს ცნობილი გამოთქმაა, მაგრამ დღეს მას ჩვენთან არავინ იცავს. პირიქით, გამარჯვებულები დამარცხებულებს სასტიკად ექცევიან. დიქტატი და სერიოზული პარტიული ძალადობაა გამეფებული," – აცხადებს იგი.

შაშიაშვილს გუშინ კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, თუმცა, გულისტკივილით აღნიშნა, რომ ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერთა 90 პროცენტი დღევანდელი ხელისუფლების ბანაკში გადაბარგდა. მისი თქმით, ძველი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას აიძულებენ კიდეც. **"სამწუხაროა, მაგრამ პოლიტიკური პროსტიტუციის ეპოქა დადგა,"** – ასკვნის იგი. დღეს პრეზიდენტობის ქუთაისელი კანდიდატი რუსეთის ელჩს ვლადიმერ ჩხიკვიშვილს შეხვდება. ჩხიკვიშვილთან ერთსაათიანი საუბრით შაშიაშვილი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრებს იწყებს. როგორც გუშინდელ ბრიფინგზე ითქვა, ამის სურვილი თავად ელჩებს გამოუთქვამთ. აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებს შაშიაშვილი სამშაბათს მშობლიურ ქუთაისში შეხვდება.

პასუხისმგებლობა მსხვერპლს მოითხოვს

პირველი გვერდიდან

ბიზანტიური ტიპის სასახლის კარისა და ინტრიგების პოლიტიკა - ეს უკვე წარსულის კუთვნილებაა. სააკაშვილის მაგალითმა ნათლად აჩვენა, რომ საჯარო, სახალხო პოლიტიკა ყველაზე ძლიერი ბერკეტია, რომელიც ნებისმიერ კულუარულ პოლიტიკას ამარცხებს. სახელმწიფო კანცელარია, რომელიც აქამდე ინტრიგების ხლართვის მთავარ ბუდედ ითვლებოდა, ბოლომდე საჯარო ინსტიტუტად უნდა იქცეს და ამისათვის გაცილებით მეტი რამაა გასაკეთებელი, ვიდრე მხოლოდ სიმბოლური ნაბიჯის გადადგმა და შენობისათვის რკინის ღობის მოხსნა.

კულუარული პოლიტიკა ის ყველაზე საშიში იარაღია, რომელიც ახალგაზრდა ლიდერების ერთიანობას ემუქრება. ძველი ხერხებით "მუშაობის" ჩვეულება ქვედა რგოლებში, ბუნებრივია, ერთ დღეში არ შეიცვლება, მაგრამ რამდენად დომინანტური იქნება მსგავსი პოლიტიკა, ეს, პირველ რიგში, თითოეულ ლიდერზე - ბურჯანაძეზე, ჟვანიასა და სააკაშვილზე, მათ ნებაზე და სიმტკიცეზეა დამოკიდებული.

ერთიანობის შენარჩუნება და საჯარო, გამჭვირვალე პოლიტიკის წარმოება უპირველესი და აუცილებელია იმ წარმატების მისაღწევად, რომელსაც ახალი ხელისუფლებისაგან მთელი მსოფლიო და, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობა ელის. ამ ერთიანობას საფრთხე რაიონში გამგებლის თანამდებობისთვის დაწყებული წვრილმანი ინტრიგებისა და გაუგებრობების გამო არ უნდა დაემუქროს.

ახალი რეალობა ახალი ტიპის პასუხისმგებლობას აკისრებს თავისუფალ პრესასაც, როგორც მთლიანად მთელ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელმაც უზარმაზარი როლი შეასრულა რევოლუციის დროს.

ახალ ხელისუფლებასთან თუნდაც მცირე კომპრომისებზე წასვლა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი სხვებზე უკეთესები არიან, ის ბუმერანგი იქნება, რომელიც ერთ დღეს უკან აუცილებლად დაბრუნდება. ნებისმიერი ხელისუფლება არაეფექტურ ორგანიზმად იქცევა, თუ მას საზოგადოების მხრიდან მაქსიმალური კონტროლი არ აქვს, ამ კონტროლის განხორციელება კი, პირველ რიგში, მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციაა.

ფუნქციაა იმ თითოეული ადამიანისა, რომელმაც ქვეყნის ბიუჯეტში მცირე თუ დიდი გადასახადი უნდა გადაიხადოს.

თუმცა, ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემად ამ ეტაპზე მაინც კანონის უზენაესობის საკითხი რჩება, დემოკრატიის იმ მთავარი ღირებულების აღიარება, რომელიც ნებისმიერი განვითარებული და ცივილური საზოგადოების საყრდენს წარმოადგენს.

კორუფციასთან ერთად, კანონის უგულებელყოფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის მიდგომებია, რომელიც ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ღრმად არის გამჯდარი.

დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ ის ჩემი ახლობელი არ უნდა იყოს – ეს ის კლიშეა, რომლის მიხედვითაც საქართველოში არავინ ისჯებოდა და არც დაისჯება იმ წვრილი დამნაშავეების გარდა, რომელთაც გავლენიანი ნათესაობა და სამეგობრო არა ჰყავს.

ნებისმიერ ქვეყანაში უყვართ თავიანთი ოჯახის წევრები, ნათესავები თუ მეგობრები და არავის უნდა, რომ ეს ადამიანები ციხეში იხილონ, მაგრამ ეს სულაც არ არის ის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც განსასჯელის უდანაშაულობას თუ ბრალეულობას ამტკიცებენ.

ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში უამრავია იმის მაგალითი, რომ ძალიან ცნობილი და გავლენიანი ადამიანები დაუსჯიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, რადგან კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის შეგრძნების გარეშე ვერც ერთი საზოგადოება ვერ იქნება წარმატებული და განვითარებული.

ამიტომ, საქართველოში რაც უფრო ნაკლები იქნება ფსევდოელიტარული საჯარო მოთქმები ამა თუ იმ ადამიანის დაკავების გამო და რაც ნაკლები თანაგძნობით მოეკიდება ამ მოთქმებს თავისუფალი პრესა, მით უკეთესი იქნება. დამნაშავეობის დადგენის თუ არადადგენის კრიტერიუმი არა "ცნობილი სახეების" მობილიზება, არამედ ის არსებითი დოკუმენტაციაა, რომელიც ამა თუ იმ ადამიანის დამნაშავეობას ამტკიცებს ან ვერ ამტკიცებს. ამის გარეშე შეუძლებელია, რომ საზოგადოების გაჯანსაღების პროცესი დაიწყოს.

სიამაყისა და ღირსების გრძნობა, რომელიც რევოლუციის შემდეგ საქართველოს მოსახლეობას თუ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს დაეუფლა, ადამიანისათვის ყველაზე ღირებული განცდაა.

დღეს ჩვენ გვაქვს შანსი, რომ ამ განცდამ არასოდეს დაგვტოვოს და არასოდეს შეგვრცხვეს იმის თქმა, რომ საქართველოში ვცხოვრობთ.

მოტივაცია, რომ ჩვენ შეგვიძლია პოსტ-საბჭოთა სივრცეში სრულიად უნიკალური პრეცედენტი შევქმნათ, ის უზარმაზარი დახმარება, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები გვთავაზობენ, ეფექტურად გამოვიყენოთ და ეკონომიკურად შეძლებულ საზოგადოებად ვიქცეთ, იმდენად დიდია, რომ მას სხვა ვერაფერი გადაწონის.

მთავარია, რომ ეს ყველამ კარგად გააცნობიეროს - პოლიტიკურმა ლიდერებმაც და უბრალო ადამიანებმაც; და რაც მთავარია, ყველამ იგრძნოს თავისი წილი პასუხისმგებლობა, რომელიც ზოგჯერ კონკრეტულ მომენტში კონკრეტული მსხვერპლის გაღებასაც ითხოვს.

წინასწარი რეგისტრაციის პროცესი გაგრძელდა

ზურაბ ჭიაბერაშვილი კმაყოფილია ამომრჩეველთა აქტიურობით.

ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის პროცესმა 25 დეკემბრამდე გადაიწია. **"მოსახლეობის აქტივობა ძალზე მაღალია და ყველამ რეგისტრაციის გავლა უნდა შეძლოს. ამასთან, ამის საშუალება იმ ამომრჩეველსაც უნდა მივცეთ, ვისაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობები ჯერაც არ აქვს აღებული,"** - ეს ის მიზეზებია, რომელიც ზურაბ ჭიაბერაშვილს ამ გადაწყვეტილების მიღებისაკენ უბიძგებს.

ასე რომ, დღეიდან ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესი ე.წ. პარალელურ რეჟიმში წარიმართება. ამომრჩეველთა უბნებზე მისვლას დაემატება კარდაკარ სიარულის პრინციპი, მონაცემებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები გადაამოწმებენ. სიების ფორმირებაში ასევე აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და პოლიციის რაიონული განყოფილებების წარმომადგენლები.

"დღეისთვის წინასწარი რეგისტრაცია 900 000-ზე მეტმა ამომრჩეველმა გაიარა. თბილისში საარჩევნო უბნებთან რიგებიც კი დგას. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ცესკო-ს გაღდაწყვეტილება, წინასწარი რეგისტრაციის თაობაზე, მართებული იყო," - ამბობს ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ბუნებრივია, წინასწარ რეგისტრაციას რეგიონებშიც გადიან. გუშინ ცესკო-ს თავმჯდომარე ამ პროცესის მიმდინარეობას რამდენიმე რაიონში გაეცნო.

ყველაზე აქტიური გორელი ამომრჩეველი აღმოჩნდა. დაახლოებით 55 000 ამომრჩევლიდან, რეგისტრაცია 32 000-მა გაიარა. ნაკლებად აქტიურობდნენ ქუთაისელები. როგორც გუშინ გაირკვა, საარჩევნო უბნებს მხოლოდ 25 000-მა ამომრჩეველმა მიაკითხა. არადა, სხვადასხვა მონაცემებით, ქვეყნის მეორე ქალაქში ამომრჩეველთა რაოდენობა 80-დან 166 000-მდე მერყეობს.

ამომრჩეველთა რაოდენობის თითქმის ნახევარმა საარჩევნო უბნებს უკვე მიაკითხა ხაშურსა და ზესტაფონში.

ხვალ ზურაბ ჭიაბერაშვილი აჭარაში მიემგზავრება. მართალია, აჭარის ხელისუფლებას ოფიციალურად ჯერაც არ გამოცხადებია საბოლოო გადაწყვეტილება საარჩევნო უბნების გახსნასთან დაკავშირებით, მაგრამ ცესკო-ს თავმჯდომარე მაინც ამბობს, რომ ადგილზე ჩასვლა აუცილებელია.

"ამ გადაწყვეტილებას იურიდიული არგუმენტებით გამაგრება არ სჭირდება, მაგრამ მე გავითვალისწინე დღეს შექმნილი პოლიტიკური ფონი და, აქედან გამომდინარე, საქმის კურსში ჩავაყენე ცესკო-ში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი და რეგიონის ხელმძღვანელობა," - ამბობს ჭიაბერაშვილი.

და კიდევ, როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილმა "24 საათს" განუცხადა, 4 იანვარს იგი 75-ვე საარჩევნო ოლქში ე.წ. კომისრებს მიავლენს, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები იქნებიან. **"ისინი ჩემი სპეციალური წარმომადგენლების სტატუსით ისარგებლებენ და კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას ბოლომდე გულმოდგინედ გააკონტროლებენ,"** - ასეთია საარჩევნო პროცესის მონიტორინგის კიდევ ერთი სიახლე.

24 საათი

უვიზო რეისი

პირველი გვერდიდან

"ჩვენი წარმომადგენელია ახლა იქ, ბადრი მელაძე, და მალე ყველას გამოუშვებენ," - აიმედებს ლოდინით დაღლილ ნათესავებს შუახნის მამაკაცი.

მალე მოსაცდელში აჭარის წარმომადგენელი მოსკოვში ბატონი მელაძეც გამოდის და გვიხსნის, რომ რამდენიმე დღის წინ მათ ბათუმიდან მოუვიდათ აჭარის მოქალაქეთა სია, ვინც ამ დღეს მოსკოვში უნდა გამოფრენილიყო. **"ჩვენ ეს სია მივიტანეთ რუსეთის საკონსულოში და მათ დაბრო მოგვცეს, მერე ფაქსით აქაურ საბაჟოში გადმოვაგზავნეთ. ახლა სიები აქაა და ჩვენი მოქალაქენი ნელ-ნელა გარეთ გამოვლენ. ყველა კმაყოფილია,"** - ამბობს მელაძე.

- ორჯერ მეტი ლოდინი რომ დასჭირდათ?

- სამაგიეროდ თბილისში წასვლა ვიზის მისაღებად და გზის ხარჯები დროსთან ერთად დაზოგეს.

- ბატონო ბადრი, დავუშვათ ქუთაისელს ან გორელს მოუნდა ბათუმიდან მოსკოვში გამოფრენა, მათ თუ შეეხებათ გამარტივებული რეჟიმი?

- იცით, ჯერ ჩვენ მარტო იმ ხალხზე ვართ პასუხისმგებლები, ვინც აჭარაში ცხოვრობს და კარგად ვიცით, რასაც წარმოადგენენ. დანარჩენებზე პასუხს ვერ ვაგებთ.

ორი სააათის შემდეგ, ვიზის მისაღებად ვნუკოვოს აეროპორტის სასაზღვრო კონტროლზე დაყოვნებული ბათუმელები გამოდიან და "დანარჩენ ქართველებს" ანუგეშებენ - ნუ გეშინიათ, ბატონი ასლანი თქვენც გიშუამდგომლებთ და მალე თბილისიდანაც უვიზოდ იფრენთო.

ცენტრსა და აჭარას შორის კონსულტაციები კვლავ გაგრძელდება

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე შაბათს ბათუმში სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძეს შორის გამართულ შეხვედრას „მნიშვნელოვანს“ უწოდებს და აცხადებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება და რეგიონის ხელმძღვანელობა მზად არიან, კონსენსუსს მიაღწიონ.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს იმედი აქვს, რომ 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები აჭარაშიც ჩატარდება.

ბათუმში გამართული მოლაპარაკებით კმაყოფილია თავად სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია. მისი განცხადებით, სერიოზული ნაბიჯები იდგმება საიმისოდ, რომ აჭარაში არა მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს, არამედ გადაიჭრას ყველა ის პრობლემა, რაც დღემდე თბილისსა და ავტონომიური რესპუბლიკის ურთიერთობებში არსებობდა. **მედია-ნიუსი**



მიწის გადასახადი მორგებული უნდა იყოს ახალ პირობებსა და საჭიროებებს

ქართველი გლეხისათვის მიწის ბეგარისაგან გათავისუფლება დიდი შეღავათი იქნება, მით უმეტეს, როცა ამ გადასახადიდან ამოღებული თანხა, გლეხის ნაცვლად, მავანთა კეთილდღეობას ხმარდება. მიწის გადასახადის გაუქმების საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა, უკანასკნელი რამდენიმე თვეა, შეიძინა. მართალია, ჯერ მსგავსი გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა, მაგრამ ქართველი ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები ამ წინადადებას არაერთგვაროვნად გამოეხმაურნენ.

ეთერ მამულაძვილი

ექსპრეზიდენტ შევარდნაძის ერთ-ერთი ბრძანებულებით, მიწის გადასახადიდან ამოღებული თანხის ნაწილი, რომელიც მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტებში ირიცხება, მიწის ნაყოფიერების აღდგენას უნდა მოხმარდეს. თუმცა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მსგავსი ღონისძიება დღემდე არც ერთ რაიონში არ განხორციელებულა.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის ბიუჯეტების შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო ხსენებული გადასახადიდან მობილიზებული თანხებია, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობას ეს ფული ყველაზე ნაკლებად ხმარდება. დამოუკიდებელ ექსპერტთა ერთი ნაწილის მტკიცებით, როგორც წესი, ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი რაიონის გამგეობების ხელმძღვანელ პირთა ინტერესების დაკმაყოფილებას ხმარდება.

ყოველწლიურად მიწის გადასახადიდან რაიონის ბიუჯეტებში საშუალოდ ოცდაორი მილიონი ლარი შედის, აქედან ნახევარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადზე მოდის. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი დარწმუნებულია, რომ მკაცრი და სრული ადმინისტრაციის პირობებში მიწის გადასახადიდან ამოღებული თანხები ერთი-ორად გაიზრდება. მინისტრის მოადგილის ამ მოსაზრებას ექსპერტებიც ეთანხმებიან. "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის" დირექტორის ჯაბა ებანოიძის თქმით, დღეისთვის ადგილობრივ სამსახურებს არ გააჩნიათ მიწის გადასახადის ამოღების სათანადო საშუალებები და მექანიზმები.

"სავსებით გაუკონტროლებელია გადასახადის მობილიზაციის პროცესიც და ნათლად არსად ჩანს, თუ გადასახადის რა ნაწილი არის შესული ბიუჯეტში. ყოველივე ეს ბადებს კორუფციას; უკონტროლობის გამო ცალკეული მოხელეები მობილიზებული თანხის ნაწილს მალავენ", - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ებანოიძემ.

სწორედ ამ და კიდევ სხვა მნიშვნელოვანი მიზეზის გამო მიწის "მესაკუთრეთა დაცვის ასოციაცია" მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე მიწის გადასახადის აკრეფა დროებით უნდა შეჩერდეს, სანამ მოსახლეობას არ ექნება სრული გარანტია იმისა, რომ ამ გადასახადით მობილიზებული თანხები ეფექტურად და მიზნობრივად დაიხარჯება.

ამას გარდა, "მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაცია" ირწმუნება, რომ მიწის გადასახადს, დღეს არსებული ფორმით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი აქვს. კერძოდ, ჯაბა ებანოიძის განცხადებით, დღეს მიწის გადასახადის ოდენობის დადგენის წესი ძალიან ბუნდოვანი და ხშირად გაურკვეველია.

"ამ გადასახადის განაკვეთი არ გამოიანგარიშება იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყენებს ამ მიწას მესაკუთრე, როგორ სარგებლობს და რა ეკონომიკურ მოგებას ღებულობს. ხშირია შემთხვევები, როცა გადასახადის განაკვეთი არასწორადაა განსაზღვრული მიწის კონკრეტული კატეგორიისთვის და ასევე ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა ცალკეული სახელმწიფო მოხელეები შეგნებულად ამცირებენ მიწის გადასახადებს პირადი გამორჩენისთვის. მესაკუთრეები მოითხოვენ, რომ გადაიხადონ გადასახადი მათივე მიწის ხარისხის შესაბამისად; მაგალითისათვის: მიწის გარკვეული ფართობი საბჭოთა სივრცეში ირწყვებოდა და იძლეოდა კარგ მოსავალს სწორედ მორწყვის შედეგად; ახლაც, როცა სარწყავი სისტემა მოშლილია, მიწის ნაკვეთი მაინც გადის სარწყავი მიწის კატეგორიაში და მესაკუთრე იხდის დიდ გადასახადს, რაც აბსურდულია და სრულიად არ შეესაბამება იმას, თუ რეალურად როგორ იყენებს ამ მიწას მესაკუთრე, ან როგორ შეიძლება მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს იგი", - გადასახადის ამ პრინციპით განსაზღვრის აბსურდულობას ამტკიცებს ებანოიძე.

"მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაცია" მიწის გადასახადის მოდიფიკაციის მომხრეა და მიიჩნევს, რომ მომავალში ეს გადასახადი აუცილებლად მორგებული უნდა იყოს თანამედროვე პირობებსა და საჭიროებას.

"ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო დაპირებაში, რომელიც ქართველი გლეხების მიწის გადასახადისგან გათავისუფლებას ეხება, წლების განმავლობაში დაგროვილი დავალიანებების ჩამოწერაც მოიაზრება. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დავალიანების ამ ნაწილში მოსახლეობას სახელმწიფოს მიმართ 80 მილიონამდე ლარი მართებს. ამ ვალის ერთი ხელის მოსმით ჩამოწერა, ბუნებრივია, გლეხებისთვის სერიოზული შეღავათი იქნება. არადა, მეორე მხრივ, ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ამჟამად 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე აქტიურად მუშაობს, მომავალ წელს მარტო მიწის გადასახადიდან 30 მილიონი ლარის მობილიზებას ვარაუდობდა შემოსავლების ნაწილში. გიგოლაშვილი ირწმუნება, რომ ადმინისტრაციის გაძლიერების ხარჯზე არამარტო მიმდინარე, არამედ ძველი დავალიანებებიდან გარკვეული ნაწილის ამოღებაც იქნება შესაძლებელი.

მოკლედ

უდიდესი იტალიური კომპანია "Parmalat" კოტრდება

რძისა და კვების სხვა პროდუქტების მწარმოებელი უდიდესი იტალიური კომპანია "Parmalat" გაბანკროტების საშიშროების წინაშე დგას, - ამის შესახებ ინფორმაციას "ბი ბი სი" ავრცელებს.

კომპანიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ წაყენებულია ბრალდებები მაქინაციებსა და ფირმის ფინანსური მდგომარეობის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. გამოძიების დაწყების მომენტისთვის კომპანიის ანგარიშებზე 4 მილიონი ევროს დანაკლისი აღმოჩნდა. ამის შედეგად, კომპანიის აქციები 66 პროცენტით დაეცა. ფირმის მართვა გადაეცა მენეჯერთა სპეციალურ ჯგუფს, რომლებიც კრიზისული სიტუაციის გადაჭრაზე სპეციალიზირდებიან. ""Parmalat"-ის ოფისში ჩხრეკა ჩატარდა. იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ შაბათს განაცხადა, რომ მთავრობა ჩაერევა, რათა ფირმა გადაარჩინოს და სამუშაო ადგილები შეინარჩუნოს. "Parmalat"-ში, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, ევროპაში საკვების მწარმოებელი უდიდესი ფირმაა, მუშაობს, დაახლოებით, 35 000 ადამიანი 30 სახელმწიფოში.

ძველი ერაყული დინარების 85 პროცენტი შეცვლილია

ერაყში 15 იანვარს დასრულდება ძველი დინარების გამოცვლა ახლით. არაბული გაზეთის "აზ-ზამანის" ინფორმაციით, დღეისთვის უკვე დასრულებულია ძველი ერაყული დინარების 85 პროცენტის გამოცვლა.

ძველი ფულის გამოცვლის მთავარი მიზანი მათზე სადამ ჰუსეინის გამოსახულების "აღმოფხვრაა", ამასთან, ერაყელების ნდობის აღდგენა თავისი ვალუტისადმი და ქვეყანაში ერთიანი ვალუტის შემოღება, რაც მის ეკონომიკურ გაერთიანებას შეუწყობს ხელს.

ახალი ერაყული დინარები, ძველებისგან განსხვავებით, რომლებიც ჩვეულებრივ ქაღალდზე იბეჭდებოდა ყოველგვარი დაცვის გარეშე, მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს. ისინი დაბეჭდილია ინგლისში, იმავე ტიპოგრაფიაში, რომელშიც 1991 წლამდე იბეჭდებოდა დინარები.

სადამ ჰუსეინის ნაცვლად, მათზე აღბეჭდილია ბაბილონის მეფე ხამურაპი, შუა საუკუნეების არაბი მეცნიერი იბნ-ჰეისამა, ქურთი გლეხი, ისტორიული ძეგლები და ერაყის პეიზაჟები.

გადაცვლის დაწყებიდან ერაყული დინარის კურსმა გამყარება დაიწყო - მისი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 20 პროცენტით გაიზარდა და ერთ დოლარზე 1600 დინარი შეადგინა.

როგორ შევაჩეროთ ვურზე ფასის ზრდა

პირველი გვერდიდან

ა) ხორბლის იმპორტზე დაწესდეს დღგ-ს ნულოვანი განაკვეთი. ამ ცვლილების შემდეგ "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 102-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 102. საქონლის ექსპორტის დაბეგვრა.

საქონლის ექსპორტი, აგრეთვე, ხორბლის იმპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით" (ფაქტობრივად, აღდგება 01.05.98 წ. N1369-IIს კანონის მიღებამდე არსებული რედაქცია). იგივე ცვლილება იმპორტთან და ადგილობრივ წარმოებასთან დაკავშირებით შევიდეს კოდექსის 101-ე მუხლის "მ" პუნქტში.

აღნიშნული ღონისძიება კიდევ უფრო გააიაფებს იმპორტულ ხორბალს, წაახალისებს მარცვლეულის ადგილობრივ წარმოებას. ამით კონკურენცია გაეწევა აზერბაიჯანის და სომხეთის სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პროდუქციის (ამ შემთხვევაში - ხორბალი) იმპორტს, სადაც იმპორტი და ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-საგან.

ბ) დსთ-დან ფქვილის იმპორტზე შემოღებული იქნეს დაბეგვის დროებითი (ექსპერიმენტული) წესი, რომლითაც დღგ-ს დიფერენცირების ნაცვლად (რაც ერგნეთის პრობლემას ვერ მოხსნის), დაწესდეს სპეციალური საბაჟო მოსაკრებელი, რომლის სიდიდე განისაზღვროს ერგნეთის ბაზარზე არსებულ და ადგილობრივი წარმოების ფქვილის ფასებს შორის სხვაობით. ამჟამინდელი მდგომარეობით ეს სხვაობა, სულ ცოტა, 4 ლარს შეადგენს ერთ ტომარაზე (50 კგ).

ჰური საქართველოში უკვე გაძვირდა.

წარმოვადგენთ პირობით გათვლას:

პროდუქტის დასახელება - "მაკფა" (რუსეთი). (უმაღლესი ხარისხი, I ხარისხი, II ხარისხი, ქატო):

50 კგ-იანი ტომრის ღირებულება ერგნეთში ლარებში – 2624216;

50 კგ-იანი ტომრის ადგილობრივი ფქვილის ღირებულება ლარებში – 3128258;

საბაჟო მოსაკრებელი (ჩვენი წინადადებით, საშუალო - 4 ლარი) - 5442.

მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმებიდან გამომდინარე, 80-იანი წლების სტატისტიკით აღრიცხული ფქვილის მოხმარების (მას შემდეგ ფქვილის მოხმარება თუ არ გაიზარდა, არ შემცირებულა და არც დეფიციტი შეიმჩნევა) და იმის გათვალისწინებით, რომ დსთ-დან ფიზიკური პირების მიერ იმპორტული ფქვილის 90 პროცენტი კონტრაბანდულია, დაბეგვრის შემოთავაზებული რეჟიმი მკვეთრად გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს და შეამცირებს კონტრაბანდას. კერძოდ, ფიზიკური პირების მიერ დღეში საშუალოდ ერგნეთიდან შემოტანილი ფქვილის რაოდენობას დაახლოებით 2 ტომარად თუ მივიჩნევთ, მაშინ 1000 ფიზიკური პირის მიერ წელიწადში ბაზარზე ფქვილის შემოტანილი ოდენობა იქნება 2000X360=72000 ტომარა, საიდანაც ბიუჯეტში შემოვა დაახლოებით 720000X4=2880000 ლარი. აღნიშნული წესით აღარ არის საჭირო ერგნეთის ბაზრობის, ცხინვალის, ჯავის შემოვლითი გზების სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურების მიერ გაკონტროლება (ვინაიდან სპეციალური მოსაკრებელის თანხას ფიზიკური პირი საბაჟო დეპარტამენტში ან მის რეგიონალურ სამმართველოებში წინასწარ გადაიხდის, რაზეც მიეცემა 1-კვირიანი ლიცენზია). ლიცენზიის ვადის კონტროლი მოხდება არა ერგნეთის მისადგომებთან, არამედ საქართველოს ბაზრებზე. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ხორბლის ლიბერალური დაბეგვრის შედეგად, სრული სიმძლავრით ამოქმედდება წისქვილკომბინატები, აღნიშნული სპეციალური მოსაკრებელი შეიძლება გაუქმდეს. ამის შედეგად ერგნეთის ბაზრობიდან ფქვილის კონტრაბანდული შემოტანა ობიექტურად წამგებიანი გახდება. სხვათა შორის, აღნიშნული მეთოდი წარმატებით გამოიყენებოდა გარკვეულ პერიოდში საბაჟო დეპარტამენტის მიერ სიგარეტზე აქციზური მარკების შემოღებამდე.

გ) დაიწყოს ორმხრივი მოლაპარაკებები დსთ-ს წევრ ქვეყნებთან ხორბლის იმპორტის ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრის თაობაზე.

დ) აღნიშნული წინადადებები შეთანხმდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, ვინაიდან მისი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პოზიციები იმპორტის დაბეგვრის საკითხებში ერთმანეთისგან განსხვავდება.

შეძლებს თუ არა ახალი ხელისუფლება სიგარეტის ბიზნესის "გათეთრებას"?

პირველი გვერდიდან

მართალია 1997 წელს დაფიქსირებული სიგარეტის ოდენობაც რეალურისგან საკმაოდ შორსაა, მაგრამ საქართველოში დაბეგრილი სიგარეტის კოლოფების რაოდენობა 1997 წლის მონაცემებთან შედარებითაც კი, ორჯერ და მეტჯერ არის შემცირებული.

გადახდილი გადასახადების ოდენობას თუ შევხედავთ (იხილეთ თანდართული ცხრილი), კლება ასეთი დიდი არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ 1997 წლის შემდეგ საქართველოში ლარის კურსი სერიოზულად დაეცა, სიგარეტზე გადასახადები კი მართლაც სერიოზულად გაიზარდა, ცხადი ხდება, რომ თავდაპირველი დასკვნა სიგარეტის ბიზნესის "ჩრდილოვანობასთან" დაკავშირებით მართლაც რბილად არის ნათქვამი.

სხვათა შორის, ექსპერტთა ნაწილი სიგარეტის ბიზნესის "ჩრდილში" გადასვლის ძირითად მიზეზად არსებულ საგადასახადო პოლიტიკას ასახელებს. საუბარია იმაზე, რომ ამ წლების განმავლობაში სიგარეტის დაბეგვრა სერიოზულად "დამძიმდა" - 1997 წელს ერთი კოლოფი სიგარეტი 6 თეთრით იბეგრებოდა, 1998 წელს - 25 თეთრით, უკვე 2000 წლიდან კი, იმპორტირებული სიგარეტი - 40 თეთრით, ადგილობრივი - 20 თეთრით დაიბეგრა. თუმცა, ეს მოტივი უფრო "საბაბი" გახლავთ, რომელზეც ხმამაღლა თავად ამ ბიზნესით დაკავებულებიც ვერ საუბრობენ, რადგან სიგარეტის გაძვირების მიუხედავად, მისი მოხმარების მავნე ჩვევა, სამწუხაროდ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა, იგივე სტატისტიკის თანახმად, სულაც ვერ დაძლია. ანუ, გაზრდილფასიან სიგარეტზე მოთხოვნა ისევ არსებობს, შესაბამისად, "ობიექტური მოტივაცია" გადასახადების დამალვისა, ამ გადასახადების სიდიდის გამო, არ არსებობს.

1997-2003 წლებში თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციიდან საბიუჯეტო შემოსავლების დინამიკა

	წელი							
	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003 11 თვე	2003 მოსალოდნელი
სულ მიღებული შემოსავალი (მლნ. ლარი)	27,0	13,0	62,9	35,9	30,4	41,1	39,8	43,4
აქციზის ადგილობრივი სიგარეტის რეალიზაციიდან (მლნ. ლარი)	0,0	0,0	4,2	0,8	15,3	20,6	17,4	19,0
იმპორტირებული სიგარეტის რეალიზაციიდან (მლნ. ლარი)	27,0	13,0	58,7	35,1	15,1	20,5	22,4	24,4
იმპორტირებული სიგარეტის რაოდენობა (მლნ. კოლოფი)	374,0	110,0	142,7	126,7	61,5	58,4	44,6	48,1
აქციზგადახდილი სიგარეტის წარმოება (მლნ. კოლოფი)	0,0	0,0	20,8	4,2	76,7	103,2	87,3	95,2
სულ იმპორტი და აქციზგადახდილი წარმოება (მლნ. კოლოფი)	374,0	110,0	163,5	130,9	138,2	161,6	131,7	143,3

1997 წელი – 6 თეთრი 1 კოლოფზე; 1998 წელი – 25 თეთრი 1 კოლოფზე; 2000 წელი – 40 თეთრი 1 კოლოფზე და 20 აქციზისაზე.

სამაგიეროდ აქაც, ისევე, როგორც თითქმის ყველა ქართულ ბიზნესში, არსებობს კონტრაბანდის, ანუ დაბეგვრის თანაბარ პირობებში მოქცევის პრობლემა.

ჩვენი ინფორმაციით, სიგარეტის ბიზნესით ლეგალურად დაკავებულმა მეწარმეებმა, მათი მხრიდან ურთიერთობის ახალ წესებზე დადასვლის სანაცვლოდ, სწორედ თანაბარ პირობებში მოქცევა და კონტრაბანდის აღკვეთა მოსთხოვეს ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას.

კონტრაბანდული სიგარეტი ქვეყანაში დღეს რამდენიმე გზით შემოდის: შემოდის აფხაზეთიდან - ალბათ, გახსოვთ, რომ ამ მიმართულებასთან დაკავშირებულ კულუარულ საუბრებში და სკანდალებშიც, აფხაზურ მხარესთან ერთად, ქართველი პარტიზანები, დევნილი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი და ცენტრალური ხელისუფლების ერთერთი ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელის გვარიც ფიგურირებდა.

სიგარეტის კონტრაბანდა შემოდის ერგნეთიდან - როგორც ამბობენ, საუბარია, ძირითადად, საშუალოზე დაბალი და მაღალი კლასის სიგარეტზე.

კონტრაბანდა "თეთრდება" აჭარაშიც, სადაც, როგორც ამბობენ, თავისუფლად შეიძლებოდა (ყოველ შემთხვევაში - ბოლო პერიოდამდე) აქციზური მარკის ნახევარ ფასში ან უფრო ნაკლებად შესყიდვა. აჭარაში მობილიზებული გადასახადები კი, მოგეხსენებათ, ცენტრალურ ბიუჯეტში საერთოდაც არ შემოდის. თან - იქ აღრიცხვას ცენტრი ვერ აწარმოებს.

სიგარეტის კონტრაბანდა "თეთრდება" ფიქტიური რეექსპორტის ტრადიციული გზითაც და ამ ბოლო დროს განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა აქტივებით ვაჭრობაც - საუბარია იმაზე, რომ სიგარეტის იმპორტიორი ყიდულობს რომელიმე სხვა ბიზნესში დასაქმებული ფირმისგან აქტივს (ამბობენ იმასაც, რომ ხშირად ეს აქტივიც არარეალურია) და ამ აქტივს ითვლის გადასახადებში (თუმცა, აქტივებით ვაჭრობის შემთხვევაში იმპორტირებული სიგარეტის რაოდენობა არ მცირდება - ანუ აქ საუბარია იმაზე, რომ თავად იმპორტირებული სიგარეტის ლეგალურად დაფიქსირებულ ოდენობაზეც არ ხდებოდა რეალურად გადასახადების გადახდა).

ეს და სხვა მსგავსი გზები უზრუნველყოფს იმას, რომ საქართველოს ბიუჯეტში, რეალურად, ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი სფეროდან (მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანაში წარმოება თითქმის არ არსებობს), მართლაც მიზერული თანხები შედის.

დღევანდელი ხელისუფლება აცხადებს, რომ იგი ამ პრობლემების მოგვარებას დაიწყებს. რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს დაპირება, სულ მცირე ხანში გამოჩნდება, რადგან ეს ის სფეროა, რომელშიც სტატისტიკური მონაცემები ყველა დაპირებაზე და ხმამაღალ განცხადებაზე უფრო მეტყველია.

აფხაზეთის ხელისუფლება ბიჭვინთაში მიწას არიგებს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მოსკოვის ფოლადშენადნობთა ინსტიტუტს ბიჭვინთაში დასასვენებელი სახლის მშენებლობისათვის კიდევ 1,5 ჰექტარი მიწა გამოუყო.

უკანასკნელი წლების მანძილზე მოსკოვის ფოლადშენადნობთა ინსტიტუტი ფინანსურ დახმარებას უწევს ბიჭვინთის საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მეურნეობას, საკურორტო ინფრასტრუქტურას და ქალაქის სკოლებს. ინსტიტუტის ხელმძღვანელობის ინიციატივით, ყოველწლიურად, აფხაზეთში მცხოვრებ 10 ახალგაზრდას საშუალება ეძლევა, უფასოდ მიიღოს განათლება მოსკოვის ინსტიტუტში.

შარშან ინსტიტუტმა სოხუმის ხელისუფლებისაგან ბიჭვინთაში 0,5 ჰექტარი მიწა მიიღო. დეპუტატ ვიტალი ტარნავას თქმით, რომელმაც ამ დადგენილების პროექტი განსახილველად წარადგინა, აღნიშნული ინსტიტუტი, უკვე რამდენიმე წელია, ბიჭვინთის საცხოვრებელ-კომუნალურ მეურნეობასა და სკოლებს ფინანსურად ეხმარება.

გარდა ამისა, მოსკოვის უმაღლესი სასწავლებელი აფხაზეთის მოქალაქეებს სწავლებისათვის ყოველ წელს 10 ადგილს უფასოდ სთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე კვირას სოხუმმა კიევს აფხაზეთში უკრაინის კუთვნილი უძრავი ქონების დაბრუნებაზე უარი განუცხადა. კიევისათვის უშედეგოდ დასრულებულ 5-წლიან მოლაპარაკებებზე უკრაინული მხარე აფხაზურისგან გაგრის პანსიონატ "ფსოუს" გადაცემას მოითხოვდა.

აფხაზეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის ვალერი არშბას განცხადებით, აფხაზური მხარე აფხაზეთის საკურორტო ინფრასტრუქტურის ამ ობიექტზე უკრაინული მხარის პრეტენზიებს უსაფუძვლოდ იმის გამო მიიჩნევს, რომ 1998 წელს სოხუმის ხელისუფლებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქონება აფხაზეთის რესპუბლიკის საკუთრებად გამოაცხადა და რომელიმე ობიექტის სხვა ქვეყნისთვის გადაცემის უფლება არა აქვს.

დაზუსტებული მონაცემებით, სოხუმის ხელისუფლების ხელშეწყობით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედმა 130-ზე მეტმა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციამ აფხაზეთში არსებული 150-ზე მეტი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და საწარმო გრძელვადიანი იჯარით აიღო. იმავე მონაცემებით, აღნიშნულ ხელშეკრულებათა გაფორმება რუსეთისა და აფხაზეთის უმაღლესი დონის გავლენიან პოლიტიკურ ფიგურებს უკავშირდება. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

10 თვეში საქართველოში "ვესტერნ-იუნიონით" 78 მილიონი გადმოირიცხა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2003 წლის 10 თვეში "ვესტერნ-იუნიონის" მეშვეობით, სხვადასხვა სახელმწიფოებიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში 78 457 045 აშშ დოლარი ჩაირიცხა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 19 553 255 აშშ დოლარით აღემატება.

ამავე პერიოდში, საქართველოდან უცხოეთის სახელმწიფოებში 13 295 412 აშშ დოლარი გადაირიცხა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 646 722 აშშ დოლარით სჭარბობს. 2003 წლის 10 თვეში საქართველოში თანხები, ძირითადად, რუსეთიდან, აშშ-დან, საბერძნეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და უკრაინიდან იგზავნებოდა.

სწრაფი ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი კლავინდებურად "ვესტერნ-იუნიონზე" მოდის და აქტიურ ოპერატორად 4-5 კომერციული ბანკი რჩება. **ინტერ-პრესი**

"ბი-პი"-მ აგარაში საირიგაციო სისტემის აღდგენა დაიწყო

ახალციხის რაიონის სოფელ აგარაში საირიგაციო სისტემის აღდგენა დაიწყო; აშენდა 3 ათასი მეტრის სიგრძის არხი. დანარჩენი სამუშაოები ზამთრის პერიოდში დროებით გაჩერებულია და გაზაფხულისთვის განახლდება, ხოლო წრწყვის სეზონისთვის საირიგაციო სისტემა უკვე ამოქმედდება.

ეს სამუშაოები ხორციელდება საზოგადოებრივი ინვესტიციების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც კომპანია „ბი-პი“ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გასწვრივ მდებარე სოფლებში აფინანსებს.

როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს“ ამ პროექტის ოპერატორ კომპანია „ბი-პი“-ს საქართველოს წარმომადგენლობაში აცნობეს, აგარაში საირიგაციო სისტემის პროექტი თვითონ მოსახლეობამ შეარჩია. ამ სოფელში სარწყავი არხი, ბოლო 15 წელიწადია, არ ფუნქციონირებდა.

ახალაშენებული სისტემით 40 ჰექტარი სავარგულების მორწყვა იქნება შესაძლებელი და ამით 45 ოჯახი ისარგებლებს. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

ქუთაისი. ქუთაისის მოსახლეობის ნაწილმა შაბათს ლესელიძის ქუჩა გადაკეტა. ქუჩის მაცხოვრებლებმა გზა გადაუკეტეს "ქუთგაზის" თანამშრომლებს, რომლებსაც გაზგაყვანილობის მილები გაჰქონდათ. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებმა მათ ქუჩაზე მილები მიიტანეს და მოსახლეობას ბუნებრივი აირის გაყვანას დაჰპირდნენ, დღეს კი მილების უკან ნაღება განიზრახეს. აღნიშნულის შესახებ განმარტებას ჟურნალისტებს არც "ქუთგაზში" და არც ქალაქის მერიაში აძლევდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ფოთი. ფოთის პორტში შაბათს ამერიკული გემი "Independence"-ი შევიდა, რომელმაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისთვის 740 ტონა ტექნიკა ჩამოიტანა. "ინტერ-პრესის" მონაცემებით, ტვირთი, ძირითადად, გენერატორებსა და ტრანსფორმატორებს მოიცავს. გემი დღესვე დაიცლება, ხვალ კი ფოთის პორტს დატოვებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საგზაო დეპარტამენტმა ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა დაიწყო. ამ მიზნით ხაზინაში 900 ათასი ლარი უკვე გადაირიცხა. ამის შესახებ საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან დალაქიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, საგზაო დეპარტამენტს ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ 8,1 მლნ. ლარის ოდენობის ვალი გააჩნია. "ანონშნული თანხა დეპარტამენტს 2003 წლის განმავლობაში ცენტრალურ ბიუჯეტში მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში უნდა გადაერიცხა. ეს ვალდებულება დეპარტამენტმა პროექტის განხორციელებასთან ერთად აიღო," - განაცხადა დალაქიშვილმა. დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე საგზაო ფონდის კუთვნილ თანხებს საბაჟო დეპარტამენტისგანაც ელოდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ერევანი. საქართველოში წელიწადში სადაზღვევო პრემიები ერთ სულ მოსახლეზე 12 პირობით ერთეულს შეადგენს, აზერბაიჯანში - 18-ს, ხოლო სომხეთში - 1,6 დოლარს.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსის ერევნელ კორესპონდენტს სომხეთის დამზღვევთა ასოციაციის პრეზიდენტმა, სადაზღვევო კომპანია "ეფესის" დირექტორმა ლევონ ალთუნიანმა განუცხადა.

მისი თქმით, სომხეთი ამ მაჩვენებლით დსთ-სა და მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ამავე დროს, მისივე მონაცემებით, იაპონიაში წლიური სადაზღვევო პრემიები ერთ სულ მოსახლეზე 4000 პირობით ერთეულს შეადგენს, შვეიცარიაში - 3000-ს, აშშ-ში - 2000-ს, ხოლო რუსეთში - 20-ს.

სომხეთის დამზღვევთა ასოციაცია 2002 წელს დაარფუძნა 8 სადაზღვევო კომპანიამ, რომლებიც ამ ქვეყნის სადაზღვევო ბაზრის, დაახლოებით, 85 პროცენტს ფარავენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ თბილისს დენი კვლავ შეფერხებებით მიეწოდებოდა. როგორც „მედია-ნიუსს“ „თელასის“ ცენტრალურ სადისპეტჩეროში განუცხადეს, რამდენიმე დღეა კომპანია "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისგან" საკმარისი რაოდენობის ელექტროენერგიას იღებს, თუმცა, თბილისის ზოგიერთ უბანს ელექტროენერგია რამდენიმესაათიანი შეზღუდვით მიეწოდება. ამის მიზეზი, „თელასის“ ინფორმაციით, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობაა. **მედია-ნიუსი**

დიქტატორობა საშიში პროფესია ხდება

შოთა უტიაშვილი

დიქტატურის ეპოქა მთავრდება.

მსოფლიოს 192 ქვეყანას შორის 88 თავისუფალია, 55 ნაწილობრივ თავისუფალი, 49 – არათავისუფალი – ასეთ დასკვნამდე მივიდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ფრიდომ ჰაუსი", რომელიც ყოველ წელს აქვეყნებს მოხსენებას მსოფლიოს ქვეყნებში დემოკრატიისა და თავისუფლების ხარისხის შესახებ.

წლევანდელი მოხსენება უკვე 30-ე იყო, ამიტომ მისმა ავტორებმა გადაწყვიტეს, ზოგადი ტენდენციები შეეფასებინათ. ტენდენცია კი დადებითია. 30 წლის წინ მსოფლიოში სულ 43 თავისუფალი და 38 ნაწილობრივ თავისუფალი სახელმწიფო იყო.

გარდა იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე თავისუფალ ქვეყანათა რიცხვი გაიზარდა, მნიშვნელოვნად შემცირდა აბსოლუტური დიქტატურების რაოდენობა. "დიქტატორობა სულ უფრო სახიფათო პროფესია ხდება," – ამბობს "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" პრეზიდენტი არიე ნეიერი და მოჰყავს იმ ექს-დიქტატორების საკმაოდ გრძელი სია, რომლებიც საბრალდებო სკამზე აღმოჩნდნენ.

საერთაშორისო საზოგადოება სულ უფრო ნაკლებად მომთმენი ხდება დიქტატორების მიმართ. რუანდაში, იუგოსლავიაში, კამბოჯასა და სიერა-ლეონეში მათ დასასჯელად საერთაშორისო ტრიბუნალები შეიქმნა. სასამართლოს წინაშე აღმოჩნდნენ ასევე მათი კოლეგები არგენტინიდან, ლიბერიიდან და ჩადიდან.

192 ქვეყნიდან აბსოლუტური დიქტატურა მხოლოდ რვაში დარჩა. ესენია: ბირმა, კუბა, ლიბია, ჩრდილოეთ კორეა, საუდის არაბეთი, სუდანი, სირია და თურქმენეთი. მათ გარდა, არსებობს კიდევ ორი ტერიტორია, სადაც ადამიანებს არავითარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები არ გააჩნიათ: ჩეჩნეთი და ტიბეტი.

სამწუხაროდ, აბსოლუტური დიქტატორების ადგილს სულ უფრო ხშირად არჩეული დიქტატორები იკავებენ. "ასეთები არიან, მაგალითად, ზიმბაბვეს პრეზიდენტი მუგაბე და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ალიევი," – ამბობს ფარიდ ზაქარია, – ასეთ ფორმას იღებს თანამედროვე დიქტატურა. ახალი ავტოკრატები თავიანთ ლეგიტიმურობას სწორედ არჩევნების გზით ამტკიცებენ. ისინი დემოკრატიის მხოლოდ ერთ ელემენტს აღიარებენ და ყველა დანარჩენს უარყოფენ. ეს არჩევნებიც ხშირად გაყალბებულია."

იმის გასარკვევად, რომელიმე სახელმწიფო ავტორიტარულია თუ დემოკრატიული, ექსპერტები ერთ მარტივ მეთოდს გვთავაზობენ: თუ ათი წლის მანძილზე ქვეყანაში მეთაურის ცვლილება არ ხდება, ესე იგი თავისუფლებაზე საუბარი ზედმეტია.

თავისუფალ სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდა როგორც პოლიტიკური, ისე ტექნოლოგიური ფაქტორების შედეგია. პოლიტიკურ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლა. რაც შეეხება ტექნოლოგიას, ისეთმა სიახლეებმა, როგორიცაა ინტერნეტი და მობილური ტელეფონები, ადამიანები სახელმწიფოს მხრიდან უფრო ძნელად კონტროლირებადი გახადა.

ამ ფაქტორების შედეგად დაემხო კომუნისტების ხელისუფლება აღმოსავლეთ ევროპაში; ლათინოამერიკელი გენერლები, რომლებიც სახელმწიფოებს მართავდნენ, ბარაკებში დაბრუნდნენ; აფრიკელი ბელადები, რომლებიც საკუთარ ქვეყნებს ძარცვავდნენ, იძულებულნი გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ.

ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ განსხვავებით 60-70-იანი წლებისაგან, როდესაც დეკოლონიზაციის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები ერთპარტიულ მმართველობას ირჩევდნენ, ახალშექმნილი ქვეყნები, მაგალითად, აღმოსავლეთ ტიმორი ან კოსოვო, მრავალპარტიულ დემოკრატიას ირჩევენ.

თუმცა, კვლავაც არსებობს ფაქტორები, რომლებიც დიქტატურის შენარჩუნებას უწყობს ხელს. კოსოვოს გაერო-ს მიერ დანიშნული ყოფილი მმართველის, ბერნარ კუშნერის თქმით: "თუ კომუნიზმის გადმონაშთებს არ ჩავთვლით, არის ორი რამ, რაც დიქტატურას უწყობს ხელს: უკიდურესი სიღარიბე და ნავთობი."

ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ნავთობით მდიდარი ქვეყნები, "ფრიდომ ჰაუსის" მიხედვით, ყველაზე უფრო რეპრესიული არიან. რაც შეეხება სიღატაკეს, 49 არათავისუფალი ქვეყნიდან 37-ში საერთო ეროვნული პროდუქტი ერთ სულზე 1500 დოლარს არ აღემატება. სულზე 1500 დოლარი სწორედ უკიდურეს სიღატაკეს ნიშნავს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალ ქვეყნებს შორის ბევრი ღატაკი სახელმწიფოა.

არ არის აუცილებელი, რომ დიქტატორის დამხობის შემდეგ, ქვეყანაში დემოკრატია დამყარდეს. "მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დემოკრატია არც ისე ღრმად არის გამჯდარი, – ამბობს ნეიერი, – ძირითადად იმიტომ, რომ დიქტატურის შემდეგ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება ხშირად არაპოპულარული ხდება, რადგან იძულებულია, მკაცრი ფინანსური პოლიტიკა გაატაროს. ეს კი, პირველ რიგში, ხალხის ჯიბეს ეტყობა."

ისტორია გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს ზოგ რეგიონში დემოკრატია უფრო მტკიცედაა გამჯდარი, ვიდრე სხვებში. ამ მხრივ, უდავო ჩემპიონია დასავლეთ ევროპა. ქრისტიანული ქვეყნები, როგორც წესი, უფრო დემოკრატიული არიან, ვიდრე ისლამური, თუმცა არსებობს დემოკრატიული ისლამური სახელმწიფოებიც.

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე "ბნელ" რეგიონად ჩამოყალიბდა ცენტრალური აზია. ხუთ რესპუბლიკაში ავტორიტარული ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდა 11 სექტემბრის შემდეგ, რადგან ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, მთავრობები პოლიტიკურ ოპონენტებს დაერივნენ.

რაც შეეხება საქართველოს, ბოლო ათი წლის მანძილზე იგი სტაბილურად შედის "ნაწილობრივ თავისუფალი" ქვეყნების სიაში. თუმცა, ამჯერად მას აქვს შანსი, ელიტარულ კლუბში აღმოჩნდეს.

განსხვავებული მეზობლები

სულ ახლახან მთელ მსოფლიოში დიდი ხმაური გამოიწვია ჟაკ შირაკის მიერ ფრანგულ სკოლებში რელიგიური სიმბოლოების აკრძალვამ. აკრძალვა შეეხო როგორც მუსულმანურ ჩადრებსა და ებრაულ ქუდებს, ისე ქრისტიანულ ჯვარცმას.

სკოლებისა და რელიგიის შესახებ გუშინ სრულიად განსხვავებული კანონი მიიღო ესპანეთმა. მადრიდის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ყველა მოსწავლე ვალდებულია, სკოლაში ყოველ წელს ისწავლოს კათოლიციზმი. თუ მოსწავლე განაცხადებს, რომ იგი ათეისტია, მას შეუძლია ისწავლოს მეორე საგანი - "მსოფლიო რელიგიების ისტორია", მაგრამ ეს უკანასკნელი კათოლიციზმის კურსისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება.

აზნარის კონსერვატიული მთავრობის მიერ მიღებული კანონის თანახმად, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს კათოლიკური დოგმები და ეკლესიის შეხედულებები ისეთ წინააღმდეგობრივ საკითხებზე, როგორიცაა სექსი, აბორტი და განქორწინება.

ჩვენ ძალიან ჩამოვრჩებით საფრანგეთს, – ამბობენ უკმაყოფილო ესპანელი ათეისტები, – ჩვენს სკოლებში ყველგან უზარმაზარი ჯვარცმა ჰკიდია და ანაფორაში ჩაცმული მონაზვნები სახელმწიფოს ხარჯზე კათოლიკურ რელიგიას ასწავლიან.

ესპანელების ერთგულებით კათოლიციზმისადმი სხვა სარწმუნოების მიმდევრებიც სარგებლობენ. რაკი სკოლებში ჯვარცმა ნებადართულია, ჩადრების აკრძალვასაც არავინ ფიქრობს.

ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო და ეკლესია დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან და არც ერთ რელიგიას არა აქვს ოფიციალური სტატუსი. თუმცა, მთავრობასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს კათოლიკურ განათლებას.

თუმცა, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს, ბავშვობაში მიღებულ რელიგიურ განათლებას ესპანელები მალევე ივიწყებენ. შარშან ჩატარებული კვლევის თანახმად, მორწმუნე კათოლიკედ თავს ესპანელთა მხოლოდ 19 პროცენტი მიიჩნევს.

არაბეთის ზღვაში 13 მილიონი დოლარის ნარკოტიკები დააკავეს

შაბათს აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალებმა არაბეთის ზღვაში ორი გემი დააკავეს, რომლებსაც დიდი რაოდენობით ნარკოტიკები გადაჰქონდათ. ოპერაცია "ალ-ქაიდას" არალეგალური დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩოებში განხორციელდა. დაკავებული ხომალდების ტრიუმებში გადამალული ჰეროინის დიდი პარტია აღმოაჩინეს, რომლის ღირებულება, შავი ბაზრის ფასების მიხედვით, სამ მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება. ოპერაცია კრეისერის "ფილიპინ სი" მეზღვაურებმა ჩაატარეს. მათ დაკავებული გემების ეკიპაჟის წევრებიც დააპატიმრეს.

მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა "ალ-ქაიდას" არალეგალური დაფინანსების წინააღმდეგ მასშტაბური კამპანია წამოიწყო, არაბეთის ზღვაში უკანონო ტვირთის დაკავების ეს უკვე მეორე შემთხვევაა. ამის გარდა, ამერიკელმა მეზღვაურებმა მეორე გემიც დააკავეს, რომელსაც ორი ტონა ჰაშიში გადაჰქონდა. ტვირთის ღირებულება ათ მილიონ ამერიკულ დოლარს აღწევდა. ეკიპაჟის დაპატიმრებული წევრებიდან, სამი - "ალ-ქაიდასთან" მჭიდრო თანამშრომლობაშია ეჭვმიტანილი. **"ჩვენ ამ ოპერაციასთან "ალ-ქაიდას" შესაძლო კავშირებს ვიკვლევთ,"** - განაცხადა ამერიკელმა ვიცე-ადმირალმა ჯიმ სტავრიდისმა.

ვაშინგტონმა თავისი მეზღვაურების მიერ ჩატარებულ ოპერაციას მაღალი შეფასება მისცა და განაცხადა, რომ **"ეს ტერორის წინააღმდეგ გლობალურ ომში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო."**

ორი სიტყვით

საბერძნეთი. საბერძნეთის კუნძულ როდოსზე გუშინ, დაუდგენელი მიზეზების გამო, ჩაიძირა გემი, რომელზეც 50-ზე მეტი არალეგალური ემიგრანტი იმყოფებოდა. მაშველებმა მხოლოდ ერთი ერაყელის გადარჩენა მოახერხეს. გემი თურქეთის საკურორტო ქალაქ მარმარისიდან მოემართებოდა და მასზე ერაყის, იორდანიის და ავღანეთის მოქალაქეები იმყოფებოდნენ. ისინი ევროპაში ემიგრაციას აპირებდნენ.

■ ■ ■

რუსეთი. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტია "ერთიანი რუსეთი" ყველა საპარლამენტო კომიტეტზე სრული კონტროლის დამყარებას არ გამორიცხავს. ამის შესახებ სახელმწიფო დუმის დეპუტატმა და "ერთიანი რუსეთის" წევრმა ოლეგ კოვალიოვმა განაცხადა. მისი თქმით, პარტიას შესწევს ძალა, "სრული პასუხისმგებლობა აიღოს ყველა კომიტეტზე." ჯერჯერობით, ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური გაერთიანება "სამშობლოს" ლიდერმა დმიტრი როგოზინმა გამოთქვა ეჭვი, რომ "ერთიანმა რუსეთმა" ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. "მთელი დუმის უზურპირება იმ ფრაქციების უგულებელყოფას ნიშნავს, რომელთა უკანაც მილიონობით ამომრჩეველი დგას," - განაცხადა როგოზინმა.

■ ■ ■

პაკისტანი. პაკისტანის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ამიერიდან პაკისტანელ ქალებს თავად შეუძლიათ ქმრების არჩევა. მათ მშობლების ნებართვა აღარ სჭირდებათ. დამკვირვებლები და პაკისტანის პროგრესული საზოგადოება იმედოვნებს, რომ ეს გადაწყვეტილება პირდაპირ გავლენას მოახდენს ტრადიციაზე - "მკვლელობა ღირსებისათვის," რომლის მიხედვითაც ქალის მოკვლის უფლება ჰქონდათ მის უახლოეს ნათესავებს, თუკი ეს ქალი თავისი სურვილით და ნათესავების დაუკითხავად გათხოვდებოდა. ასეთი მკვლელობების რიცხვმა შარშან პაკისტანში 450-ს მიაღწია.

■ ■ ■

ფილიპინები. გუშინ 200-დე ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა კუნძულ ლეიტიზე მომხდარი წყალდიდობის და მეწყერის ჩამოწოლის შედეგად. ვარაუდობენ, რომ გარდაცვლილთა დიდ ნაწილს ეძინა, როდესაც კუნძულის ქალაქებში სან-ფრანცისკოსა და ლილოანში მეწყერი ჩამოწვა.

ადგილობრივი სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის ინფორმაციით, მეწყერის ქვეშ 80-მდე საცხოვრებელი სახლი აღმოჩნდა. მაშველებმა მიწისქვეშიდან 77 ადამიანის გვამი ამოიტანეს. 120 ადამიანი დაკარგულად გამოცხადდა. 250 ადამიანის გადარჩენა კი მაშველებმა წარმატებით შეძლეს. სამაშველო სამუშაოები დღესაც გრძელდება. პროვინციის გუბერნატორმა როზეტ ლერიასმა განაცხადა, რომ მეწყერი ექვსი დღის განმავლობაში გადაუღებელმა თავსხმა წვიმებმა გამოიწვია.

■ ■ ■

უკრაინა. დღეს, პოლიტიკური ორგანიზაცია "ჩვენი უკრაინა" პოლიტსაბჭოს საგანგებო სხდომას ჩაატარებს. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხია: პარტიის მოქმედების განსაზღვრა, პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. ამის შესახებ უმაღლესი რადას ფრაქციის - "ჩვენი უკრაინა" - ხელმძღვანელმა იური კოსტენკომ განაცხადა. მის თქმით, მათი პარტია აპირებს, ყველა მშვიდობიანი და მისაღები ფორმით აღკვეთოს პარლამენტის მცდელობა, რომელიც პრეზიდენტის მიერ არის დაგეგმილი და ლეონიდ კუჩმასთვის საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივებას ისახავს მიზნად. კოსტენკომ არ გამორიცხა, რომ 23 დეკემბერს ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტის შენობის ბლოკირება მოახდინონ და კიევის ქუჩებში მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს ჩაუდგნენ სათავეში.

■ ■ ■

ერაყი. გუშინ ერაყში განთავსებულ ესპანეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს თავად ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ხოსე მარია აზნარი ეწვია. მისი ერაყში ვიზიტი ესპანელი ჯარისკაცებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. აზნარმა დივანიაში განლაგებული ის მთავარი ბაზა მოინახულა, სადაც ესპანელები გადიან სამსახურს. ერაყში ამ დროისათვის 1300 ესპანელი ჯარისკაცი იმყოფება. ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ერაყში 4 საათი დაჰყო, ჯარისკაცებთან ერთად ისადილა და სამშობლოში გაემგზავრა. შეგახსენებთ,რომ რამდენიმე კვირის წინ, ბაღდადში ასევე მოულოდნელი ვიზიტით აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ჩავიდა, რომელმაც ამერიკელ ჯარისკაცებთან საერთო სადილი ორ საათში დაასრულა.

წლის ადამიანი: "ამერიკელი ჯარისკაცი"

გუშინ ჟურნალმა "ტაიმმა" წლის ადამიანი დაასახელა. ეს ტიტული "ამერიკელ ჯარისკაცს" მიანიჭა.

ის, რომ წლის მთავარი მოვლენა ერაყის ომი იყო, "ტაიმის" ჟურნალისტებმა ერთხმად გადაწყვიტეს, მაგრამ იმის შესახებ, თუ ვინ იყო ამ ომის სიმბოლო, ცხარე დებატები გაიმართა.

ორი მთავარი კანდიდატი ჯორჯ ბუში და დონალდ რამსფელდი იყვნენ, მაგრამ ტიტული ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო. მათი "დისკვალიფიკაციის" მიზეზი, "ტაიმის" რედაქტორის თქმით, ომისშემდგომ ერაყში გამეფებული ქაოსი გახდა. ამ ქაოსის გამო, ამერიკელ ჯარისკაცებს მოუწიათ, ყოველდღიურად გამხდარიყვნენ თავდასხმების სამიზნე და, ფაქტობრივად, ბრძოლის ველზე გამოესწორებინათ ვაშინგტონში დაშვებული შეცდომები.

ის, რომ წლის ადამიანის ტიტული არა ამ ომის ავტორებმა, არამედ შემსრულებლებმა მიიღეს, სწორედ ავტორთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ წლის ადამიანად "ამერიკელი ჯარისკაცის" გამოცხადება "ტაიმს" თავად რამსფელდმა ურჩია. "ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ტიტულის პრეტენდენტმა რეკომენდაცია სხვას გაუწია," – აცხადებს ჟურნალის რედაქტორი.

"ამერიკელი ჯარისკაცი" წლის ადამიანად ადრეც დასახელებულა. პირველად ეს 1950 წელს, კორეის ომის დროს მოხდა.

მოამარ კადაფის გადაწყვეტილება

ლევან ღირსიაშვილი



ლიბიის ლიდერის გადაწყვეტილებას საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები უპრეცედენტო ნაბიჯად აფასებენ.

ლიბიის პრეზიდენტის მოამარ კადაფის განცხადება საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებში ნომერ პირველ სიახლეს წარმოადგენს. კერძოდ, მან აღიარა ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობა, განაცხადა, რომ უარს ამბობს ამ მიზანზე და გაანადგურებს მის ხელთ არსებულ მასობრივი განადგურების ყველა საშუალებას. კადაფის ეს ინიციატივა ჟურნალისტებს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა აცნობა.

"ეს ისტორიული და ვაჟკაცური გადაწყვეტილებაა და მე ამას მივესალმები," - განაცხადა ბლერმა.

ეს ყველაფერი გუშინწინ იყო. გუშინ კი ლიბიის თავკაცმა სიტყვას საქმეც მოაყოლა და მისი წარმომადგენელი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ვენის ოფისში მიავლინა, სადაც მხარეებმა ლიბიის მიერ მასობრივი გადაგურების იარაღის პროგრამების შეწყვეტის საკითხები დეტალურად უნდა განიხილონ.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ლიბიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა მოწონებით შეხვდა, წინ უსწრებდა ცხრა თვის განმავლობაში საიდუმლო მოლაპარაკებები დასავლეთის წარმომადგენლებთან.

ვენაში გუშინ დაწყებულ მოლაპარაკებებზე კი, ლიბიის მიერ გამოჩენილი ინიციატივის პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობები იქნება განხილული. ავსტრიის დედაქალაქში, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორი მოჰამედ ელ-ბარადეი ამ საკითხებთან დაკავშირებით თავად გამართავს მოლაპარაკებებს მოამარ კადაფის პირად წარმომადგენელთან – ლიბიის სამეცნიერო კვლევების ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელთან.

ლიბიის ლიდერის გადაწყვეტილებას უპრეცედენტო ნაბიჯად აფასებენ საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები. აქამდე ასეთი ნაბიჯი მხოლოდ ერთმა ქვეყანამ – სამხრეთ აფრიკის რეპუბლიკამ გადადგა, თანაც, აპარტეიდის რეჟიმის დამხობის შემდეგ.

"ის ლიდერები, რომლებიც უარს ამბობენ ბიოლოგიური, ქიმიური და ბირთვული იარაღის დამუშავებაზე, გზას უხსნიან თავიანთ ქვეყნებს აშშ-სთან და სხვა თავისუფალ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის," - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.

თავის მხრივ, ლიბიის პრემიერ-მინისტრმა შუქრი განემ განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ გადაწყვიტა, უარი თქვას ბირთვულ იარაღზე და დიდი ყურადღება დაუთმოს ეკონომიკის გაძლიერებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

"ეს ნაბიჯი უნდა დაფასდეს და სხვა ქვეყნებისთვისაც სამაგალითო უნდა გახდეს," - დასძინა მან.

ამავდროულად, ცნობილი გახდა, რომ ლიბიის მთავრობამ საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფს აქამდე გასაიდუმლოებული ათი ობიექტის მონახულების ნება დართო. ერთ-ერთ ობიექტზე ოფიციალური ტრიპოლი ურანის გამდიდრებელ სამუშაოებს აწარმოებდა. სააგენტო "ბიბისიმ" გამოაქვეყნა საერთაშორისო ექსპერტების პირველადი დასკვნა:

ლიბიას არ გააჩნია ბირთვული იარაღი, თუმცა ის ახლოს იყო ამ მიზანთან;

ლიბიაში დაგროვებულია დიდი რაოდენებით მომწამლავი ნივთიერებები და მათი გადასატანი კონტეინერები;

ლიბიაში არსებობს კვლევითი ცენტრები, სადაც შესაძლებელია ბიოლოგიური იარაღის საცდელი ექსპერიმენტების ჩატარება;

ასევე ფუნქციონირებს ცენტრები რაკეტების შესაქმნელი სამუშაობის ჩასატარებლად.

მიუხედავად ამისა, კადაფის ხელისუფლება მზად არის, უარი თქვას ბირთვული ქვეყნის ამბიციაზე, გაწყვიტოს ტერორიზმთან ყოველგვარი კავშირი, დაიწყოს დასავლეთთან თანამშრომლობა და მასობრივი განადგურების იარაღის გასანადგურებელი სამუშაოები. პირველ ნაბიჯს კი ამ ობიექტების მრავალმხრივი და დეტალური შემოწმების დაწყება წარმოადგენს.

დიდი ბრიტანეთის და ლიბიის ლიდერებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ლიბიას შეუძლია თავის არსენალში დაიტოვოს ის რაკეტები, რომელთა მოქმედების რადიუსი არ აღემატება 300 კილომეტრს, ხოლო წონა - 500 კილოგრამს.

ტონი ბლერის განცხადებით, ლიბიის მთავრობამ ლონდონთან აქამდე გასაიდუმლოებული მოლაპარაკებები ცხრა თვის წინ დაიწყო. **"ლიბიამ ჩვენ ჯერ კიდევ მარტში მოგვმართა, მას შემდეგ, რაც "ლოკერბის საქმე" დასრულდა. ლიბიას სურდა, რომ მასობრივი განადგურების იარაღის საქმეც ასე კონსტრუქციულად გადაწყვეტილიყო,"** - განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა.

ლიბიის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმას დადებითი შეფასება მისცეს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებმა. **"ლიბიის მთავრობის გადაწყვეტილება მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის წარმატებაა,"** - განაცხადა საფრანგეთის აგარეთ საქმეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა.

ამ ფაქტს ისრაელის საგარეო უწყების შეფი სილვან შალომიც გამოეხმაურა და გამოთქვა იმედი, რომ სულ მალე ლიბია საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი გახდება.

UHT-რძე მიაქციეთ ყურადღება!

"სკანაგრი"-საკონსულტაციო ფირმის მიერ თბილისში ჩატარებული უკანასკნელი გამოკვლევებით, რძის მომხმარებლების თითქმის ნახევარი მოიხმარს პასტერიზებულ, ხოლო ერთი მესამედი მხოლოდ პასტერიზებულ რძეს.

"ეს არის სასიკეთო ტენდენცია, როცა თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ირჩევს პასტერიზებულ პროუქტებს."- აცხადებს შვედი ექსპერტი, დიეტოლოგი ოსა მობერგი. "რადგანაც პასტერიზაციის დროს ხდება იმ ბაქტერიების განადგურება, რომლების საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის."

თითქმის ყველამ იცის თუ რას წარმოადგენს პასტერიზაციის პროცესი, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ბაზარზე გაჩნდა შედარებით ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ჯერ იმპორტირებული, შემდეგ კი ადგილობრივი წარმოების ("სოფლის ნობათი", "სანტე უოლშ პროდუქტები") რძე რომლის ეტიკეტზე შეხვდებით ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობ ტერმინს UHT.

რა არის UHT?

(Ultra high temperature), ანუ ულტრა მაღალი ტემპერატურა

UHT არის რძის დამუშავების ტექნოლოგია, რომლის დროსაც ხდება რძის გაცხელება 137-140 გრადუს ცელსიუსამდე 2-4 წამის განმავლობაში და შემდეგ ხდება მისი მომენტალური გაცივება, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შენარჩუნდეს რძეში არსებული ვიტამინები და მინერალები. ამ პროცესის შედეგად რძეში მთლიანად ნადგურდება არასასურველი ბაქტერიები და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, არ ხდება კვებითი ღირებულების შემცირება. UHT რძე ვიტამინებსა და მინერალებთან ერთად მაქსიმალურად ინარჩუნებს ნატურალურ გემოს, ასეპტიკური შეფუთვა კი იცავს მას ჰაერისა და სინათლისგან. აღნიშნული ტექნოლოგია იძლევა პროდუქტის ხანგრძლივად შენახვის შესაძლებლობას მაცივრის გარეშე ნებისმიერ ტემპერატურაზე. UHT რძე არ შეიცავს არავითარ ქიმიურ დანამატებს. მისი შენახვის ხანგრძლივობა 60-90 დღეა.

UHT წარმოადგენს მოწინავე ტექნოლოგიას, რომელიც სამოციანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა ტრადიციულად რძის მწარმოებელ ისეთ ქვეყნებში როგორიც არის ჰოლანდია, შვეიცარია, გერმანია, სკანდინავიის ქვეყნები, აშშ, კანადა, ავსტრალია და მრავალი სხვა. მისასალმებელია, რომ აღნიშნული ტექნოლოგიით დამზადებული რძე გამოჩნდა ქართულ ბაზარზეც.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

სკანაგრი –პროექტი საქართველოში
მცხეთის ქ. N 2 ბინა N12 თბილისი, 380070,საქართველო
ტელ/ფაქსი: + 995 22 79 07
www.scanagri.ge

„მინდა, შენნაირი გამოვიდე!"

საკუთარ დაბადების დღეს, 21 დეკემბერს, მიხეილ სააკაშვილმა დიღმის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მიუტანა საჩუქრები; ტორტებისა და სხვა ტკბილეულის გარდა - დიდი ფერადი ტელევიზორიც. ნივთი, რომლის ქონის სურვილსაც "სახლში" მცხოვრები ბავშვები ამ ცოტა ხნის წინათ რადიო "მწვანე ტალღის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში გამოთქვამდნენ. პრეზიდენტობის კანდიდატმა მათ ეს სურვილი შეუსრულა.

მაკა ჯაიანი

"მი-შა! მი-შა! გილოცავთ! გილოცავთ!" – ასეთი შეძახილებით შეხვდნენ ეზოში შემოსულ სააკაშვილს მისი სურათებითა და ხუთჯვრიანი დროშებით "შეიარაღებული" პატარები. **"კარგი ადამიანია. რაც უთქვამს, ყველაფერი შეუსრულებია. მაგის იმედი გავქვს,"** – დიდებივით უზიარებდნენ აზრს ჟურნალისტებს თითისტოლა ბავშვები და სტუმართან, რაც შეიძლება, ახლოს მისვლას ცდილობდნენ.

ორი წითელი ვარდი მიხეილ სააკაშვილს ბავშვთა სახლის კარებში ელოდა. **"იმ დღეებში პატარები კოჯორში გვყავდა აყვანილი. შედარებით დიდები აქ იყვნენ, მაგრამ სახლში ვერ ვაჩერებდი, მიტინგი არ გამოუტოვებიათ. მეც მათთან ერთად ვიდექი პარლამენტის წინ,** – ამბობს სახლის დირექტორი დონა მაღრაძე, - **ეს სახლი საჩვენებელი იყო თავის დროზე. იმედია, აწიც ასე იქნება."**

დიღმის ბავშვთა სახლს ისევე, როგორც საქართველოს სხვა ინსტიტუციონალურ დაწესებულებებს დღეს ბევრი რამ აკლია. დეკლარირებული პრიორიტეტულობის მიუხედავად, მისი დაფინანსება წელსაც სეკვესტრში მოყვა. საკვებს ბავშვებისთვის კრედიტით იღებენ, ტანისამოსის, ფეხსაცმლის, სასკოლო ნივთების, ჰიგიენური საშუალებებისა და რემონტისთვის კი სახსრები არ ჰყოფნით.

სააკაშვილმა დაბადების დღე ბავშვთა სახლში აღნიშნა.

ზაირა გელაშვილის ფოტო

101 ბავშვის გარდა, რომელთა ნაწილი სრული ობოლია, "სახლში" აფხაზეთიდან დევნილი თერთმეტი ოჯახიც ცხოვრობს. მომავალი პრეზიდენტის სანახავად – როგორც თავად ამბობდნენ – მათთან ერთად პატარები მეზობელი სახლებიდანაც გადმოვიდნენ. მიხეილ სააკაშვილმა შენობა დაათვალიერა, მერე სასადილოს მიაშურა და ირგვლივ შემოკრებილ ბავშვებს სადღესასწულო ტორტი დაუჭრა.

"არ შეიძლება, პატარები უყურადღებოდ იყვნენ. მინდა, მივმართო ყველას: თუ რამე საჩუქარი გაქვთ ჩემი დაბადების დღისთვის წელს, მომავალ წელს თუ შემდეგ წლებში, ასეთ ბავშვებს მოუტანეთ," – განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა. დიღმის ბავშვთა სახლის პატარებისთვის იგი უკვე კერპია. მის კითხვას, როცა გაიზრდები, ვინ გინდა იყოო, - გუშინ ასე უპასუხეს: მინდა, შენნაირი გამოვიდე!

ქართველი ხალხის ამერიკელი მეგობრები

ლელა მარგიანი

თბილისში ცხოვრობენ ამერიკიდან ჰუმანიტარული მისიით ჩამოსული ოჯახური წყვილები. "საზოგადოებრივი განვითარების მისიონერები" - სტივ და შარ პიტერსონები და პენსიონერი მასწავლებლები - სელ და დინ ჰეკინგსები. პიტერსონები სოციალურად დაუცველ ფენებს ეხმარებიან, ჰეკინგსები კი ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს უფასოდ ამეცადინებენ.

პიტერსონებისა და ჰეკინგსებისთვის საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც ისინი ჰუმანიტარული მისიით ჩამოვიდნენ. მანამდე მათ არაფერი იცოდნენ საქართველოს შესახებ. ამერიკელმა მეგობრებმა, ვის ნაცვლადაც ისინი ჩამოვიდნენ, უთხრეს, რომ საქართველოში ჩამოსვლა მათთვის "ლატარიაში მოგების ტოლფასი" იქნებოდა. საქართველოში ყოფნის, თითქმის, ერთი წლის შემდეგ ორივე წყვილი გულწრფელად აღიარებს, რომ ეს, მართლაც, ასეა. ამჟამად ისინი ხალისით და სიყვარულით ჰყვებიან ჩვენს ქვეყანაზე, აქ შეძენილ ქართველ მეგობრებზე, ქართულ კულტურასა და სუფრაზე.

ამერიკელები იუმორით იხსენებენ საქართველოში ჩამოსვლის პირველ დღეს, როდესაც იანვარში, ღამის სამ საათზე ჩამოფრინდნენ ჩაბნელებულ და გაყინულ თბილისში გაჩახჩახებული და კომფორტული ამერიკიდან. ეს მათთვის ძალიან მძიმედ აღსაქმელი იყო, ამიტომ პირველი შთაბეჭდილებები საკმაოდ "ცივი და გაყინული" ჰქონდათ. მაგრამ, ამ განწყობამ მხოლოდ იმდენ ხანს გასტანა, რა დროც თბილისის აეროპორტიდან პატარა მანქანით მგზავრობას დასჭირდა. შემდეგ, უკვე სახლში "ყველაფერი საუკეთესოდ გაგრძელდა".

პიტერსონების თქმით, ისინი სოციალურად დაუცველ ფენებზე ზრუნავენ. ეხმარებიან საავადმყოფოებს, სკოლებს, ბავშვთა სახლებს. ერთი წლის განმავლობაში ამერიკიდან, ჰუმანიტარული მიზნით გამოგზავნილი თანხით 37 კონტეინერის შეძენა შეძლეს;

სულ განხორციელდა 26 ინდივიდუალური პროექტი: ზუგდიდში მცირე კაშხალი შეაკეთეს, ერთ-ერთ სკოლას გათბობის სისტემა მოუწესრიგეს, სხვა სკოლებისთვის საჭირო სასწავლო ინვენტარი შეიძინეს, დაეხმარნენ კოჯრის, სენაკის ბავშვთა სახლებს.

ამერიკელებმა აღნიშნეს, რომ მეგობრობენ თბილისის რამდენიმე სკოლასთან. განსაკუთრებული სიყვარულით გაიხსენეს კერძო სკოლა "კაი ყმა". ამ სკოლაში პირველად სტუმრობისა და გაცნობის შემდეგ გაოცებულები დარჩენილან იმით, რომ ქართველმა ბავშვებმა სამ – ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე სპექტაკლები უჩვენეს. გულდაწყვეტილებმა აღნიშნეს, რომ, ქართველი ბავშვებისგან განსხვავებით, მათმა ამერიკელმა თანატოლებმა მხოლოდ ერთი – მშობლიური ენა იციან და სხვა ენების სწავლის დიდი სურვილი არც აქვთ.

პიტერსონებმა სკოლის ინგლისური ენის კაბინეტს საჩუქრები გადასცეს: მაგნიტოფონი, ყურთსასმენები, ამერიკაში გამოცემული ლექსიკონები და ენციკლოპედიები, დაფა, სპეციალურად ამ სკოლისთვის ამერიკიდან გამოგზავნილი ამერიკის დროშა.

ამერიკელები სხვა სკოლებთან და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთანაც თანამშრომლობენ.

ქალბატონი სელისგან ისიც შევიტყვეთ, რომ მიცკევიჩის ქუჩაზე "ინგლისური ენის შემსწავლელ ცენტრში" ისინი კვირაში ორჯერ მეცადინეობენ ატარებენ - ოთხი დონის მიხედვით, ხოლო მეხუთე დონის მსმენელებს პიტერსონები ამეცადინებენ. უფასო კურსებზე ამჟამად 350 სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანი სწავლობს სალაპარაკო ინგლისურს.

ამერიკელები ხალისით და სიყვარულით ჰყვებიან თავიანთ შთაბეჭდილებებს საქართველოზე. უნახავთ ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, ბორჯომი, გუდაური. აღტაცებულები დარჩენილან ვარძიით, რამდენჯერმე ყოფილან სვეტიცხოველში და ჯვარზე. ქართულ კერძებსაც სიამოვნებით მიირთმევენ - განსაკუთრებით მოსწონთ ხინკალი, მწვადი, ხაჭაპური, ჩურჩხელა და გოზინაყი. ნოსტალგიის დროს კი "მაკდონალდს" სტუმრობენ. ხალისით აღნიშნავეს, რომ ქართულ "ჰამბურგერსაც" ისეთივე გემო აქვს, როგორც ამერიკულს.

ისინი "ვარდების რევოლუციის" დროს თბილისში იყვნენ. თავისუფალი ქვეყნის შვილები დადებითად აფასებენ იმას, რაც მოხდა.

"შესანიშნავი რევოლუცია იყო. თავიდან ვლელავდით - გვეგონა, სიტუაცია გაუარესდებოდა და იძულებულები ვიქნებოდით, ქვეყანა დაგვეტოვებინა. ჩვენი მეგობრები, რომლებიც CNN-ის საშუალებით თვალყურს ადევნებდნენ თბილისში მიმდინარე პროცესებს, ამერიკიდან ხშირად გვირეკავდნენ, გვეკითხებოდნენ, – როგორ ხართო. ძალიან გვიხარია, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ისე, გარეთ მაინც არ გავსულვართ, სახლში ვისხედით," - თქვა შარ პიტერსონმა.

საქართველოთი აღტაცებულ ამერიკელებს არც ის დაუმალავთ, რომ მათ არ მოსწონთ საქართველოს გზები, ნაგვით სავსე ქუჩები და დენის ხშირი გათიშვები.

მათი პროგრამა ივნისში დასრულდება და ისინი დაბრუნდებიან ამერიკაში, სადაც თითოეულს დიდი ოჯახი ჰყავს - 5-5 შვილი, 15 და 17 შვილიშვილი.

"ზაფხულში მივდივართ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ქართველი ხალხის მეგობრები ვიქნებით," – ამბობენ ამერიკელები.

თვალსაზრისი

ყველაფერი ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების შესახებ

"24 საათში" ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის მონაწილემ, პროფესორმა გაიანე სიმონიამ ექიმთა უწყვეტი განათლების შესახებ საუბრისას განაცხადა, რომ თუ ექიმი 5 წელიწადში 250 კრედიტქულას არ დააგროვებს, სერტიფიკატი არ გაუგრძელდება და მას სამსახურიდან გაუშვებენ.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა. ექიმი, რომელიც 5 წელიწადში 250 კრედიტქულას ვერ დააგროვებს, გავა სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე და 75%-იანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში მიიღებს ახალ სერტიფიკატს 5-წლიანი ვადით. 250 კრედიტქულა, უბრალოდ, არის აღნიშნული გამოცდის ალტერნატივა და იმის გარანტია, რომ ექიმი სერტიფიკატს ყოველგვარი გამოცდის გარეშე მიიღებს.

რაც შეეხება სერტიფიკატის გარეშე დარჩენას, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ექიმი 5 წლის განმავლობაში ვერ დააგროვებს 100 კრედიტქულას, რაც, სურვილის შემთხვევაში, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

ამასთან დაკავშირებით, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გთავაზობთ წერილს, რომელიც მოამზადეს ჯანდაცვის სფეროში კანონშემოქმედებითი ჯგუფის წევრებმა - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გურამ კიკნაძემ და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გივი ჯავაშვილმა.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უწყვეტი სამედიცინო განათლება (უსგ) ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტად არის აღიარებული. ჩამოყალიბებულია "ბერკეტების სისტემა", რომელიც სტიმულს აძლევს ექიმს, გამუდმებით იზრუნოს თავისი პროფესიული დონის ამაღლებაზე უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში მონაწილეობის გზით. დასავლეთის ქვეყნებში, უკვე დიდი ხანია, რაც ფართო საზოგადოება აპრიორულად აღარ თვლის, რომ ყველა ექიმი სათანადო დონის პროფესიონალია. საზოგადოება და ხელისუფლება მოითხოვს ექიმებისაგან იმის დასაბუთებას, რომ მათ შესწევთ უნარი, პაციენტებს გაუწიონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

საერთაშორისო გამოცდილება

ცივილიზებულ ქვეყნებში უწყვეტ სამედიცინო განათლებას, შედარებით, დიდი ხნის ისტორია აქვს და თითოეულ მათგანში ჩამოყალიბებულია ამ სისტემაში ექიმთა მონაწილეობის მოტივირების რამდენადმე განსხვავებული მოდელები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში (უფრო ზუსტად, 39 შტატში) ექიმი ვერ შეძლებს, შეინარჩუნოს ლიცენზია, თუ ის პერიოდულად არ დაადასტურებს, რომ დააგროვა სათანადო რაოდენობის უსგ კრედიტსაათები; სხვადასხვა შტატში ლიცენზიის გაგრძელებისათვის საჭირო კრედიტსაათების რაოდენობა განსხვავდება.

ევროპის ბევრ ქვეყანაში უსგ-ში მონაწილეობა ექიმის ეთიკური მოვალეობაა, ამასთან, სამედიცინო ორგანიზაციები თუ სადაზღვევო კომპანიები იმ ექიმებს უფრო მეტ ხელფასს უხდიან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ უსგ სისტემაში. მეორე მხრივ, თანდათან მკვიდრდება უსგ-ის სავალდებულობაც. როგორც ეს "მედიცინის სპეციალისტთა ევროპულ გაერთიანებასთან" არსებული "ევროპის უწყვეტი სამედიცინო განათლების საბჭოს" ერთ-ერთ დოკუმენტშია აღნიშნული, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში კონკრეტული ნაბიჯები იდგმება სავალდებულო უსგ-ის შემოსაღებად, რაც "რე-სერტიფიცირებასთან" ან "რე-ლიცენზირებასთან" არის შეულებული. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, გერმანიასა და ესპანეთში უსგ-ში მონაწილეობა ექიმებისთვის "ნახევრად" სავალდებულოა. ამ ქვეყნებში უსგ საქმიანობა აუცილებელია საავადმყოფოებსა და სადაზღვევო კომპანიებთან ხელშეკრულების გასაფორმებლად. ჰოლანდიასა და ავსტრიაში ექიმებს პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნება კანონით ევალებათ. ზემოთ მოხსენიებული ქვეყნების დიდ ნაწილში უსგ პროცესს, ძირითადად, პროფესიული ასოციაციები წარმართავენ. იტალიაში "რე-ლიცენზირების" სისტემას კანონით დადგენილი წესით ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო წარმართავს. მსგავსი კანონმდებლობა შემუშავებულია საფრანგეთშიც, თუმცა ის ჯერჯერობით ძალაში არ არის შესული. არის ქვეყნებიც, სადაც უწყვეტი სამედიცინო განათლება ნებაყოფლობითია (სკანდინავიის ქვეყნები, ლუქსემბურგი, პორტუგალია და საბერძნეთი).

საყურადღებოა, რომ ევროპაში 1999 წლიდან არსებობს საერთაშორისო სტრუქტურა, რომელიც ევროპის ქვეყნებში (უფრო სწორედ, სამედიცინო სპეციალობათა ევროპული გაერთიანების წევრ ქვეყნებში) უწყვეტი სამედიცინო განათლების შესაბამისი საქმიანობების საერთაშორისო აკრედიტაციას ახდენს, რაც ამ ქვეყნებში უსგ კრედიტსაათების "გაცვლის" საშუალებას ქმნის. ამასთან, უკვე კონკრეტული ნაბიჯები არის გადადგმული, რათა დაახლოვდეს ევროპის ზემოთ მოხსენიებული სტრუქტურისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი ორგანიზაციების მიერ წარმოებული უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები. აღნიშნულმა ნაბიჯებმა მრავალ ევროპელ ექიმს მისცა საშუალება, მოეპოვებინა უსგ კრედიტსაათები აშშ-ში. თუმცა, მეორე მხრივ, გაცილებით ნაკლებია ამერიკელ ექიმთა რაოდენობა, რომლებიც იღებენ უსგ კრედიტსაათებს ევროპის ქვეყნებში. შესაბამისი დარგის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უსგ კრედიტსაათების გაცვლის ინტენსიურობა გაიზრდება ევროპაში ისეთი ქვეყნების რაოდენობის ზრდის პარალელურად, სადაც უსგ-ში მონაწილეობის სავალდებულობა კანონით არის დადგენილი.

ამრიგად, სადღეისოდ განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნება სტრუქტურიზებული უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემების ჩამოყალიბების ტენდენცია. თუმცა, აღნიშნული სისტემები მართვისა და ხარისხზე ზედამხედველობის მეთოდებით ერთმანეთისაგან განსხვავდება. დარწმუნებული ვართ ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია სავალდებულო უწყვეტი სამედიცინო სისტემის ეტაპობრივი განვითარება, რათა ხელი შეეწყოს ჩვენი ექიმების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებაში "არსებული" უაღრესად დიდი არსობრივი და ხარისხობრივი განსხვავების აღმოფხვრას და მის მისადაგებას თანამედროვე მედიცინის მიღწევებთან.

უწყვეტი სამედიცინო განათლება საქართველოში

საბჭოურ პერიოდში ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლება, ძირითადად, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების ფუნქცია იყო.

დამოუკიდებელ საქართველოში 90-იანი წლების შუაში დაგეგმილი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ერთ-ერთ სტრატეგიული მიმართულებად სამედიცინო განათლების რეფორმა იქნა მიჩნეული. სწორედ ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯების შედეგია უმაღლესის შემდგომი განათლების (რეზიდენტურის) სისტემის ამოქმედება და ექიმთა სასერტიფიკაციო გამოცდების შემოღება.

ექიმების პროფესიული დონის ამაღლებისათვის გამიზნული შემდეგი ღონისძიება იყო სპეციალისტთა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ახლებური ფორმით დაფუძნება და განვითარება. ამ გზაზე გადადგმული ნაბიჯების ქრონოლოგია ასეთია:

1997 წელს მიღებულ კანონში "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" უკვე იყო ნახსენები ცნება "უწყვეტი სამედიცინო განათლება".

2001 წელს ამოქმედდა კანონი "საექიმო საქმიანობის შესახებ", სადაც აუცილებლად არის მიჩნეული ექიმის მონაწილეობა უწყვეტ სამედიცინო განათლებაში საექიმო საქმიანობის სახელმწიფო სერტიფიკატის ახალი ვადით (5 წლით) გასაგრძელებლად.

ამავე წელს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 24 ნოემბრის N478 ბრძანებულებით, დამტკიცდა "საქართველოში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის რეორგანიზაციის კონცეფცია". მოგვიანებით კი მომზადდა "დიპლომის შემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების საბჭოს" დებულება, რომლის საფუძველზეც, ჩამოყალიბდა შესაბამისი საბჭო.

ახალი სისტემის ამოქმედების თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 2003 წლის მაისი, როდესაც საქართველოს ექიმთა კონგრესის ფარგლებში, დაახლოებით, 5000 ექიმმა მიიღო მონაწილეობა ზემოთ მოხსენიებული საბჭოს მიერ აკრედიტებულ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამები ექიმთათვის უფასოდ ჩატარდა.

კონგრესის დასრულების შემდეგ დაიწყო უსგ პროგრამების ხელახალი აკრედიტაცია და დღეს სიტუაცია ასეთია: ექიმთა კონგრესის შემდეგ საბჭოში განსახილველად შემოვიდა 362 პროგრამა, აკრედიტებული პროგრამების რაოდენობაა - 293. პროგრამები მოიცავს საექიმო სპეციალობათა სრულ სპექტრს, თუმცაღა არის სპეციალობები, სადაც პროგრამების დეფიციტი აღინიშნება (მაგ., ტრავმატოლოგია-ორთოპედია, ნეიროქირურგია).

წარმმართველი ორგანო და პროგრამების განმახორციელებლები

საქართველოში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემას წარმართავს "დიპლომის შემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების საბჭო", რომელსაც ხელმძღვანელობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და რომლის შემადგენლობაც შემდეგი პრინციპით განისაზღვრება:

ა) ექიმთა პროფესიული ასოციაციების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან - 6 წარმომადგენელი;

ბ) უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებიდან - 6 წარმომადგენელი;

გ) საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიიდან - 6 წარმომადგენელი;

დ) სამედიცინო სამეცნიერო დაწესებულებებიდან - 6 წარმომადგენელი;

ე) სამედიცინო დაწესებულებებიდან - 5 წარმომადგენელი;

ვ) სამინისტროდან - 4 წარმომადგენელი;

ამრიგად, საბჭოში სულ 33 წევრია და მასში წარმოდგენილია უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემასთან დაკავშირებული ყველა ტიპის დაწესებულება თუ ორგანიზაცია. მომავალში, როცა ქვეყანაში შეიქმნება სათანადო სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, ვფიქრობთ, რომ უსგ-ის სისტემას ორი თანაბარი მნიშვნელობის საყრდენი ექნება - *უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებო დაწესებულებები სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად და ექიმთა დარგობრივი პროფესიული გაერთიანებები.*

სულ რამდენიმე თვეა, რაც მოქმედებს დიპლომის შემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების საბჭო და უკვე ნათელი გახდა, რომ დღესვე არის აუცილებელი მოქმედი, "ეფექტური" პროფესიული ასოციაციების უფრო ინტენსიური ჩართვა საბჭოს მუშაობაში. კერძოდ, პირველი ნაბიჯები, ალბათ, უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებისა და სხვა ფორმების აკრედიტაციას უნდა შეეხოს. თუ ასე მოხდა, ვფიქრობთ, რომ უფრო შედეგიანი და ხარისხიანი გახდება ზემოთ მოხსენიებული საბჭოს საქმიანობა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე იდგმება, რაც პროფესიული ასოციაციებისა და მათი კომპეტენციის შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და დაზუსტებაში გამოიხატება.

რაც შეეხება უსგ საქმიანობების (უსგ პროგრამები, კონფერენციები, კონგრესები და სხვა) განმახორციელებლებს, აქ ერთადერთი "შეზღუდვა" შესაბამისი რესურსებისა და ლიცენზიის ქონაა. უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში მონაწილეობა და შესაბამისი პროგრამებისა თუ სხვა ღონისძიებების ორგანიზება შეუძლია *ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მიუხედავად ამ უკანასკნელის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა* ("საქართველოში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის რეორგანიზაციის კონცეფცია"). ამ ორგანიზაციების რესურსები და შესაძლებლობა შეფასდება აკრედიტაციის პროცესში.

უსგ-ს ფორმები

უწყვეტ სამედიცინო განათლებად, ალბათ, ყველა ის საქმიანობა უნდა ჩაითვალოს, რაც ექიმის პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებას და სრულყოფას უწყობს ხელს. "საქართველოში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის რეორგანიზაციის კონცეფციაში" მითითებულია, რომ უწყვეტი სამედიცინო განათლების ფორმები შეიძლება იყოს:

ა) მოკლე და გრძელვადიან უსგ პროგრამებში მონაწილეობა;

ბ) სტაჟირება სპეციალიზებულ დაწესებულებაში;

გ) წინასწარი და დასკვნითი ტესტებით თანხლებული ნაბეჭდი ლიტერატურის დამუშავება;

დ) კურსები ინტერნეტისა და სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, სავალდებულო შეფასებით (კომპაქტურ დისკებზე ჩაწერილი მასალების დამუშავების ჩათვლით);

ე) კონგრესებსა და კონფერენციებში მონაწილეობა;

ვ) მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების გამოცემა;

ზ) სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება სამამულო და უცხოურ გამოცემებში;

თ) კლინიკურ გარჩევებში, კონსილიუმებში მონაწილეობა, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმიდან ამონაწერით;

ი) სამეცნიერო ხარისხის მოპოვება;

კ) უმაღლეს სამედიცინო სასწავლებ-ლებში ან უსგ-ის პროგრამებში სწავლება.

საბჭომ უკვე მოახერხა, რომ შეექმნა საფუძვლები მოკლევადიანი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების აკრედიტაციისათვის - კერძოდ, მომზადდა ასეთი პროგრამების აკრედიტაციის კრიტერიუმები, პროგრამის საერთო სტრუქტურა და სააპლიკაციო ფორმა; აგრეთვე, განისაზღვრა მათი აკრედიტაციის პროცედურა.

მომდევნო ეტაპი უნდა იყოს უწყვეტი განათლების ფორმების სპექტრის თანდათანობითი გაფართოება. ამ მიმართულებით მუშაობა უფრო სწრაფი ტემპით უნდა წარმართოს, რათა ექიმებს მიეცეთ სათანადო რაოდენობის კრედიტსაათის დაგროვების შესაძლებლობა.

ამასთან, ვფიქრობთ, რომ პრიორიტეტი სწორედ უსგ პროგრამების პროსპექტული აკრედიტაციის დაწყება უნდა ყოფილიყო, რადგან გარკვეულ აქტიობებს, რომლებიც ექიმებს, შეიძლება, უსგ საქმიანობად ჩაეთვალოს, "ყავლი არ გასდის"; ვგულისხმობთ უსგ კრედიტსაათების მინიჭებას მონოგრაფიებისა თუ სტატიების გამოქვეყნებისა და სამეცნიერო ხარისხის დაცვის საფუძველზე. ასეთი საქმიანობისათვის კრედიტსაათების მინიჭება არასოდეს არ არის გვიან, თუკი ეს მომდევნო სერტიფიცირების ვადამდე მოხდება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ათეულ ათასობით მოქმედი ექიმიდან, ზემოთ მოხსენიებული გზით, კრედიტსაათების დაგროვების შესაძლებლობა მხოლოდ რამდენიმე ასეულ ექიმს ექნება და ძირითადი "დატვირთვა" მაინც დასწრებულ უსგ ფორმებზე იქნება.

საბჭოს მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა იყოს კონგრესების, კონფერენციების აკრედიტაცია და უცხოეთში მიღებული უსგ კრედიტსაათების აღიარების თუ "კონვერტაციის" სისტემების დანერგვა.

უსგ-ს ხელმისაწვდომობა

უწყვეტ სამედიცინო განათლების ხელმისაწვდომობა ამ სისტემის ამოქმედების და განვითარების ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. უპირველესი პრობლემა სისტემის დაფინანსებაა - ვინ და როგორ უნდა გადაიხადოს სისტემაში ექიმის მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები. ბუნებრივია, რომ ექიმს უჭირს ამ საზღაურის გადახდა. თუმცა, არის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემაც. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ პროგრამათა უმრავლესობა თბილისში ტარდება და რეგიონებში მომუშავე ექიმებისათვის ამ პროგრამებში მონაწილეობა დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული (პროგრამაში მონაწილეობა უფასოც რომ იყოს, ექიმს უხდება მგზავრობისა და თბილისში ცხოვრების ხარჯების გაღება).

ზემოთ მრავალჯერ მოხსენიებულ კონცეფციის მიხედვით, ექიმის უსგ-ში მონაწილეობას ან მის ნაწილს შეიძლება აფინანსებდეს დამქირავებელი, სადაზღვევო კომპანია, სახელმწიფო, ფარმაცევტული კომპანიები და თავად ექიმი. ექიმებისთვის უნდა დაწესდეს გარკვეული შეღავათები უსგ-ის პროგრამებში მონაწილეობის მიღების ნასახალისებლად, მაგალითად - ხელფასიანი შვებულებები, მგზავრობის და ან უსგ კურსებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ანაზღაურება და სხვა. საყურადღებოა, რომ ასეთ შეღავათებს უკვე ითვალისწინებს საქართველოს კანონი "საექიმო საქმიანობის შესახებ"; კერძოდ, ამ კანონის 96-ე მუხლში ნათქვამია, რომ ექიმს "უწყვეტ სამედიცინო განათლების სისტემაში მონაწილეობის მისაღებად უფლება აქვს, დამქირავებლისაგან მოითხოვოს ფასიანი შვებულება, აგრეთვე, უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯებისა და მგზავრობის, ასევე, უწყვეტი სამედიცინო განათლების კურსებში მონაწილეობისათვის ანაზღაურება". აღნიშნული შეღავათების მოცულობა და მიღების წესი უნდა განსაზღვროს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იკისროს უსგ სისტემაში მონაწილეობის ხარჯები იმ ექიმებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველნი არიან. ამასთან, სამინისტრომ გადაუდებლად უნდა შეიმუშაოს სამართლებრივი ინსტრუმენტი, რათა "ჩაირთოს" დამქირავებლების ვალდებულებების მექანიზმიც, რაც თანამშრომლისათვის უსგ სისტემაში მონაწილეობისათვის შეღავათების მიცემას გულისხმობს.

მნიშვნელოვანია რაოდენობა უსგ პროგრამებისა, რომელსაც ე.წ. დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ ან რომელთა წარმართვა ე.წ. გრანტებიდან ფინანსდება. თუმცა, ცხადია, უსგ სისტემის ამგვარი დაფინანსების იმედად დატოვება გაუმართლებელი იქნება.

თანდათან ფეხს იკიდებს ტრადიცია უსგ საქმიანობების დაფინანსებისა ფარმაცევტული კომპანიების მიერ. აქ, თავისთავად, არსებობს ერთგვარი ინტერესთა კონფლიქტი. საქმე ის არის, რომ ფარმაცევტული კომპანია მოტივირებულია, უსგ პროგრამის მიმდინარეობის პროცესში მოახდინოს იმ პროდუქციის რეკლამირება, რომელსაც ეს კომპანია აწარმოებს. ამიტომ, აკრედიტაციის პროცესი ითხოვს უსგ პროგრამის მომწოდებლისაგან ინ

ᲞᲠᲔᲡᲘᲜᲒᲘ

პატიმარი სამართალდამცველებს საქმის გაყალბებაში ადანაშაულებს

ყაჩაღობის ბრალდებით, ორთაჭალის იზოლატორში მყოფი ჯიმშერ ფირცხალავა, გამოძიებას უნდობლობას უცხადებს და, პროტესტის ნიშნად, შიმშილობის აქციას მიმართავს. თითქმის ერთი თვე გახდება, რაც ჯიმშერ ფირცხალავა შიმშილობს. შიმშილობის ოცი დღის თავზე, მან პირი ამოიკერა. მიუხედავად იმისა, რომ მოშიმშილე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ექიმების მეთვალყურეობისა და მუდმივი სამედიცინო კონტროლის ქვეშ იმყოფება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე კრიტიკულია.

ხათუნა ჯანგირაშვილი

"არ შევწყვეტ შიმშილობას მანამ, სანამ სამართალს არ ვიპოვი", - ასეთი პრინციპული პოზიცია აქვს ჯიმშერ ფირცხალავას.

მოშიმშილე პატიმარი ირწმუნება, რომ ის უდანაშაულოა და სამართალდამცველებმა უკანონოდ დააკავეს. **"რადგან ნასამართლევი ვიყავი, ადვილად მომძებნეს, გახსნილი საქმეების სტატისტიკა ჩემით კიდევ გაზარდეს და ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც თავად სურდათ. არც ჩემი ალიბი აინტერესებთ და არც ის, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო ვარ იმ ბრალდებაში, რაც უსირცხვილოდ წამიყენეს",** - აცხადებს ჯიმშერ ფირცხალავა.

პატიმარი ირწმუნება, რომ მისი საქმის გამოძიება სერიოზული პროცესუალური დარღვევით წარიმართა. **"საგამოძიებო მოქმედებებისას შედგენილი არც ერთი ოქმისთვის ხელი არ მომიწერია. წერდნენ იმას, რაც უნდოდათ. ოქმის ბოლოს კი ჩემს მაგივრად ხელს თავად აწერდნენ. ვითხოვ, ჩაუტარდეს კალიგრაფიული ექსპერტიზა შეთითხნილი საქმის ფურცლებს",** - ასეთია პატიმრის მოთხოვნა, რომელსაც შიმშილობის აქცია ოჯახის წევრებმაც ვერ შეაწყვეტინეს.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, პატიმრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. საგამოძიებო მოქმედებებზე შედგენილ ოქმებზე მართლაც დაინიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნა უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

"ჯიმშერ ფირცხალავას ჯანმრთელობის მდგომარეობა მართლაც მძიმეა. ვერანაირმა თხოვნამ მასზე ვერ გაჭრა. როგორც თავად აცხადებს, არც აპირებს შიმშილობის შეწყვეტას მანამ, სანამ იმ პოლიციელთა და გამომძიებელთა დანაშაულს არ დაამტკიცებს, ვისაც საკუთარ უდანაშაულობაში ედავება. შიმშილობა მისი უფლებაა, იძულებით ვერ შევაწყვეტინებთ. არადა, ყველაფრის გარკვევას დრო სჭირდება. ჩვენ მოშიმშილე პატიმრის მიმართ მაქსიმალურ ყურადღებას ვიჩენთ. მის გარშემო მობილიზებულნი არიან ექიმები", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა გოჩა მუკბანიანმა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არც პატიმარს და არც მისი ოჯახის წევრებს მეხუთე საპყრობილის ადმინისტრაციასთან არანაირი პრეტენზიები არ გააჩნიათ, პირიქით, მათგან გამოჩენილი მაქსიმალური ყურადღებით მადლიერებაც არიან.

"ჩემნაირი უდანაშაულო ადრეც ბევრი მოხვედრილა ციხეში და, ალბათ, მომავალშიც ბევრი მოხვდება. სამართალდამცველთა თავგასულობას ოდესღაც ხომ უნდა მოეღოს ბოლო. მე ჩემს მიზანს მივაღწევ. მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ციხის კედლებში უსამართლოდ ვიყო გამომწყვდეული", - აცხადებს ყაჩაღობის ბრალდებით დაპატიმრებული ჯიმშერ ფირცხალავა, რომლის საქმეც უკვე გადაეგზავნა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს განსახილველად.

თუმცა, თუკი კალიგრაფიული ექსპერტიზა მართლაც დაადგენს, რომ საგამოძიებო ოქმებზე არსებული ხელმოწერები პატიმარს კი არა, სამართალდამცველებს ეკუთვნით, ფირცხალავას სასამართლო პროცესზე, შესაძლოა, თავის დროზე ოპერატიულად გახსნილი საქმე თავდაყირა დადგეს. არც ის არის გამორიცხული, ჯიმშერ ფირცხალავას ადგილი საპყრობილეში იმ კანონდამცველებმა დაიკავონ, რომელთა მეშვეობითაც მისი დაპატიმრება მოხდა და რომლებსაც ფირცხალავა "საქმის შეკერვის" სერიოზულ ბრალდებას უყენებს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

"შავ" არქეოლოგს ეძებენ

რუსეთში ომსკის ოლქში იძებნება ე.წ. „შავი“ არქეოლოგი, რომელიც, სამართალდამცველების თქმით, თავისი ცოდნითა და საქმიანობით იმ ჰაკერებზე უფრო საშიშია, რომლებიც სხვისი ანგარიშებიდან ფულს ხსნიან. შავმა არქეოლოგმა კარგად იცის არქეოლოგიური ტექნოლოგია. მის მიერ დამოუკიდებლად მოძიებული არქეოლოგიური ექსპონატები მსოფლიო შავ ბაზარზე მილიონობით დოლარი ღირს.

მაგალითად, შავმა არქეოლოგმა ომსკის ოლქში ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის ყორღანის ტიპის სამარხები გათხარა. ამ უძველესი ძეგლის შესწავლა 2007 წლისათვის იყო დაგეგმილი. როდესაც ამ ადგილის შესწავლა ოფიციალურად დაიწყეს, დადგინდა, რომ გათხრები იქ არქეოლოგიური წესების სრული დაცვით უკვე ჩატარებული იყო... გათხრების ადგილას აღმოაჩინეს კერამიკული თავის ქალები, რომლებიც სარმას კულტურას მიეკუთვნება.

არქეოლოგების თქმით, ადამიანმა, რომელმაც გათხრები აწარმოა, კარგად იცოდა ამ ნივთების მნიშვნელობა. მან ყორღანიდან უფრო ძვირფასი ექსპონატები წაიღო, ვიდრე იქ დარჩენილი თავის ქალებია. არქეოლოგმა მიხეილ საფაროვმა, რომელმაც ეს ვანდალური ფაქტი აღმოაჩინა, გადაწყვიტა თავად მიეხედა ამ საქმისათვის და მასში სამართალდამცავები არ ჩაერია. საფაროვმა მთელი ანტიკვარული ნივთების მაღაზიები შემოიარა, თუმცა ვერც ერთში მნიშვნელოვანი ვერაფერი აღმოაჩინა. მიუხედავად ამისა, საფაროვმა ხანგრძლივი ძიების შემდეგ მაღაზიაში მაინც მიაგნო გათხრების შედეგად მოპოვებულ ერთ-ერთ ნივთს.

კერამიკული დოქი, რომელიც მაღაზიაში იყო, იყიდებოდა. როგორც იქ განაცხადეს, ვინმე სერგეი ციმბალუკმა ჩააბარა. როგორც აღმოჩნდა, ეს ადამიანი კარგად იცნობს არქეოლოგიას. იგი ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია და არაერთ არქეოლოგიურ გათხრაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ამჟამად სერგეი ციმბალუკს სამართალდამცველები ეძებენ.

იარაღის გამყიდველს ახალი ბრალდებები წარედგინა

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ ახალი ბრალდებები წაუყენა ბრიტანელ იარაღით მოვაჭრეს, რომელსაც ადრე ბრალად ედებოდა რუსული წარმოების გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის “იგლას” გაყიდვის მცდელობა.

ლონდონში მცხოვრებ, ინდური წარმომავლობის ბრიტანელს ჰემანტუ ლახანის ამჯერად უკვე ბრალი ედება იმაში, რომ მავანთ სთავაზობდა საზენიტო დანადგარების, ტანკების, ჯავშანტექნიკის, სარადარო სისტემების და ეგრეთ წოდებული “ჭუჭყიანი ბომბის” (ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დატენილია რადიაქტიული ნივთიერებებით) მიყიდვას.

ლახანი წელს აგვისტოში დააკავეს, როდესაც ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკის საერთაშორისო აეროპორტთან მდებარე სასტუმროში გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის “იგლას” გაყიდვას ცდილობდა. ტერორისტი-მყიდველების როლი ფედერალური საგამოძიებო ბიუროს აგენტებმა იტვირთეს. ისინი შეერთებული შტატების, ბრიტანეთისა და რუსეთის სპეცსამსახურების ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში მოქმედებდნენ.

ლახანის მიერ შეთავაზებული კომპლექსი განკუთვნილი იყო ამერიკული ავიალაინერისთვის მიწიდან სასროლად. მან ეს კომპლექსი პეტერბურგში შეიძინა, თუმცა, რუსეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა, რომლებიც ამ შემთხვევაში გამყიდველების როლში იყვნენ, წინასწარ გააუვნებელყვეს რაკეტები.

სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში, ნიუ-ჯერსის სასამართლოს წინაშე ლახანი სწორედ უკვე ახალი ბრალდებებით წარდგება. ამავე დროს, ამერიკის ხელისუფლებამ პატიმრობიდან გაათავისუფლა ამერიკის მოქალაქე, რომელსაც ბრალი წაყენებული არ ჰქონდა, თუმცა კი ეჭვმიტანილი იყო ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში “ჭუჭყიანი ბომბის” აფეთქების მცდელობაში.

სამხედრო ამბოხების ალსაკვეთად „სადამსჯელო ღონისძიებები“ ტარდება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინწინ ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებმა უშიშროების სამინისტროს სპეცჯგუფის “ალფასა” და “ომეგას” ყოფილი წევრები, ამჟამად, კერძო დაცვის სააგენტო “GFK "-ს წარმომადგენლები ფალიაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი მათი დაცვის ობიექტის, “თბილავიამშენის" დირექტორის პანტიკო თორდიას ქალიშვილი სახლში მიაცილეს. კოტე შავიშვილი, ჭიჭიკო გაბისონია, თორნიკე პაპიძე, პაატა დარსმელია და ედუარდ ნაცვლიშვილი, თავდაპირველად, იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს. მოგვიანებით, დაკავებულები პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევაშიც დაადანაშაულეს. პოლიციელთა მიერ ჩატარებული ჩხრეკისას, კოტე შავიშვილის ბინიდან "პსმ"-ის და "მარგოლინის" სისტემის პისტოლეტები ამოიღეს, ჭიჭიკო გაბისონიას ბინიდან - საბრძოლო ვაზნები, ხოლო თორნიკე პაპიძეს სახლში "საიგას" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და 30 საბრძოლო ვაზნა აღმოუჩინეს. რაც შეეხება პაატა დარსმელიას და ედუარდ ნაცვლიშვილს, შსს აცხადებს, რომ დაკავებისას ისინი შეიარაღებულები არ ყოფილან და არც ბინის ჩხრეკისას აღმოაჩნდათ იარაღი, თუმცა დააპატიმრეს იმის გამო, რომ მათ პოლიციას აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს.

დაკავებულთა ოჯახის წევრები და მეგობრები, კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელთა დაკავების ფაქტს, გიორგი ბარამიძის მიერ მოსალოდნელი გადატრიალებისა და მისი ორგანიზატორის იგორ გიორგაძის შესახებ გაკეთებულ განცხადებასთან აკავშირებენ. საქმე ისაა, რომ უშიშროების პოლკოვნიკმა, ამჟამად კერძო დაცვის სააგენტო “GFK”-ს ხელმძღვანელმა კოტე შავიშვილმა სპეცჯგუფი “ალფა“ 1992 წლის გაზაფხულზე თავდაცვის სამინისტროს კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს მაშინდელ თავკაცთან, იგორ გიორგაძესთან ერთად ჩამოაყალიბა და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა კიდეც ამ რაზმს. რაც შეეხება თორნიკე პაპიძეს, იგი სპეცჯგუფ “ომეგას” ყოფილი წევრია და 1997 წელს სხვა ომეგელებთან ერთად “თბილისობის” დღესასწაულზე დაგეგმილი ტერაქტის მცდელობისთვის დააპატიმრეს. თუმცა, მოგვიანებით, მას ტერორისტული ბრალდება მოუხსნეს. დანარჩენი ორი დაკავებული - აფხაზეთის უშიშროების ყოფილი თანამშრომლები, აფხაზეთის ომის მონაწილეები არიან და კერძო დაცვის სამსახურში რამდენიმე დღეა, რაც მუშაობა დაიწყეს. ერთ-ერთი ბრალდებული პაატა დარსმელია კი პანტიკო თორდიას მძღოლი გახლავთ და მას არც დაკავებისას და არც სახლის ჩხრეკისას იარაღი არ აღმოაჩნდა.

ᲤᲝᲢᲝ ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲩᲘᲮᲠᲐᲫᲔ

ვაკე-საბურთალოს სასამართლომ დაკავებულ ხუთეულს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გუშინ ვაკე-საბურთალოს სასამართლომ დაკავებულ ხუთეულს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლის განმარტებით, დაკავებულებს ბრალი საკმაოდ მძიმე დანაშაულში ედებათ და არსებობს საშიშროება, რომ შესაძლოა გამოძიებას თავი აარიდონ. მოსამართლის გადაწყვეტილებას ბრალდებულთა ახლობლები აღშფოთებით შეხვდნენ და მის გასაჩივრებას აპირებენ. დაკავებულების ნათესავების განცხადებით, დაკავებულებს შს სამინისტროს მიერ იარაღის ტარების შესახებ გაცემული ოფიციალური ნებართვა ჰქონდათ. ჭიჭიკო გაბისონიას და, დოდო გაბისონია აცხადებს, რომ პოლიციამ ჩხრეკა-ამოღება მათ ბინაში მნიშვნელოვანი კანონდარღვევებით ჩაატარა. სამართალდამცველებმა იმ ადგილზე დააწყვეს ტყვიები, სადაც სახლში მყოფი ბავშვები ნებისმიერ დროს იპოვიდნენ. დოდო გაბისონიას განცხადებით, მისი ძმა ჭიჭიკო გაბისონია აფხაზეთის ომის დროს თავდაუზოგავად იბრძოდა და მისი ლიკვიდაციისთვის ვლადისლავ არძინბას 100 ათასი დოლარი ჰქონდა დაწესებული.

სამართალდამცველებმა ყოფილ სპეცრაზმელთა კიდევ ერთი ჯგუფი, ასევე, იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს. ზაალ ჯაბუა და კონდრატე უბილავა ლოჭინის საგუშაგოზე გუშინწინ დაიჭირეს. ზაალ ჯაბუა, თავის დროზე, უშიშროების მინისტრის შოთა კვირაიას მიერ შექმნილი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გასამხედროებული ფორმირება "იუპიტერის" წევრი იყო, კონდრატე უბილავა კი – ასევე კვირაიას ინიციატივით ჩამოყალიბებული უშიშროების სამინისტროს ყოფილი სპეცრაზმის "დელტას" წევრი გახლდათ. სპეცჯგუფ "დელტას" მეთაური იყო ზაალ ჯაბუას ძმა, ვალერი ჯაბუა, რომელიც იგორ გიორგაძესთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა და რომელსაც ინტერპოლი ეძებს. ჩვენი ინფორმაციით, უბილავამ დაკითხვისას განაცხადა, რომ იგი მოსკოვში იმყოფებოდა და თბილისში დაკავების წინა დღეს ჩამოვიდა. მას დაკავებისას "ფ-1" ტიპის ხელყუმბარა აღმოაჩნდა, ზაალ ჯაბუას "აკს"-ის სისტემის ავტომატი 30 საბრძოლო ვაზნით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რუბენ ასანიძე უბილავასა და ჯაბუას დაკავების პოლიტიკურ მოტივებს კატეგორიულად გამორიცხავს და ირწმუნება, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს. თუმცა, არსებული ინფორმაციით, სამართალდამცველები მუშაობენ ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც, დაკავებულ ჯგუფებს ერთმანეთთან საეჭვო კავშირები გააჩნდათ. კანონდამცველთა კიდევ ერთი ვერსიით, გუშინწინ საინგილოს ქუჩაზე მდებარე ყოფილი საარტილერიო დივიზიონის ტერიტორიიდან, სასურსათო საწყობის მიტოვებული სხვენიდან ამოღებული სამხედრო არსენალი დაკავებულ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. როგორც ცნობილია, ამოღებულია, დაახლოებით, 100 კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერება - ტროტილ-ჰექსოგენის ნარევი, “ფ-1” ტიპის ხელყუმბარა დეტონატორით; ტროტილის მსგავსი, დაახლოებით 80 სმ სიგრძისა და 6 სმ სიგანის ფეთქებადი ნივთიერება; “აკს”-ის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის ცარიელი მჭიდი ; “აკს”-ის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის 85 საბრძოლო ვაზნა; მსხვილკალიბრიანი გადაჭრილი გილზი და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმი “ტზმ-2”.

მართალია, გუშინწინ დაკავებული ყოფილი სპეცრაზმელებისთვის სამართალდამცველებს ტერორისტული ბრალდებები ჯერჯერობით არ წაუყენებიათ, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს პოლიტიკურ ორბიტაზე "ტერორისტული ცეცხლი" კიდევ ერთხელ გაღვივდა. მით უმეტეს, რომ ძალოვანმა მინისტრებმა რამდენიმე დღის წინ გადაჭრით განაცხადეს, სამხედრო ამბოხებას იგორ გიორგაძე შიდა ძალების მხარდაჭერითა და ზოგიერთ სამართალდამცველთა დახმარებით გეგმავსო.

თუ ლოგიკის ჯაჭვს მივყვებით, "ცენტრალური ტერორისტის", რუსეთის სპეცსამსახურების ჩინოსანისა და შევარდნაძის მიერ საქართველოში გაგენერლებული იგორ გიორგაძის დაპატიმრებით, რომელიც რამდენიმე დიდი აფეთქების და ბოლო წლების მანძილზე ქვეყანაში აზვირთებულ თითქმის ყველა სადესტაბილიზაციო აქტის ორგანიზატორადაა დასახელებული, ყოფილი ხელისუფლება მაინცდამაინც არ იყო დაინტერესებული. პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლება თავს გიორგაძის მოსკოვური მაღალი კავშირებით იმართლებდა. გასულ კვირას მოსკოვიდან დაბრუნებულმა უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა ოპერატიული ინფორმაციით, იგორ გიორგაძე რუსეთში არ იმყოფება და რომ იგი რუსეთის სპეცსამსახურების მხარდაჭერით ველარ სარგებლობს. **“რუსეთის მხარის პოზიციით, იგორ გიორგაძესთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება ქართული მხარის გადასაწყვეტია,“** – განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ, რაც იმის დასტური იყო, რომ რუსეთმა გიორგაძე, ფაქტობრივად, ქართულ მხარეს გადასცა. გადაწყვეტენ თუ არა ქართველი სამართალდამცველები, ამჯერად მაინც, იგორ გიორგაძესთან დაკავშირებულ პრობლემას, ამას მომავალში ვნახავთ.

საეჭვო დამთხვევები

რატომ იხრჩობენ თავს შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში ნარკომანობისთვის განსჭილები?

ჯერ ერთი წელი არ გასულა მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში ჩამომხრჩვალი იპოვეს 25 წლის გიორგი ბაბუნაშვილი. შაბათს დილით, იმავე იზოლატორში ასევე ჩამომხრჩვალი იპოვეს 40 წლის გიორგი ინასარიძე. ამ ორ, თვითმკვლელობად მონათლულ ტრაგიკულ შემთხვევებს შორის დამთხვევები ადგილითა და სიცოცხლის დასრულების ხერხით არ ამოიწურება.

სოფიკო ჩხაიძე

გუშინწინ დილით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორის საკანში პლედის ნაგლეჯით ჩამომხრჩვალი იპოვეს სამჯერ ნასამართლევი გიორგი ინასარიძე.

“შაბათს გამთენიისას ინასარიძემ იზოლატორის თანამშრომელს დაუძახა, მცივაო და ჩაი მოითხოვა. ცოტა ხანში გადასაფარებელიც გამოართვა. სწორედ ამ გადასაფარებლის ნაგლეჯით ჩამომხრჩვალი ნახეს იგი”, - აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი დავით ჯინჯოლავა.

გიორგი ინასარიძე ნარკოტიკების მოხმარებისთვის დააკავეს და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა სონღულაშვილმა მას, ადმინისტრაციული სასჯელის სახით, ათდღიანი პატიმრობა მიუსაჯა.

თუმცა, ინასარიძე რამდენიმე დღით ადრეც ყოფილა დაკავებული. დავით ჯინჯოლავას თქმით, **“როგორც საბუთებიდან ჩანს, მისთვის ჯიბეში რაღაც ნივთიერება აღმოუჩენიათ, ეს ნივთიერება ექსპერტიზაზე გაუგზავნიათ და ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე ინასარიძე ხელწერილით გაუთავისუფლებიათ. თუმცა, ეს ყველაფერი კიდევ დასადგენია – ინასარიძის ოჯახის წევრები უნდა გამოვკითხოთ და დავადგინოთ, მართლაც გაათავისუფლეს იგი ხელწერილის დაწერის შემდეგ, თუ მთელი ეს დრო შინაგან საქმეთა სამინისტროში გაატარა”.**

იმავე საბუთებით ირკვევა, რომ ნარკოტიკების მოხმარებისთვის სასჯელმისჯილი ინასარიძე არა ანტინარკომანული ბიუროს ან განყოფილების თანამშრომლებმა, არამედ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენლებმა დააკავეს და მხოლოდ შემდგომ გადაულოცეს ნარკომანიასთან მებრძოლებს.

ზემოთ გიორგი ბაბუნაშვილისა და გიორგი ინასარიძის ტრაგიკულ აღსასრულებს შორის საეჭვო დამთხვევების არსებობა ვახსენეთ. ეს დამთხვევები მართლაც ბევრ ეჭვს ბადებს. ჯერ ერთი, რომ ორივე მათგანი ადრე ნასამართლევი გახლდათ, ასეთები კი პოლიციის ყურადღების მიღმა იშვიათად რჩებიან. გიორგი ბაბუნაშვილი 26 თებერვალს, თბილისში დააკავეს და ისევე, როგორც ინასარიძეს, მასაც მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარემ ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდა. ინასარიძის მსგავსად, თბილისში დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე, ისიც იყო დაპატიმრებული, ოღონდ - ქუთაისში, თუმცა სამხილების ვერწარდგენის გამო, გაათავისუფლეს. და ბოლოს, ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით სასჯელმისჯილი ბაბუნაშვილი, ისევე, როგორც ინასარიძე, ნარკომანიასთან მებრძოლი განყოფილების თანამშრომლებს არ დაუკავებიათ.

განსხვავება კი ამ ორ შემთხვევას შორის ის გახლავთ, რომ ბაბუნაშვილის ახლობლებმა ჩამომხრჩვალი პატიმრის აღმოჩენის დღესვე გაამჟღავნეს დაღუპულის დაპატიმრების მიზეზები და დეტალები. კერძოდ, მათი თქმით, ბაბუნაშვილი არა ნარკოტიკების მოხმარების გამო, არამედ იმ მიზნით დააპატიმრეს, რომ მისგან იმერეთში მომხდარი რამდენიმე გატაცების ირგვლივ აღიარებითი ჩვენება მიეღოთ. სასამართლოს გადაწყვეტილება კი მათთვის, ფაქტობრივად, მხოლოდ ამ ჩვენების მისაღებად ვადის გახანგრძლივება გახლდათ. როგორც ბაბუნაშვილის ადვოკატის, ასევე პროკურატურის თანამშრომლის ნათქვამის და სასამართლოს სხდომის ოქმის თანახმად, ბაბუნაშვილს სხეულზე მნიშვნელოვანი დაზიანებები აღენიშნებოდა. მეტიც, ადვოკატის თქმით, ამ დაზიანებებით იგი დამოუკიდებლად თავის ჩამოხრჩობას ვერ მოახერხებდა.

სხვათა შორის, სარწმუნო წყაროს ცნობით, სამართალდამცველებმა მისგან აღიარებითი ჩვენება მართლაც მიიღეს, ამ ჩვენების საფუძველზე რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს, თავად გიორგი ბაბუნაშვილი კი, დაღუპვის შემდეგ, არაერთხელ იქნა მოხსენიებული გამტაცებლებს შორის.

დღეისათვის ორივეს - გიორგი ბაბუნაშვილსაც და გიორგი ინასარიძესაც - თვითმკვლელებად მოიხსენიებენ. ჰქონდა თუ არა ერთისა და მეორის დაპატიმრებას მართლაც განსაკუთრებული, საიდუმლოდ შენახული მიზეზები, ამის თაობაზე გამოთქმული ეჭვები ჯერაც ეჭვებად რჩება.

ისევე როგორც ბაბუნაშვილის, ინასარიძის თვითმკვლელობის ფაქტზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამასთანავე, მომხდარის გამო მოკვლევას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. ინსპექციის უფროსის დავით ჯინჯოლავას თქმით, მათ უნდა გამოკითხონ როგორც ინასარიძის ახლობლები, ასევე ისინი, ვინც იგი დააკავა და იზოლატორის თანამშრომლები, და გარკვეული დასკვნების გაკეთებას მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲮᲐᲕᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲜᲒᲘ

ორი სიტყვით

თბილისი. რუსთავის N2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაქცეული კიდევ ერთი პატიმარი დააკავეს. პოლიციამ გია რეხვიაშვილი ქალაქ რუსთავში მაშინ დააკავა, როცა იგი ავტომანქანის გატაცებას ცდილობდა. რეხვიაშვილი კოლონიაში სასჯელს ყაჩაღობის მუხლით იხდიდა. მას 10 წელი ჰქონდა მისჯილი. რეხვიაშვილს გაქცევისთვის და ავტომანქანის გატაცების მცდელობისთვის სასჯელი ცალკე დაემატება.

რუსთავის N2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან 10 სექტემბერს გაქცეული 129 განსაკუთრებით საშიში პატიმრიდან 90-ზე მეტი უკვე დაკავებულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "სადახლოს ბაზრობის" დირექტორისთვის თამაზ სუპატაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობაზე დღეს საოლქო სასამართლო იმსჯელებს. დაკავებულის ადვოკატის ალექსანდრე ალადაშვილის განცხადებით, თამაზ სუპატაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ახლაც უმძიმესია, ამასთან, იგი აბსურდული ბრალდებით დააკავეს და ამიტომ საოლქო სასამართლოს კოლეგიამ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გააუქმოს.

"სადახლოს ბაზრობის" დირექტორი 12 დეკემბერს თბილისში ვაკის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის – "აკაესის" უკანონო ტარების ფაქტზე დააკავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გორი. გუშინ გამთენიისას ხანძარი გაჩნდა გორიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარე რესტორან "ვენეციაში". სამართალდამცველთა განცხადებით, ხანძარი განზრახ არის გაჩენილი. პოლიციამ შემთხვევის ადგილზე დიზელის საწვავით სავსე რამდენიმე მცირე ზომის ავზი აღმოაჩინა. ხანძრის ჩაქრობა სახანძრო რაზმის მისვლამდე რესტორნის დაცვის თანამშრომლებმა შეძლეს. პოლიცია, ჯერჯერობით, ვერსიებს არ აკონკრეტებს, ასევე არანაირ კომენტარს არ აკეთებენ რესტორნის მფლობელები და მომსახურე პერსონალი. ამ დროისათვის არ არსებობენ კონკრეტული ეჭვმიტანილები.

რესტორანი "ვენეცია" ეკუთვნის გორელ ბიზნესმენს ზურაბ წკრიალაშვილს და გორის სატყეო დეპარტამენტის უფროსს თეიმურაზ ხაჩიურს.

ხაჩიურთან დაკავშირებით, დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში, შიდა ქართლის ახლადდანიშნული გუბერნატორი ირაკლი ოქრუაშვილი საკმაოდ ხმაურიან განცხადებებს აკეთებს იმის თაობაზე, რომ ხაჩიური ხელს უწყობს ტყის უკანონო გაჩეხვას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოში, პირველად ათი წლის განმავლობაში, ფუნქციონირება დაიწყო ცენტრალიზებულმა სამეთვალყურეო პულტმა, - იტყობინება სააგენტო "აფსნიპრესი". როგორც აფხაზეთის თვითგამცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, ახალი მოწყობილობის წყალობით, ქალაქში ძარცვის რამდენიმე ფაქტის თავიდან აცილება მოხერხდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი დაძაბული კრიმინოგენული ვითარების გამო, 24 დეკემბერს გალში ქართველი და აფხაზი სამართალდამცავების საგანგებო შეხვედრა გაიმართება. მასში გალის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ტყვარჩელის რაიონების პოლიციის განყოფილებებისა და პროკურატურების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. შეხვედრაზე, ვითარების გაუმჯობესების მიზნით, ერთობლივი მოქმედებების გეგმას შეიმუშავებენ.

რაც შეეხება ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრებს, საშობაო დღესასწაულების გამო, ეს შეხვედრები დროებით, ხუთშაბათის ნაცვლად, სამშაბათობით - 23 და 30 დეკემბერს გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. სამტრედიაში პოლიციელებმა კობა ქურდიანი, ზურაბ ლორია და რამაზ ნაჭყებია ავტომანქანის მოპარვაში ამხილეს.

ახალგაზრდები სამართალდამცველებმა მაშინ დააკავეს, როცა ისინი ავტოფარეხიდან ავტომანქანა "ფოლქსვაგენს" იპარავდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. საჩხერეში მცხოვრებმა ინგა ზამბახიძემ გუშინ მისი მეზობლის ვალერი მარგველაშვილის დამხმარე ნაგებობის დალაგების დროს საბრძოლო მასალა იპოვა.

ამის შესახებ მან რაიონულ პოლიციას აცნობა. სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს "ფ-1" ტიპის ორი ხელყუმბარა, "აკაესის" სისტემის ავტომატის 28 ცალი ტყვია და ერთი ცალი ასაფეთქებელი ნივთიერება "ამონალი" ორი ცალი კაპსულით. აღნიშნულ ფაქტზე მოკვლევას საჩხერის პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისის პოლიციის თანამშრომლებმა სამკაციანი ყაჩაღური ჯგუფი აიყვანეს. ქუთაისელები ჯონდო სეფიაშვილი, შოთა ცინაურიძე და დავით ხულორდავა, რომლებიც ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან, მანქანის გატაცებასა და სხვადასხვა ყაჩაღობაში იმხილებოდნენ.

მათ აღიარეს, რომ 13 დეკემბერს ქუთაისში დანის მუქარით ავთანდილ ფხაკაძეს უცხოური მარკის ავტომანქანა და ფული წაართვეს. პოლიციამ მოპარული ავტომანქანაც ამოღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

წყალტუბო. წყალტუბოს პოლიციამ 69 და 70 წლის ორი ქალბატონი ქურდობისთვის დააკავა. ისინი სამართალდამცველებმა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოპარვაში ამხილეს. ქალბატონებმა მერაბ კინწურაშვილს, რომელიც წყალტუბოში, ჯვაფარძის ქუჩაზე ცხოვრობს, ერთი ძროხა მოპარეს. დაკავებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. ისინი დროებითი დაკავების იზოლატორში მოათავსეს, პირუტყვი კი პატრონს დაუბრუნდა. **ინტერ-პრესი**

ვარდების რევოლუციის შემდეგ

საქართველოში პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიცვალა. დემოკრატიული წყობის ნორმად ქცეულ ამ მოვლენაში ჩვენთვის ამჟამად არა თავად ეს ფაქტია საყურადღებო, არამედ ის რევოლუციური ფორმა, რომლითაც ამგვარი ცვლა განხორციელდა - ხალხის ძლიერი მოთხოვნით, ყველა წარმომადგენლობითი პოლიტიკური ინსტიტუტების იგნორირებით, სწრაფად, ქვეყანაში პოლიტიკური ძალაუფლება ერთი ლიდერისაგან მეორეს გადაეცა. რევოლუციას, რომელიც ხალხისათვის არალეგიტიმური ხელისუფლების შესაცვლელად არის მიმართული, ზნეობრივი გამართლება მხოლოდ მაშინ აქვს, თუ მისი ენერგია არსებული ხელისუფლების უარყოფიდან ახალი სახელმწიფო სისტემის აღმშენებლობით პათოსში გარდაიქმნება; ხოლო თუკი რევოლუციური ძალისხმევა მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლას მოხმარდა და ძველი სისტემა ახლით არ შეიცვალა, ხალხი არ მიიღებს იმას, რისთვისაც ხმა აღიმაღლა. ამდენად, რევოლუციის ყველა მონაწილე (ემოციური ენერგიით რევოლუციის მასაზრდოებელნიც და მისი ლიდერებიც) ქვეყნის წინაშე ახლა უკვე რევოლუციის შემდგომ აღმშენებლობაზე არის ზნეობრივად პასუხისმგებელი. რა და როგორ ვაკეთოთ? ამ შეკითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიაზრებენ თავის თავს რევოლუციაში მონაწილენი - როგორც არსებული მდგომარეობით შეწუხებული ხალხის მასად, თუ ქვეყნის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებულ პიროვნებათა ერთობად. წინამდებარე წერილი ამ შეკითხვაზე პასუხის მოძიების ცდაა.

ნიკო მელიქაძე
სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრი

1. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების უმძიმესმა პირობებმა და მათი შემდგომი გაღრმავების აშკარად გამოვლენილმა ტენდენციამ მოსახლეობაში ღრმა უკმაყოფილებისა და უიმედობის განცდა წარმოშვა. ნათელი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ქვეყანაში ცვლილებების გატარებისათვის საჭირო პოლიტიკური რესურსი არა მარტო არ გააჩნია, არამედ იგი უკვე თავად გახდა არსებული სისტემის დაცვის გარანტი. ამის შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ და, მათ შორის, ქვეყნის პრეზიდენტმაც დაკარგეს ხალხის თვალში ლეგიტიმურობა.

ლეგიტიმურობა არის ხალხსა და მის ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ფუნდამენტური მახასიათებელი ნიშანი. ხელისუფლება ლეგიტიმურია, თუ იგი შეესაბამება ხალხის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მისი ხელისუფლება; თუ მას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს, ცნობს მის უფლებას მართოს ხალხი, თანახმა არის დაემორჩილოს მას. ხელისუფლების ლეგიტიმურობა, როგორც საზოგადოების ზნეობრივ-პოლიტიკური კულტურის მდგომარეობის ნიშანი, არის არადიქტატორულ რეჟიმებში პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების აუცილებელი პირობა.

მაგრამ, როდესაც ხელისუფლება უხეშად და სისტემატურად არღვევს ხალხთან სოციალური კონტრაქტით (ანუ, ურთიერთვალდებულებათა არაფორმალური, დაუწერელი შეთანხმების) განსაზღვრულ მის წილ ვალდებულებას, იგი არალეგიტიმური ხდება; ამავე დროს, თუ ხალხს აღარ გააჩნია ასეთი ხელისუფლების რეალურად შეცვლის კანონიერი მექანიზმი, მაშინ დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური ბრძოლის სპეციალურ ფორმას - სამოქალაქო დაუმორჩილებლობას - მიმართავენ; მათ შორის, რევოლუციურ ფორმასაც, რომლითაც საზოგადოება - **შეგნებულად, კანონისა და კონსტიტუციის დარღვევით,** არსებული წარმომადგენლობითი პოლიტიკური ინსტიტუტების იგნორირებით, პირდაპირ და უშუალოდ ახორციელებს საკუთარ ნებას და ხელისუფლების უსამართლობას წინ აღუდგება. ამდენად, "ვარდების რევოლუციის" შეფასება, როგორც "უკანონო", ან "ანტიკონსტიტუციური" - ღია კარის მტვრევაა. ამგვარ რევოლუციას ზნეობრივი გამართლება აქვს; იგი საზოგადოებაში არსებული სამართლიანობის გაგებას ეფუძნება და ზეკონსტიტუციური შინაარსის მქონეა, როგორც ხალხის ნების პოლიტიკური უზენაესობის გამოხატულება; იგი მიმართულია კანონის უზენაესობის ფორმას ამოფარებული ხელისუფლების შესაცვლელად, რომელიც არღვევს საზოგადოებრივი არსებობის უზენაეს კატეგორიას - სოციალურ სამართლიანობას.

2. რამ განაპირობა საქართველოში იმ საზოგადოებრივი ატმოსფეროს ჩამოყალიბება, რომელმაც მოსახლეობის დიდ ნაწილს კანონიერების სივრცის გარეთ ერთობლივი მოქმედებისაკენ უბიძგა? რატომ არის ქვეყნის სახელმწიფო სისტემა არა მხოლოდ დრამატულად არაეფექტური, არამედ ასევე, უზნეო და უსამართლო?

საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველოს ინსტიტუციური ვაკუუმი მოუტანა. იმ პროცესების შინაარსი და მათი "მიზანმიმართულება", რომლებიც ამ ვაკუუმის შესავსებად აუცილებლობით ამოქმედდა, მნიშვნელოვანწილად არ იყო ვინმეს შეგნებული არჩევანის შედეგი; ისინი ქვეყანაში არსებულმა უაღრესად მძიმე ობიექტურმა პირობებმა განსაზღვრა, რომელთა დაძლევისათვის საჭირო პოლიტიკური რესურსი, პროფესიონალური კომპეტენცია და კულტურული ძალა ქვეყანას არ აღმოაჩნდა. ამას დაემატა ისიც, რომ იმ პერიოდში მსოფლიოში არ არსებობდა პოსტკომუნისტურ გარემოში დამოკრატიისა და კაპიტალიზმის მშენებლობის გამოცდილება და ცოდნა, რაც საქართველოსათვის გაცემული რჩევებისა და ინსტრუქციების სერიოზულ მეთოდოლოგიურ დეფექტებში აისახა. ერთობლიობაში ამან დიდი როლი შეასრულა არსებული მანკიერი სისტემის ჩამოყალიბებაში. იმავდროულად, ამ მანკიერების დამკვიდრებაში უდიდესი წვლილი იმ სუბიექტურმა პირობებმაც შეიტანა, რომლებმაც ხელისუფლებაში დაისადგურა. მოკლედ შევეხოთ ამ პირობებს.

პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების განაწილება საქართველოში ხელისუფლების ცენტრალური საკითხი გახდა. სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობა ცენტრალიზაციის მიმართულებით წარიმართა; სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტი უმაღლესი პოლიტიკური კონტროლის ქვეშ მოექცა როგორც კანონში პირდაპირი ან შენიღბული ფორმით, ასევე, არაფორმალური მექანიზმებით. საჯარო სფეროს, პრაქტიკულად, ყველა ინსტიტუტი მკაცრი ვერტიკალური დაქვემდებარების ადმინისტრაციულ სისტემაში მოექცა. უმაღლესი პოლიტიკური დონე გახდა გადაწყვეტილებათა მიიღების ერთადერთი ადგილი; დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებს ამ გადაწყვეტილებათა ტექნიკური შემსრულებლის ფუნქცია გადაეცათ.

სახელმწიფო მართვის სისტემის ფუნქციონირების დამკვიდრებული წესი მკაფიოდ აისახა ხელისუფლების საკადრო პოლიტიკაში. მართვის მთელი ვერტიკალი პოლიტიკური ხელმძღვანელისადმი პირადი ერთგულების პრინციპს დაეფუძნა. პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე "საკუთარი ხალხის" განთავსებამ ხელისუფლების სისტემაში საერთო ინტერესებით შეკრული კლანური სტრუქტურა შექმნა. ერთგულების სანაცვლოდ, მის სუბიექტებს მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე კერძო ინტერესების შესაბამისად მოქმედების თავისუფლება და დაუსჯელობის გარანტია მიეცა. ამის შედეგად ეკონომიკურად არამოტივირებულ მოხელეთა მიერ "პრივატიზირებულ" ადმინისტრაციულ თანამდებობებზე სახელმწიფო ფუნქციების აღსრულება კერძო კომერციის ობიექტი გახდა - საგადასახადო რეგულირება, ლიცენზირება, ანგარიშგება და სხვა, ადმინისტრაციული კორუფციის ეფექტურ ინსტრუმენტებად გადაიქცა.

ამასთან, ხელისუფლებაზე საზოგადოების ზემოქმედების ძირითადმა დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა დაკარგეს ანგარიშგასაწევი ძალა: (ა) მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები (მცირე ელექტორატით; პოლიტიკურად სუსტი; არაკომპეტენტური), რომლებმაც ვერ მოახერხეს ხალხისათვის დამაჯერებელი ალტერნატივის შეთავაზება, ხელისუფლების რეალურ ოპოზიციად ვერ ჩამოყალიბდა; (ბ) შეიქმნა "კარის დიდებულთა" ინსტიტუტი, რომელიც ინტელიგენციის სახელით არსებულ რეჟიმს "გვერდზე დაუდგა", იკისრა სიყალბის ზნეობრივი გამართლების სახელმწიფო ფუნქცია, თავის თავზე აიღო საზოგადოებრივი აზრის იმიტაცია და, გარკვეულწილად, მოახერხა ხელისუფლების მიმართ გამოხატული უკმაყოფილების დევალვაცია; (გ) არჩევნების გაყალბების კარგად დამუშავებულმა ტექნოლოგიამ გააძლიერა საზოგადოებრივი ზემოქმედების მიმართ ხელისუფლების იმუნიტეტი, და აშ.

რეალური პასუხისმგებლობის გარეშე დარჩენილმა პოლიტიკურმა სისტემამ უმალ დაკარგა ეფექტურობა; პროფესიონალიზმი აღარ გახდა საჭირო. შესაბამისად, პოლიტიკისა და ადმინისტრირების სფერო - "ყველას" საქმე გახდა; (მეტყველი მაგალითია პარლამენტისა და მთავრობის წევრთა შერჩევის დამკვიდრებული მიდგომა). დამახინჯდა საკადრო პოლიტიკა, გაუფასურდა ადმინისტრაციული მორალი; პოლიტიკურ აზროვნებაში ველარ შემოაღწია მოვლენათა არსში გარკვევის კულტურამ; სამაგიეროდ, დომინანტური გახდა ზედაპირული ანალოგიები, ყოფითი ლოგიკა და ენა. ხელისუფლების სისტემამ ვერ შეიძინა ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების კომპეტენცია. შემთხვევითი როდია, რომ სახელმწიფო მშენებლობის ათი წლის თავზეც კი საქართველოს ჯერაც არ განუსაზღვრავს, თუ როგორ ქვეყანას აშენებს იგი - როგორია ხელისუფლების სოციალური ვალდებულებები და ეკონომიკური როლი; როგორია საზოგადოებას, ხელისუფლებას, ბიზნესსა და პიროვნებას შორის ქვეყნის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის განაწილება; როგორი ფორმებითა და მექანიზმებით ხდება ამ როლისა და პასუხისმგებლობათა აღსრულება, ანუ, როგორია ქვეყნის განვითარების სტრატეგია.

3. სწორედ ამგვარი ზნეობრივი და ორგანიზაციული კონსტიტუციის მქონე პოლიტიკურმა სისტემამ აიღო თავის თავზე ქვეყანაში ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნისათვის ფუძემდებელი პროცესის - საზოგადოებრივი ქონების პრივატიზაციის - განხორციელება. პრივატიზაციის პოლიტიკის მეთოდოლოგიურმა შეცდომებმა ქვეყანაში მახინჯი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში საბედისწერო როლი შეასრულა. ამ პროცესში პოლიტიკურმა ძალამ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რესურსები, ფაქტობრივად, მიითვისა. მოხდა სახელმწიფო და კერძო ინტერესთა ფაქტობრივი შერწყმა; შედეგად, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის სისტემა მისი არა რაციონალური ლოგიკის მოთხოვნების, არამედ პოლიტიკური ძალის კერძო ინტერესთა შესაბამისად ჩამოყალიბდა. ბიუროკრატიამ საკუთარი ბიზნესის სასარგებლოდ მოახდინა არსებული კანონმდებლობის, წესებისა და მარეგულირებელი ნორმების შეგნებული დამახინჯება. სახელმწიფო საკუთრების საწარმოები პოლიტიკური სუბიექტების ჯიბეში სახელმწიფო სახსრების გადადინების უდიდესი წყარო გახდა. "მოსახლეობის სოციალურ ინტერესთა დაცვა" სახელმწიფო ქონების მძარცველობითი მოხმარების (განსაკუთრებით - ენერგეტიკაში) იდეოლოგიურ საფუძველად იქცა. პერსპექტიულ ეკონომიკურ სფეროებში თავისუფალი შესვლის გზა პრაქტიკულად გადაიკეტა; პოლიტიკური პატრონაჟის ქვეშ მყოფი ბიზნესი ბაზარზე ფაქტობრივი მონოპოლისტი გახდა; ქვეყანაში დაირღვა ეკონომიკური კონკურენციის საყრდენი მექანიზმები; ეკონომიკაში დაითრგუნა ზრდის, შრომის ინტენსიფიცირების და ინოვაციის მოტივაცია; სპეციალიზაციისა და კოოპერაციის ხარჯზე მოგების გაზრდა არაეფექტური გახდა. ცხადია, რომ ამგვარი სიმახინჯეებით დამძიმებულ ეკონომიკას არ ძალუძს ზრდის არავითარი წინაპირობის შექმნა.

ბესო ბაღაშვილის ფოტოები

ყველა ამ გარემოების ერთობლივი მოქმედებით ქვეყანაში ჩამოყალიბდა არაეფექტური და სიყალბეზე დაფუძნებული სახელმწიფო სისტემა. მისი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია სახელმწიფო და კერძო სექტორთა შერწყმა, რომელშიაც კერძო ინტერესი გახდა საჯარო სფეროში დომინანტური; ხოლო ეკონომიკურმა სისტემამ პოლიტიკური ინტერესებით ძლიერად დეფორმირებული სახე შეიძინა. ანუ, რეფორმის ძირითადი ამოცანა - კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლების აგება, რომელშიც კაპიტალი ეკონომიკის მამოძრავებელი ძირითადი ძრავი გახდებოდა, ვერ იქნა მიღწეული. არ შეიქმნა სისტემის ყოველ ნაწილში სახელმწიფო ინტერესების აუცილებელი ასახვის პოლიტიკური პირობები; სისტემამ ყოველი ინდივიდისაგან, პირადი ზნეობრივი პოზიციის მიუხედავად, თამაშის არაფორმალური წესების დაცვა მკაცრად მოითხოვა. შედეგად, ოპორტუნისტულმა ქცევამ ტოტალური ფორმა მიიღო. სისტემა შინაგანად შეიკრა - ჩამოყალიბდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი ჯგუფები, მოიძებნა და გაფორმდა არაფორმალური ქცევის წესები, დაბალანსდა მათი ინტერესები; ჩამოყალიბდა ამ ინტერესთა დაცვის პოლიტიკური მექანიზმი, რომელმაც არ იგუა მისთვის მიუღებელი არავითარი ლოკალური ცვლილებებიც კი. დიდად სამძიმოა, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, რომლისათვის არსებული წყობა მიუღებელია, ამავე დროს, გარკვეულად უკვე მოერგო მას, მონახა პირადი კომპრომისის ფორმა და, ფაქტობრივად, ამ საერთო სიყალბის მონაწილე გახდა. ამით ქვეყანა აშკარად მოექცა უძრავი "სტაბილობის მანკიერ ორმოში", რომელშიც სრულიად დაითრგუნა ქვეყნის განვითარების შინაგანი მექანიზმები. სწორედ ეს შინაარსი იგულისხმება გამოთქმაში, რომ "საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა".

4. გასაგებია, რომ ამგვარად მოწყობილმა სისტემამ ხალხის თვალში ლეგიტიმურობა დაკარგა. სწორედ ამის გამო, "ვარდების რევოლუციამ" დემოკრატიული სამყაროს მხარდაჭერა ჰპოვა. მაგრამ რევოლუციურ ცვლილებებს დიდი ხიფათი მოსდევს; ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის რევოლუციური შეცვლა მთელი სახელმწიფო სისტემის გარდაქმნას ავტომატურად არ იწვევს. თუკი ხალხის უკმაყოფილობის რეალური მიზეზები სახელმწიფო სისტემის არსებულ მოწყობაშია, მაშინ მხოლოდ ხელისუფალთა შეცვლა ხალხის მოლოდინს არ გაამართლებს. იმისათვის, რომ ხალხმა მიიღოს ის, რისთვისაც ხმა აღიმაღლა, რევოლუციური ენერგია არ უნდა ჩაქრეს, არამედ არსებული სახელმწიფო სისტემის გარდაქმნისაკენ უნდა წარიმართოს. სხვანაირად კი კანონიერებასთან რევოლუციური დაპირისპირება კარგავს ზნეობრივ გამართლებას. ხელისუფლების რევოლუციურ შეცვლასთან შედარებით, არსებული სისტემის გარდაქმნა გაცილებით რთული ამოცანაა, რომლის ღირსეული გადაწყვეტა ბევრმა ერმა როდი შეძლო. ამდენად, **"ვარდების რევოლუციის" ძირითადი გამოცდა ახლა მხოლოდ იწყება**.

ამ წერილის პათოსი ერთი მოსაზრების ნათელსაყოფად არის მიმართული - **საქართველოს ყველა პრობლემის სათავე მისი სახელმწიფო მოწყობის არსებულ სისტემაშია თავმოყრილი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში ჩამოყალიბებული სისტემის რადიკალური, ე.ი. სისტემური გარდაქმნის გარეშე ქვეყნის წინაშე მდგარ სერიოზულ პრობლემათა გადაწყვეტის იმედი - მეთოდოლოგიური ილუზია იქნება**. რასაკვირველია, დიდი ადმინისტრაციული ძალისხმევით ქვეყანამ შეიძლება მიაღწიოს იმას, რომ ჰქონდეს არადეფიციტური ბიუჯეტი და თოთხმეტლარიანი პენსიებიც სისტემატურად დარიგდეს. მაგრამ, თუკი მიზნად ცოტა მეტს ვისახავთ, თუკი გვინდა ვიხილოთ თანამედროვე განვითარებულ სამყაროში ღირსეულად ინტეგრირებული საქართველო, რომელსაც საზოგადოებრივი არენის ზღურბლზე დღეს მდგარი თაობა თავისი სიცოცხლის ბოლოსათვის მაინც მოესწრება - ამას საკადრო ცვლილებები, პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღება და ადმინისტრირების საერთო განმტკიცება არაფერს უშველის. **ქვეყანას სისტემური გარდაქმნა სჭირდება, რაც პრინციპულად სხვა ტიპის მიდგომას მოითხოვს**.

გარდასაქმნელია ქვეყნის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური-პოლიტიკური სისტემის უკვე ჩამოყალიბებული ფორმა. ასეთი გარდაქმნა, თუ იგი არა ისტორიული ევოლუციის ფორმით, არამედ მიზანმიმართული პოლიტიკით ხორციელდება, **პროფესიონალურად დამუშავებულ სტრატეგიას** უნდა დაეფუძნოს. მისი დამუშავება და განხორციელება - ინსტიტუციურ უზრუნველყოფას მოითხოვს, რაც ქვეყანაში ჯერ არ შექმნილა. გარდასაქმნელია პოლიტიკურ სფეროში ყოფითი და არა პროფესიული (მართვის პოლიტიკის ფორმირებისა და სახელმწიფო სისტემის ორგანიზაციის სფეროში) აზროვნების მყარად გამაგრებული ფორმები. სისტემური გარდაქმნა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მთელი საზოგადოების უდიდეს ძალისხმევას, ხელისუფლების დიდ პოლიტიკურ ნებას და პროფესიულ კომპეტენციას მოითხოვს; მაგრამ ეს არ არის საკმარისი; ხელისუფლებამ ზნეობრივი პოლიტიკა უნდა გაატაროს. ყოველივე ამის გარეშე მას ვერ ექნება სახელმწიფო სისტემის გარდაქმნისათვის საჭირო საზოგადოებრივი ნდობა.

გარდაქმნის პოლიტიკურ ნებას პოლიტიკოსთა კეთილი განზრახვები ვერ ქმნის. ამგვარი ნება ჩნდება მხოლოდ როგორც ხელისუფლების მიმართ ხალხის მომთხოვნელობით წარმოშობილი გარდაუვალი აუცილებლობა. იმისათვის, რომ ქვეყნის გარდაქმნის მანქანა ამუშავდეს, არსებული მდგომარეობა მიუღებლად ჯერ საზოგადოებრივმა ზნეობამ უნდა მიიჩნიოს. ამ პირობებში ის სამოქალაქო და პოლიტიკური ინსტიტუტები უნდა ამოქმედდეს, რომლებიც საზოგადოების ამ ზნეობრივ იმპულსს პოლიტიკოსთა ნებად გარდაქმნიან. საზოგადოებრივი ელიტების საქმეა ხელისუფლების დარწმუნება, იძულება, დახმარების გაწევა იმაში, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდში ხელისუფლებამ თავადვე ააგოს საკუთარი მოქმედების მადისციპლინირებელი სისტემა. რევოლუციაში მონაწილე მოსახლეობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ დემოკრატიის დროს ხალხი საბოლოოდ ღებულობს იმას, რასაც სისტემატურად და ენერგიულად მოითხოვს, მაგრამ, რასაც არ მოითხოვს, ის მას არც ექნება.

დღეს, როდესაც განვითარებულმა სამყარომ საქართველო შეიცნო, როგორც ლიბერალურ ღირებულებათა დამამკვიდრებელი ერი და მისი დახმარებისათვის მზაობის მკაფიო ნიშნები გამოავლინა, ქვეყანას სახელმწიფოს განმტკიცებისა და განვითარების ისტორიული შანსი მიეცა. მსოფლიოს ყურადღება და დახმარება საქართველოს არც ადრე დაჰკლებია, მაგრამ შინაგანი "არშემდგარობის" გამო ეს პოტენციალი განიავდა. რევოლუცია არ უნდა დასრულდეს არც 23 ნოემბერს, არც 4 იანვარს; იგი კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ახლა უკვე როგორც არსებული სახელმწიფო სისტემის გარდაქმნის აღმშენებლობითი პათოსი და ქვეყნის წინაშე იმათი პასუხისმგებლობის გამოვლინება, ვინც რევოლუციაში სხვადასხვა როლით მონაწილეობდა. სხვაგვარად იმას, რაც მოხდა, ზნეობრივი გამართლება არ ექნება. ის, რაც დღეს ქვეყანაში და მის გარშემო ხდება, არის ქართველთა დღევანდელი თაობის სულისა და ნების გამოცდა. შესაძლოა, სწორედ დღეს გადაწყდეს, თუ რა სახით დავუტოვებთ საქართველოს მათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოდის.

www.24hours.ge 24 B

ნოდარ ლადარია

აჰა, ჩემმა ჯერმაც მოაღწია, მეც მომწვდნენ — პირდაპირ ქეჩოში წამავლეს ხელი და მზის შუქზე გამომათრიეს მთელი ჩემი და არა მარტო ჩემი ვერაგი ზრახვებითურთ. თუმცა მაინც ვერაფრით დავიკვეხნი: ვერაფერი შვილი ფალავანი აღმოჩნდა ჩემი მეტოქე.

ერთი სიტყვით, 18 დეკემბერს "24 საათმა" გამოაქვეყნა **თეიმურაზ ქორიძის** გამოხმაურება პრეს-ომბუდსმენის 28 ოქტომბრის პუბლიკაციაზე. გამოხმაურების სათაურია *“ნებადართული სიმამაცე”*. სტატიაში განვითარებული მსჯელობის დასკვნა შემდეგია: **"24 საათი, ჩემთვის მართლაც დიდად საპატივცემო გაზეთი, ნამდვილად არ იმსახურებს ლადარიას დონის ომბუდსმენ-მიმომხილველს"**. ამ დასკვნის უსაფუძვლობას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. გაზეთის დაარსებიდან დღემდე პრეს-ომბუდსმენის პუბლიკაციათა საერთო სიდიდემ მილიონ ასონიშანს, ანუ 25 ნაბეჭდ ფორმას, ანუ 400 გვერდს გადააჭარბა. თეიმურაზ ქორიძეს კი ეს ულმობელი განაჩენი სამიოდე სტანდარტული გვერდის საფუძველზე გამოაქვს. როგორც ეტყობა, მაინცდამაინც ამ სამ გვერდს ჰქონია მისთვის მნიშვნელობა. აღარ გავაგრძელებ ამ ისედაც გაჭიანურებულ "სასპენზს" და პირდაპირ ვიტყვი, რომ საქმე ეხება 24 ოქტომბერს "24 საათში" გამოქვეყნებულ **არჩილ გოგელიას** სტატიის ჩემეულ ინტერპრეტაციას. აშკარაა, თეიმურაზ ქორიძის ობიექტი "24 საათის" პრეს-ომბუდსმენი კი არა, არჩილ გოგელიაა. უფრო დაწვრილებით ამ საკითხში ჩაღრმავებას არ ვაპირებ, რადგან გოგელიას სტატიაში გამოთქმული თვალსაზრისების რეანიმაცია ნამდვილად არ შედის ჩემს, როგორც ომბუდსმენის, მოვალეობებში. არც ჩემი ტექსტი ყოფილა გოგელიას სტატიის *კრიტიკა* (კრიტიკა ცოტა სხვა რამეა) — ის მისი პრეპარაცია იყო ჩვენი სინამდვილისათვის დამახასიათებელი დაფარული ქვეტექსტების გამოსავლენად. სწორედ ასე მოვექცევი ქორიძის სტატიასაც, რათა გამჟღავნდეს ერთი უცნაური და, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერაც საკმაოდ გავრცელებული ტენდენცია, რომელიც თეიმურაზ ქორიძის ტექსტში იკვეთება. ამაზე ნამდვილად ღირს საუბარი, მით უმეტეს, რომ ეს ტენდენცია ამ ბოლო დროს განსხვავებული აზრის დაუბრკოლებლად გამოთქმის დემოკრატიულ უფლებას ეკედლება.

ვნახოთ, როგორ განმარტავს ავტორი პრეს-ომბუდსმენის ფუნქციას:

"ეს გახლავთ მსოფლიო პრესაში დიდი ხნის წინათ აპრობირებული, დღეისათვის კი კარგად დავიწყებული თუ არა, კარგად შენიღბული ტექნოლოგია ობივატელი მკითხველის თვალის ასახვევად: ხედავთ, რა ობიექტური ვარ, ჩემს გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებსაც კი კრიტიკულად ვაფასებ. ამიტომ ჩემი აზრი უნდა მიიღოთ, როგორც უზენაესი ჭეშმარიტება [...] ომბუდსმენი ასრულებს მფლობელის შეკვეთას, ემორჩილება მფლობელს და არა რედაქტორს. ალბათ ჩვენს შემთხვევაში ასე უნდა იყოს [...] ამგვარი ომბუდსმენობა ძალიან წააგავს ინტელიგენტურ ვირეშმაკობას. ეს არის კრიტიკა კრიტიკისათვის და არა ობიექტურობისათვის — ომბუდსმენი მწარედ აკრიტიკებს ყველა წვრილმანს, გაზეთში გამოჩენილ ყველა განსხვავებულ აზრს და არ აკრიტიკებს გაზეთის მფლობელისათვის მისაღებ, მაგრამ საზოგადოებისთვის, თუნდაც, ყოვლად მიუღებელ მოსაზრებებს.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ეს პატიოსანი ხალხის მოსატყუებლად მოგონილი თანამდებობა რატომ გახდა უცებ საპატიო. ძნელი დასაჯერებელია, ჩვენს ავტორს ირონიისთვის მიემართოს, ბოლოს ხომ კიდევ ერთხელ იმეორებს: **"ომბუდსმენობა, საერთოდ, კარგი და საპატიო თანამდებობაა"**. როგორც ეტყობა, მისი აზროვნება ხუთგვერდიან ტექსტსაც ვერ მიჰყვება უწყვეტად და თანმიმდევრულად. ისიც ხომ მოგახსენეთ უკვე, რომ არანაირ მითითებებს არავისგან არ ვღებულობ. ამჯერად სულ სხვა რამ გვაინტერესებს: საქმე ისაა, რომ მე დანიშნული კი არა, დაქირავებული ვარ. დიახ, თავისუფალი ბაზრის პირობებში, რომლებსაც ჩვენ კიდევ უნდა მივეჩვიოთ, პროფესიონალებს ქირაობენ. ამ შემთხვევაში მე საკუთარ უნარებსა და კომპეტენციას თავისუფლად ვყიდი. სწორედ აქაა ერთადერთი საშუალება, მფლობელმა საკუთარი განზრახვა განახორციელოს: ეს დასაქირავებელი პირის არჩევაში გამოიხატება. მაგრამ დაქირავებულიც ირჩევს დამქირავებელს და უნდა ვაღიარო, რომ ჩემი მხრიდან არჩევანის კრიტერიუმები მხოლოდ მატერიალური არ ყოფილა...

ქართულ ჟურნალისტურ საზოგადოებაში "გოგელიას კადრად" ცნობილი თეიმურაზ ქორიძე კი ჯიუტად იმეორებს ტერმინს დანიშვნა, რომელიც, იმედია, სულ მალე საგრძნობლად დათმობს პოზიციებს არჩევისა და დაქირავების სასარგებლოდ. ვერა და ვერ მიეჩვივნენ ეს ადამიანები იმას, რომ შუა საუკუნეები დიდი ხანია დასრულდა. იმ დროს იყო ადამიანებს შორის პატრონ-ყმური დამოკიდებულებები, დღეს ამის განხორციელება უკვე ძნელი ხდება, ადამიანთა დიდი ჯგუფების შემთხვევაში კი სრულიად შეუძლებელი. მაგრამ ვერ ეთმობათ გუშინდელთ თბილი პატრონ-ყმური კუნჭული, ამიტომაც მათ წარმოდგენაში არსებული პატრონი ფანტასტიკურ თვისებებს იძენს: იგი უპირობოდ და შეუცდომლად აკონტროლებს ათეულებისა და ასეულების გონებას, თვითონ კითხულობს გაზეთის ყველა ნომერს, პირადად ერევა ყველა წვრილმანში. გონების სულ მცირე დაძაბვაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ამგვარი მართვა შეუძლებელია, ხოლო ამგვარი პარანოიდული მმართველი რამდენიმე დღეში გააქცევს თანამშრომლებს და გააკოტრებს კომპანიას. რატომ თავის პატრონს არ წააკითხა თეიმურაზ ქორიძემ თავისი ოპუსი, არჩილ გოგელია ხომ ცნობილი ჟურნალისტი და საქართველოს პარლამენტის 1999 წლის მოწვევის დეპუტატია — აუცილებლად შეამჩნევდა თავისი პროტეჟეს უვიცობას და არც ჩვენ ჩაგვთვლიდა იდიოტებად და არც ჩვენს მკითხველს. თუმცა, ვინ იცის...

თუ ასე თავგამოდებით იცავს ბ-ნი ქორიძე არჩილ გოგელიას, რატომ ამბობს, რომ ამ უკანასკნელის სტატიაში სათაურად **საკმაოდ ბანალური** ჭეშმარიტებაა გამოტანილი? ალბათ არ ჰგონია, რომ ზედსართავი "ბანალური" ქართულ ენაში აუცილებლად ნეგატიური მნიშვნელობით გამოიყენება. რას იზამ, ამ კაცს ხომ ძნელი ბავშვობა ჰქონდა, ზღაპრებიც არ წაუკითხავს თავის დროზე. არ გჯერათ? ა, ბატონო, ციტატა: **"ბატონი ლადარია არჩილ გოგელიას შუა საუკუნეებიდან გადმოსულ ხელნაჯახიან ყაჩაღად, ალი-ბაბად წარმოგვიდგენს"**. შუა საუკუნეებზე არაფერს ვიტყვი — ვინცხა იმისი არ იყოს, უგრძვნია კაცს. აი, ალი-ბაბა კი უნდა დავიცვა: ბავშვებმაც კი იციან, რომ იგი ყაჩაღი კი არა, ქალაქ ბაღდადის ალალმართალი მცხოვრები იყო, რომელიც სახიფათო ფათერაკში გაერია და გამარჯვებულიც გამოვიდა. ჩვენ კი გავიკვირვოთ: ეს რა დამცველები ჰყოლია ცნობილ ჟურნალისტსა და საქართველოს პარლამენტის 1999 წლის მოწვევის დეპუტატს! ყველაფერს ხომ პოვნა უნდა!

ახლა კი კმარა: ბ-ნი ქორიძეს თავისი გაჭირვება ეყოფა. მოვიდა დრო ცოტა უფრო ღრმად ჩავიხედოთ და გოგელია-ქორიძის იდეალური წყვილის (მათთვის განვმარტავ, რომ სიტყვა "იდეალური" ოდენ "სრულყოფილს" კი არ ნიშნავს, არამედ იდეაში, აბსტრაქციაში არსებულსაც) — ჰოდა, ამ იდეალური წყვილის ყველაზე მთავარი დაფარული ქვეტექსტი გამოვამჟღავნოთ.

გოგელიას სტატიის სათაური რამდენჯერმე გვხვდება ქორიძის ტექსტში: *ხელისუფლება პასუხს აგებს როგორც საკუთარ, ისე ოპონენტთა შეცდომებზე*. 28 ოქტომბრის პუბლიკაციაში სტატიის ტექსტზე დაყრდნობით შევეცადე მეჩვენებინა, რომ ავტორმა ეს "საკმაოდ ბანალური ჭეშმარიტება" (თ. ქორიძე) მომავალ რეალობაში თავისი ადგილის უზრუნველსაყოფად გამოიყენა. 18 დეკემბერს ქორიძის სტატიაში იგივე აზრი უკვე სხვანაირად ისმის:

"არ ცდებიან მხოლოდ გიჟები და მიცვალებულები (ჰმ! — ნ. ლ.). **დანარჩენები შეიძლება შეცდნენ. ისინიც, ვინც არიან ხელისუფლებაში და ისინი, ვინც კრიჭაში უდგანან ხელისუფლებას. ოღონდ, შეცდომებისთვის ოპოზიციას არ მოეკითხება, ხელისუფლება კი მწარედ აგებს პასუხს. წესით, ასე უნდა იყოს და ეს დღევანდელმა ხელისუფლებამაც უნდა გაითვა-**

ლისწინოს — მას პასუხი მოეთხოვება ასლან აბაშიძის, გურამ შარაძის და ირინა სარიშვილის შეცდომებისთვისაც კი".

აი, აქ გამომჟღავნდა ყველაზე მკაფიოდ სახიფათო ტენდენცია, რომელმაც განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი ქართულ მედიაში ვარდების რევოლუციის შემდეგ. ეს ტენდენცია გამოიხატება სისულელისა და უვიცობის განსხვავებულ აზრად გასაღების სწრაფვაში. ჯერ ის ვნახოთ, რომ "კრიჭაში დგომა" სულაც არ ნიშნავს პოლიტიკურ ოპოზიციას. ამდენი მაინც უნდა ესმოდეს ავტორს, რომელსაც თავისი ტექსტი ყოველდღიურ გაზეთში გამოსაქვეყნებლად მოაქვს. რაო, ფიქრობთ, რომ ეს მეტაფორაა? სულაც არა! მას მართლაც ასე ჰგონია და სრულიად მოკლებულია რეალობის კლასიფიკაციის, მისი დანაწევრების უნარს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოაქცევდა ერთად ციტატაში დასახელებულ სამ პიროვნებას და ოპოზიციად არ მონათლავდა მათ. არც "შეცდომაა" შესაბამისი ტერმინი, რადგან ასლან აბაშიძის ბოლოდროინდელ მოღვაწეობას უფრო **ბოროტმოქმედება** ჰქვია, შარაძის modus operandi **დემაგოგიაა**, სარიშვილისა კი — **მარაზმი**. ხელისუფლება მათი "შეცდომებისთვის" კი არ აგებს პასუხს, არამედ იმისთვის, თუ ამ ყოველივეს თავის დროზე არ მისცემს ადეკვატურ კვალიფიკაციას. ისე კი, ხელისუფლება რა შუაშია — ამისთვის ყოველი ჩვენგანი აგებს პასუხს, მთქმელიც და მსმენელიც.

დღეს მე საკუთარ ინტერესებს ვიცავ, რადგან მეც მკითხველი ვარ. მეც თავზე მეღვრება საინფორმაციო ნაკადი და არ მომწონს, როცა მისი რომელიმე მომწოდებლის პირიდან თბილისურად სნობური წინადადება ისმის, მაგალითად, ასეთი: "ნუ, ჟორდანია ხომ მამალაძე არაა!". მე არ მომწონს ისეთ ინფორმაციულ ველში ცხოვრება, სადაც ვიღაცას უფლება აქვს თქვას: "თუ ბოლქვაძის ახლობლებს დაარწმუნებენ, რომ ლოთი ქობალია მისი მკვლელი არაა...". ასეთი პირობა გაუგებარია, ის არ უნდა ისმოდეს ქვეყანაში, სადაც, როგორც ამბობენ, არსებობს სასამართლო. მე დარწმუნებული ვარ: სიტყვის თავისუფლება მხოლოდ აყვავდება, თუ საინფორმაციო სივრციდან ამოვარდება ყველანაირი დისკურსი, რომელიც არ გულისხმობს, თუნდაც არაცხადად, კანონის უზენაესობას.

გეომეტრიაში ერთმანეთისგან განირჩევა ურთიერთგადამკვეთი და აცდენილი წრფეები. ამ უკანასკნელთ ერთმანეთთან არც ერთი საერთო წერტილი არა აქვთ, ისინი ერთ სიბრტყეშიც კი არ არიან განლაგებულნი. არსებობს განსხვავებული აზრი, მაგრამ შესაძლებელია აცდენილი აზრიც. ამ უკანასკნელს არ უნდა ჰქონდეს განხორციელების შანსი. ყოველგვარ საზომს აცდენილია აზრი, რომ აჭარის ხელისუფლება თვით აჭარის ტოლფასია. აცდენილია აზრი, რომ ერთმა კაცმა ან თუნდაც ადამიანების ჯგუფმა შეიძლება განსაზღვროს, რომელი საინფორმაციო საშუალებით სარგებლობა სურს მოსახლეობას. აცდენილია აზრი, რომ ზურაბ ჟვანია მიხეილ სააკაშვილის მოკვლას აპირებს, ხოლო ჟურნალისტის მხრიდან ასეთი თვალსაზრისის დაუსაბუთებლად გამოქვეყნება ისაა, რასაც ფრანგები "gaffe"-ს უწოდებენ და რაც შეიძლება შევადაროთ იმ სტუმრის ქცევას, რომელიც საქორწილო სუფრაზე ან პატარძლის კაბაზე არწყევს.

ჩემი, როგორც ომბუდსმენის, მოვალეობა სიტყვის თავისუფლების კორექცია სულაც არ არის. მე უბრალოდ ღვარძლსა და იფქლს ვარჩევ ერთმანეთისგან. აქამდე, სანამ ქვეყნის სათავეში შევარდნაძე იდგა, ეს ისევე ადვილი იყო, როგორც სადღეგრძელოსა და სუფრაზე რწყევის გარჩევა. თანდათანობით უფრო ძნელი გახდება და მეც თ. ქორიძის ტექსტს იმიტომ მივაქციე ამოდენა ყურადღება, რომ ერთგვარ ნოსტალგიას განვიცდი იმ დროის მიმართ, როცა ადვილი იყო თავის გამოჩენა.

დღეს ყველაზე მთავარი გარდატეხა სწორედ საინფორმაციო სფეროში მიმდინარეობს, უფრო ზუსტად კი თვით ქართულ ენაში. დღეს ჩვენს თვალწინ წარმოიქმნება ახალი სამეტყველო დონე, რომლის შემოტევას გრძნობენ სარიშვილ-შარაძეები და ასე გაავებულნი იმიტომ იცავენ თავს.

განა მათი პოლიტიკური მარცხის მოწმენი ვართ ჩვენ? — სულაც არა, ეს მათი ენობრივი სივრციდან განდევნაა. ახალი ქართული იპყრობს ხალხის ყურადღებას და ამ შეგრძნებას ყველა ამჩნევს. ისტორიაში პირველად წარმოითქმება სიტყვები და იქმნება ტექსტი, რომელიც ერთნაირად ესმით "შალვა ბანძელაძესა" და კოლინ პაუელს.

განა შევარდნაძის რეჟიმი დიქტატურა იყო? — უბრალოდ იგი ერთ ენაზე ელაპარაკებოდა ქართველ ხალხს, მეორეზე — პუტინსა და მესამეზე კიდევ — ბუშს. ბოლოს ერთი ენიდან მეორეზე გადართვა გაუჭირდა და ამიტომაც დაემხო. სულ მალე სხვებიც მას გადაჰყვებიან და ქართულ მედიაში, საიდანაც განიდევნება აცდენილი აზრები, მხოლოდ განსხვავებული აზრის თავისუფლება დარჩება.

საქართველოს საყვარელი მხატვარი

და საშობაო განწყობა

ნათია ვადაჭკორია

გალერეა "ჰობი" ამ დღეებში, ტრადიციულად, მასპინძლობს საშობაო გამოფენას, რომელიც სხვადასხვა მხატვრის ნამუშევართა კრებულს, მათ შორის, ცნობილი მხატვრის თენგიზ მირზაშვილის ახალ ტილოებს წარმოადგენს. ყველასათვის კარგად ნაცნობ "ჩუფჩიკას" ნამუშევრებს, რომელთაგან არც ერთს სახელწოდება არ აქვს და მხოლოდ დანომრილია, მნახველი ერთ მთლიანობად აღიქვამს - ანუ ერთ ფერწერულ ტილოდ, რომელიც, თითქოს, პატარ-პატარა ნაწილებისგან შედგარ, ერთ დიდ პანოს ქმნის. აქაა ფიროსმანის მოტივებზე შექმნილი სერია, მთა-თუშეთის თემა და კიდევ სრულიად ახალი თემატიკა თენგიზ მირზაშვილის შემოქმედებაში, რომლის შესახებაც მხატვარი ჯოვანი ვეფხვაძე გვესაუბრება:

"ყველასათვის ნაცნობ "ჩუფჩიკას" მე საქართველოს საყვარელ მხატვარს ვუწოდებდი. თითქმის, ყველა კოლექციონერს აქვს მისი ნამუშევრები, რომლებიც თავისი კოლორიტით, რბილი და თავისებური ფერთა გამით გამოირჩევა. ამ გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში და, საერთოდ, ბატონი "ჩუფჩიკას" შემოქმედებაში, ახალი მომენტი – ეროტიკა შეიმჩნევა. შიშველი "ნიუები" სპეციფიკური სტილითაა შექმნილი - არა ჩვენთვის ნაცნობით. რაც მთავარია, "ჩუფჩიკა" არაჩვეულებრივი მხატვარი და თავმდაბალი ადამიანია".

რაც შეეხება გალერეა "ჰობის" მეორე დარბაზში წარმოდგენილ ნიკო ცეცხლაძის, ნინო ფერაძის, ვანო აბულაძის, ოლეგ ტიმჩენკოს, გოგი ჩაგელიშვილის, მერაბ აბრამიშვილისა და სხვათა ნამუშევრებს, მათ არამარტო თემატიკა აქვთ საერთო, არამედ მაჟორული, ხალისიანი განწყობაც აერთიანებთ – მართლაც, შობის შესაფერისი.

საშობაო განწყობა და თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრები შობამდე უმასპინძლებს დამთვალიერებელს.

ქართველები მომღერალი ხალხია

ხალხური მუსიკის საღამო კონსერვატორიაში

მადი სერებრიაკოვა

ქართული ფოლკლორის საერთაშორისო ლეგენდა.

ხალხური მუსიკის კონცერტს, რა ფესტივალის ფარგლებშიც უნდა იმართებოდეს იგი, სრულიად სპეციფიკური მსმენელი ჰყავს. ამას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. ჩვეულებრივ, ასეთი კონცერტები მეტი უშუალობით გამოირჩევა – მსმენელი აქ უფრო ეკლექტურია (არა რჩეული საზოგადოება), დარბაზებიც, ჩვეულებრივ, სავსეა. თუმცა, სამწუხაროდ, ასეთ კონცერტებზე მოსმენის კულტურისა და კოლეგიალობის ნაკლებობაც შეინიშნება ხოლმე.

რა დასამალია, ქართული ხალხური მუსიკა ჩვენთვის განსაკუთრებული სიამაყისა და სიამოვნების საბაბია – ალბათ, იმიტომ, რომ ქართულ მუსიკაში მისი ღირებულებისა დღეს ცოტა რამ თუ გვაქვს. ასეა თუ ისე, დევიზი "მოვუფრთხილდეთ ქართულ ხალხურ მუსიკას" – აშკარად ძალაშია და ზოგჯერ - ზედმეტადაც. განსხვავებით ქორეოგრაფებისგან, რომლებიც ცდილობენ, ახალი, დინამიკური ილეთებით ისტორიული მონაპოვრის უფრო მეტად გათანამედროვებას, მის მუდმივ გადახალისებას (რაც ხალხური შემოქმედების არსებობისა და ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობაა), მუსიკოსები უფრო კონსერვატიულები აღმოჩნდნენ და საკმაოდ მკაცრად უყურებენ ყოველგვარ სიახლეს.

გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული კონცერტი ამის ნათელი დადასტურება იყო. ყველაფერი ტრადიციის სრული დაცვით წარიმართა. ანსამბლები - "მზეთამზე", "მე რუსთველი", "ბასიანი", "ბიჭები" და ანჩისხატის ტაძრის გუნდი, რიგ-რიგობით ასრულებდნენ ნაცნობ და უცნობ ქართულ სიმღერებსა თუ საგალობლებს. კოლეგებისა და ჩვეულებრივი მსმენელის მხრიდან შეფასების კრიტერიუმი ასეთია: **"კარგია ის, ვინც ყველაზე ტრადიციულად ასრულებს სიმღერას და იცავს იმ წესებს, რაც ჩვენს მამა-პაპას ჰქონდა".**

ყოველ ანსამბლს საკუთარი საქმის, უდავოდ, ღრმა ცოდნა და ინდივიდუალობა ახასიათებს. ქალთა ანსამბლი "მზეთამზე" ცდილობს, ხალხური სიმღერები სტილის მაქსიმალური დაცვით წარმოადგინოს, შეუნარჩუნოს არქაული ჟღერადობა და საშემსრულებლო მანერა. "მზეთამზეს" პროფესიულ წრეებში მრავალი დამფასებელი ჰყავს; არ აკლიათ თაყვანისმცემლებიც. ანსამბლი "მე რუსთველი," ძირითადად, კონსერვატორიის სტუდენტებით არის დაკომპლექტებული და ეს აშკარად შეიმჩნევა – გამორჩეული ხმები და შესრულების მანერა მათ "კლასიკურ" გამოცდილებაზე მეტყველებს. "მე რუსთველმა" ცოტა ხნის წინათ გერმანიაში ბეთჰოვენის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა – დიდი წარმატებითაც. გერმანული პრესა მათი კონცერტის გაშუქებისას სტრაბონის სიტყვებს იშველიებდა – **"ქართველები მომღერალი ხალხია"**.

ანსამბლი "ბასიანი" რამოდენიმე წლის წინათ საკმაოდ პოპულარულ ანსამბლ "ლაშარს" გამოეყო. მათ, მართლაც, შესანიშნავი, იშვიათი სიმღერებისგან შედგენილი რეპერტუარი აქვთ, რომელთაგან დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, პირველად სრულდება ასწლოვანი პაუზის შემდეგ. ანსამბლი "ბიჭები" სწორედ ბიჭობის ასაკში მყოფი მომღერლებით არის დაკომპლექტებული. თუმცა, მცირეწლოვანი მუსიკოსები ტოლს არ უდებენ გამოცდილ და მხცოვან კოლეგებს.

აჟიტირებული მსმენელი ამ, უდავოდ, შესანიშნავ ანსამბლებს უხვი აპლოდისმენტით აჯილდოებდა. კონცერტს, ერთი მხრივ, ოვაცია არ დაჰკლებია, მეორე მხრივ კი – დარბაზში მობილური ტელეფონების განუწყვეტელი წკრიალი. **"ხალხურ კონცერტებზე სულ ასეა,"** – უკმაყოფილოდ აღნიშნავდა კონსერვატორიის დიდი დარბაზის მორიგე, რომელიც მუსიკალური ეთიკეტის დამრღვევთ აშკარად ვერ აუდიოდა.

თვალსაზრისი

აუხსნელი უმოქმედობა

ზელიმხან უძილაური



ვერ ვიტყვი, რომ ძველი ქართული მწერლობა ჩემი საკუთარი, ძველი სახლია, მაგრამ მისი ხშირი სტუმარი კი ნამდვილად ვარ.

ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის შედეგად დაიწერა "რომელ არს დედაი ჩემი". ეს იყო 1990 წელს. ხუთი წლის დაგვიანებით გამოქვეყნდა ესსეი ჟურნალ "კლდეკარში".

მერე "წერილობითი" სტუმრობა იყო: "რელიგიური განცდის ასახვა უძველეს ქართულ წამებებში" — ჩემი სადიპლომო ნამუშევარი თეოლოგიის ხაზით.

და მრავალი "ზეპირი" სტუმრობა.

ერუდირებული ევროპელი ბერძნულ-ლათინური აზროვნების წიაღშია ჩაძირული. სიტყვები და სახეები, რომელთაც მას ანტიკური ცივილიზაცია სთავაზობს, ზურგის ქარია აზროვნებისთვის, სააზროვნო ბიძგია. ამის დამადასტურებელი სულ უბრალო და, ალბათ, ტრივიალური მაგალითები: განა ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს ბერძნული ენის წიაღისეულთა ჰეგელის ან ჰუსერლის ფენომენოლოგია: "ფაინომენის", ე. ი. გა-მოვლენის, "ეპოქეს", "სკეპსისის" გარეშე?! ან თუნდაც - ცნებები "ფსიქოანალიზი", "არქეტიპი" და მსგავსნი ბერძნული დვრიტის გარეშე?

პირველად ჩემი განათლებით ამოუგმანავი შავი ხვრელები მაშინ ვცან, ჰაიდეგერის "ყოფიერება და დროის" ორიგინალში ჩახედვა რომ მოვინდომე. არა მხოლოდ ბერძნულ-ლათინური ციტატების, არამედ მინიშნებათა მრავლობამ საბოლოოდ დამარწმუნა ჩემს ფილოსოფიურ ანალფაბეტობაში. ვიდგე და ველოდე, სანამ ვინმე გონიერი მითარგმნიდეს და დამიღეჭავდეს?! არა მხოლოდ მთების, არა მხოლოდ ჩემი, — ჩვენი, თითქმის, სუყველას მოლოდინი უსაზღვროა. კუდშიც კი ვერ მივჩაჩალებთ, დღევანდელი ცივილიზაციისა მხოლოდ კუდს ვხედავთ.

სამწუხაროდ, ჩვენთან ბერძნულისა და ლათინურისკენ მისწრაფება რუსეთის იმპერიის კოშმარული სწავლების მეთოდიკამ სამუდამოდ დაასამარა. მაგრამ, ლათინური და ბერძნული ევროპაში დღესაც ძალაშია; სკოლაშიც, გიმნაზიაშიც, უნივერსიტეტშიც. მაგალითად, გერმანიაში, თითქმის, ყველა ჰუმანიტარულ და არა მხოლოდ ჰუმანიტარულ, თვით ეკონომიკის სპეციალობებზეც კი "მცირე" ან "დიდი" ლათინურის გამოცდა სავალდებულოა. იგულისხმება, რასაკვირველია, არა მისაღები გამოცდა, რომელიც გერმანიაში არ არსებობს, არამედ საუნივერსიტეტო, ე. წ. შუალედური.

ამას წინათ გერმანულ ჟურნალ FAZ-ში გამოქვეყნებულ ერთერთ სტატიაში დასმული იყო საკითხი ლათინურის ევროპული კავშირის სახელმწიფო ენად აღიარების თაობაზე, როგორც ეს თავის დროზე უნგრეთში იყო.

ლათინური და ძველბერძნული არაა "მკვდარი ენები", ჩვენთან რომ ჰგონიათ, რაღაი მათ "საყვედურად" არავინ იყენებს. ლათინური და ძველბერძნული ესაა ევროპული კულტურა, სააზროვნო სისტემა და სახეები, სიტყვები — ფართო გაგებით, რომელნიც ევროპული იდენტიტეტის საფუძველთა საფუძველია და ამდენად, ცოცხალზე ცოცხალი რეალობაა.

გერმანიაში შტუდირებისას (უნივერსიტეტში სწავლა შტუდირებაა და არა "სწავლა") უმთავრეს პრობლემად მექცა ინგლისურთან ერთად ლათინურის უცოდინრობა. სამეცნიერო ლიტერატურაში ხომ, როგორც წესი, ლათინური ციტატები უთარგმნელადაა დამოწმებული. გერმანელ პროფესორს ვერც კი წარმოუდგენია, რა გეუნივერსიტეტება უინგლისურულათინურად, — "ნამგალი" და "ურო" ცოტაა?! ლათინური უცბად არა, მაგრამ გზადაგზა როგორღაც შემომესწავლა. თანაც მეზობელმა გოგონამ ლათინურის სასკოლო სახელმძღვანელოებით უხვად მომამარაგა.

განა შეიძლება რელიგიის ცნებაზე საუბარი, თუ კაცი ვერ კითხულობ ციცერონის De natura Deorum-ს. განა შეიძლება ნეოპლატონიზმზე საუბარი, თუ ვერ კითხულობ მარსილიო ფიჩინოს? განა შეიძლება თეოლოგობა, თუ კი ბერძნულის არაფერი გაგეგება? და ა. შ.

ენა ლოგოსია, სინათლეა. ენა სულია, სული კი არასოდეს კვდება. შესაძლებელია რელიგია და ღმერთი "მოკვდეს" (მაგალითად, ნიცშესთან), მაგრამ არა ენა. ენის კანონებს ღმერთიც კი "ემორჩილება", ის იბრუნვის: ღმერთისაი.

ბერძნული და ლათინური მოგვაგონებს იმ ორ დიდ ჯგუფს, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა დაუდგა და დაუსაზღვრა დაუდევრად ("უდბად") მყოფ მიქაელ პარეხელს, რათა ეს უკანასკნელი აღარ გადმოვარდნილიყო, ძირს არ დაცემულიყო. ამ ორ "ჯგუფს", ე. ი. ბერძნულსა და ლათინურს შორის უშიშრად და დაუბრკოლებლივ მოძრაობს ევროპული აზროვნება, მსოფლმხედველობა, ფილოსოფია და ნებისმიერი მეცნიერული განმტოება და, ზოგადად, მთელი დასავლური ცივილიზაცია. არ ვამტკიცებ იმას, რომ ევროპული კულტურა მხოლოდ ამითაა შემოზღუდული. საუბარია ძირითად ორიენტირებზე.

სანამ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა ამ ორ ანტიკურ ენასა და აზროვნებაში თავის ფესვებს არ ჩაუშვებს და დროშად არ მოიკიდებს, მანამ ჩვენ ფასეულს და ზოგადკაცობრიულს ვერაფერს შევქმნით შემეცნების სფეროში. "ბერძნული ცივილიზაცია", რაც აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა თავისი ტიტანური შრომის წყალობით მოგვიპოვა და წინ დაგვიფინა, როგორც მარგალიტი, სათანადოდ უნდა იქნეს დაფასებული, დაძლეული და მომავლის ქართული შემეცნებისათვის საფუძვლად დადებული.

"დაუბრუნეთ ირმები ტყეებს" — მშვენიერი სათაური ლოგოსია ქართული კლასიკიდან.

დაუბრუნეთ ენები ბავშვებს! დაუბრუნდეს ენა ბერძნული და ენა ლათინური ჩვენს სკოლებს, დაიწყოს ეს პროცესი თავისი ანტიკური სინათლით და არა ზეპირობის მეთოდებით. ენა წესთან მითთან და სახესთან, აზროვნების ნათელ სტილთან და მცირეოდენ ანტიკურ ისტორიასთან ერთად. ის კლასიკური პოტენციალი, რომელიც ამის განხორციელებას სჭირდება, ჩვენთან უსათუოდ არის და გამოჩნდება კიდევაც. ნუთუ ამის გაკეთება ძნელია? "რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდებოდა"... — ყველამ ვიცით. უნივერსიტეტში არჩევა უკვე გვიანაა. თანაც როგორ შეიძლება ავირჩიოთ ის, რაც არ ვიცით, რაა. როგორც პლოტინი იტყოდა, როგორ შეიძლება მზე ადიდოს და შეიყვაროს იმან, ვისაც არასოდეს უნახავს იგი?!

მანამდე კი...

შეიძლება ვაჭარბებდეთ, მაგრამ სააზროვნო სახეთა წყებას, ბიძგებსა და იმპულსებს, გარკვეულწილად, ძველი ქართული მწერლობაც მოგვცემდა რომ...

რომ ვკითხულობდეთ. ჩვენს ფილოსოფოსებს, ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს თუ ნებისმიერი მეცნიერული განშტოების მოღვაწეთ ისევე რომ ჰქონდეთ შესისხლხორცებული ჩვენი ძველი მწერლობა, როგორც მათ ევროპელ კოლეგებს აქვთ შესისხლხორცებული ანტიკური ნიმუშები თავისი ფილოსოფიური, ლიტერატურული და წმინდა წყლის ენობრივი ფორმებით, პარადიგმებით, სახეებით, იდიომებით და ა. შ. სიზიფოსავით დაუსრულებლად მოქმედებენ და მოქმედებენ ცნობიერებაში, ცნობიერად და არაცნობიერად, მეცნიერული თუ ლიტერატურული შემოქმედების მასულდგმულებლებად.

მაგრამ, ძველ მწერლობას ჩვენში შეუფერებელ, უასაკო ასაკში ასწავლიან ბავშვებს. მისაღებ გამოცდებზე კი პროკრუსტეს სარეცლადაა ის ქცეული. ამიტომ ჩვენს განათლებულ თაობებს თუ რამე აკავშირებს ძველ მწერლობასთან, ესაა მხოლოდ კოშმარული მოგონებები: ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი. თუ ვიწრო ფილოლოგიურ წრეს არ ჩავთვლით, ეს დიდი განძი სრულიად გამოუყენებელია. სამწუხაროდ, ლომის წილი ამ განძის დახშობაში სწორედ სპეციალისტებს უდევთ.

ეს ვრცელი თემაა და არ ვაპირებ ამ კომპლექსურ საკითხებში სპეციალისტებს შევეჭიდო. სპეციალისტი რისი სპეციალისტია, თუ საქმე ისე არ გამოაწყო, როგორც თვითონ აწყობს. დავკმაყოფილდები რამდენიმე სუბიექტური მოსაზრებით (იძულებული ვარ, იმ უსუსურ ჭიასავით მოვიმკვდარუნო თავი, რომელიც გადარჩენაზე ზრუნავს):

1. ქართული ჰაგიოგრაფიის ნიმუშები საკითხავებია, რომელთა უპირველესი მისია მორწმუნის სულიერი განმტკიცება და ამაღლებაა. სულიერი (ამაღლების) ლიტერატურა არ შეიძლება იქცეს საგამოცდო ინსტრუმენტად.

2. როგორც რელიგიაა დღეს ინსტრუმენტალიზებული და არაკვალიფიციურ ღვთისმსახურთა ხელში ძალაუფლების სარგებლისა და აგრესიის იარაღად ქცეული, მსგავსადვეა სასულიერო მწერლობა უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე კვალიფიცირებულ ფილოლოგთა ხელში ინსტრუმენტალიზებული და პროტექციის იარაღად ქცეული. ესაა უმსგავსობა და რაც უნდა შევალამაზოთ ეს უმსგავსობა, ის მაინც ასევე დარჩება.

3. ჩვენი ძველი მწერლობის სპეციალისტები მოგვაგონებენ იესოსდროინდელ მწიგნობრებს, რომელთაც ბრწყინვალედ იცოდნენ თავიანთი წიგნები და მწერლობა, მაგრამ იქ, ე. ი. შიგნით ისინი სულით არ შედიოდნენ და შემავალთაც აბრკოლებდნენ.

4. ქრისტიანობა თავიდან აღიარების უდიდეს პრობლემებს სწორედ სპეციალისტებთან წააწყდა. წარმართული ღმერთების ქანდაკებათა გამომთლელი უამრავი ხელოვანი და ხელოსანი გაავებული ეკვეთა ახალ რელიგიას, რომელსაც მათი პროფესიული უნარები აღარ სჭირდებოდა. ხომ არ იქცა ჩვენი ძველი მწერლობაც ერთგვარ მეცნიერულ რელიგიად, რომლის სპეციალისტები მისგან თუ მისით კერპებს — გამოცდებსა და "პინგვინებს" — აქანდაკებენ და ასაღებენ?

5. იმედია, ამ სუბიექტურ მოსაზრებებს, რომელთაც ასულდგმულებს სურვილი, სასულიერო მწერლობას როგორმე მისი წართმეული მისია — სულის სამსახური დაუბრუნდეს — ცუდად არ გაიგებენ და სპეციალისტები თავიანთ რეგალიებს ეკლესიის ჰიპოდიაკვნებს არ გადააბარებენ. სულის სამსახური ფართო ცნებაა.

ერთი სიტყვით, ჩემი მეორე მოწოდებაა: დაუბრუნეთ სულიერი მწერლობა სულს — მას, ვისაც ის ეკუთვნის. არ შეიძლება ამ მწერლობის ინსტრუმენტალიზება. სხვა ხერხებითაც შეიძლება ძველი მწერლობის "დაფასება" — უფრო ღრმადაც და უფრო ვრცლადაც. ჩვენი მწერლობა ყველა ჰუმანიტარულ სპეციალობაზე უნდა შეისწავლებოდეს. შესაბამისი "გამოცდაც" უნდა იყოს, მაგრამ არა უნივერსიტეტში შესასვლელად, როგორც წინაღობა და დიქტატურა, არამედ თვით უნივერსიტეტში შტუდირებისას, მოწიფულ ასაკში, როგორც ეს ლათინურისა და ბერძნულის გამოცდაა ევროპულ უნივერსიტეტში.

მჯერა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ძველი მწერლობა თავის ფუნქციას შეასრულებს, მას კი არ შეიძულებენ მომავალი თაობები და სამუდამოდ კი არ მიატოვებენ, არამედ შეიყვარებენ და სამუდამო საკითხავად, სულის საზრდელად გაიხდიან.

სასულიერო მწერლობა, თავისთავად, გამოცდაა. თუ მასში სულს, გონსა და სიბრძნეს იპოვის, უსათუოდ კარგი იქნება მძებნელისათვის. მაშინ ის საკუთარ სულსაც იპოვის.

P. S. რას მისცემს, მაგალითად, ფსიქოლოგს ძველი ქართული მწერლობა? შემთხვევითი აღმოჩენა, ეს თუ აღმოჩენაა: იუნგის ცნობილი არქეტიპები — მისეული ფსიქოანალიზის საფუძველი — თითქმის, იმეორებს "აბოს წამების" კრიალოსანს: "კარ... გზა... ტარიგ... მწყემს". არის ეს იგივეობა შემთხვევითი? თუ არა, მაშ, რას ნიშნავს ეს? ვერ ამიხსნია, იქნებ ფსიქოლოგებმა ამიხსნან.

და, საერთოდაც, ბევრი რამ ვერ ამიხსნია. არ მინდა იმ "დაწესებულ ჯგუფებს" გავცდე, დავიჩემო "ჩემი სჯობსო" და ა. შ. ადამიანი დასაზღვრული არსებაა. ყოველთვის ორი "ჯგუფის", მაგალითად, აღწრდისა და განათლების ჩასობა განა ცოტა რამ მასალაა რელიგიის თუ ადამიანის ფსიქოლოგიისათვის? ნუთუ ყველაფერი, რაც ზემოთ ვთქვი, ასე უბრალო და მისაწვდომი, სხვებმა ჩემზე უკეთ არ იციან?

ნუთუ მხოლოდ კეთილი ნება არაა საჭირო, რომ ეს იალქნები — ლათინური და ბერძნული და მანამდე ან პარალელურად, ძველი ქართული აიშვას და ამოქმედდეს? განა ვერ ვხედავთ, რა ავისმომასწავებლად არყევენ ტალღები შემეცნების ზღვაში ასე უაზროდ და უორენტიროდ გახევებულ ჩვენს გემს განათლებისას?

აუხსნელია ჩვენი უმოქმედობა, აუხსნელი... ალბათ - მიუტევებელიც.

გააჩერეთ!... გააჩერეთ!...

კოტე მახარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლი

ზუსტად ერთი წელი შესრულდა, რაც ბატონი კოტე მახარაძე ჩვენს გვერდით აღარ არის. ამ თარიღთან დაკავშირებით, ბატონი კოტეს ხსოვნის პატივსაცემად, თეატრმა "ვერიკომ" თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-რადიო გადაცემათა წამყვანი–ჟურნალისტის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტების – ელენე გუნცაძის, ნანა კუპრაშვილის, თამარ კუჭუხიძის, ნია მეგრელაძის, ნატაშა შენგელაიას და სხვათა მონაწილეობით, წარმოადგინა ლიტერატურული სპექტაკლი – საღამო – "გააჩერეთ!... გააჩერეთ!..." სპექტაკლში გამოყენებულია ნაწყვეტები კოტე მახარაძის წიგნიდან "ორი ბატონის მსახური".

თავის დროზე, საავტორო ტელევიზიის კათედრა თეატრალურში კოტე მახარაძემ დააარსა. ამჟამად ამ საქმეს სოფიკო ჭიაურელი უძღვება. ლიტერატურული საღამო ამავე კათედრის მეოთხე გამოშვების სტუდენტებმა წარმოადგინეს. აღსანიშნავია, რომ საღამოს პრემიერა, რომლითაც სტუდენტებმა გამოცდა ჩააბარეს, გასულ წელს შედგა და ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ სპექტაკლი ამიერიდან თეატრ "ვერიკოს" მუდმივ რეპერტუარში შევა.

რაც შეეხება თავად სპექტაკლს, კოტე მახარაძის წიგნიდან გამოყენებული ნაწყვეტები, დიდი ილიას დიაგნოზისა არ იყოს – "ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?!"-ს თემას ავითარებს.

ილიასდროინდელი სიტყვები, აზრები და ვითარება ზუსტად ეხმიანება დღევანდელ სიტუაციას. მაშინაც არსებობდნენ სენსაციის მოყვარული გაზეთები, რომლებიც ლანძღვა-გინებას, "გიჟვრაცუა" და "რუსეთუმე" ეპითეტებს არ იშურებდნენ სულხან-საბასთვის, დავით გურამიშვილისთვის და სხვათათვის. გაზეთის ბოლოში კი უწყინარი ტონით მიანიშნებდნენ, – ავტორის მოსაზრებას რედაქცია, შეიძლება, არ იზიარებდესო.

სტუდენტების მიერ წარმოდგენილი საღამო-სპექტაკლი მათი სამსახიობო და ჟურნალისტური პროფესიის დებიუტად უნდა მივიჩნიოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი მაინც არ გამოეკიდებიან ყალბ სენსაციებს და არც სხვის საცვლებში დაიწყებენ ქექვას.

სხვაგვარად, ილიასეული დიაგნოზი – "ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!" - მარადიულ და შეუცვლელ დიაგნოზად დარჩება...

მოკლედ, გააჩერეთ!... გააჩერეთ!...

მოკლედ

„ჭინჭრაქა„ საახალწლოდ

ბავშვთა თავშესაფარი "ბელურების" აღსაზრდელები საახალწლოდ მაყურებლის წინაშე პრემიერით წარდგებიან. "ბელურები" წარმოადგენენ სპექტაკლს "ჭინჭრაქა", რომელსაც რეჟისორი გოჩა კაპანაძე დგამს.

როგორც რეჟისორმა განაცხადა, სპექტაკლზე მუშაობა უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს და მასში 20-მდე "მსახიობი ბელურა" მონაწილეობს. მართალია, სპექტაკლების დადგმა საკმაო თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, როგორც რეჟისორი ამბობს, ისინი კერძო ფირმების დაფინანსებით ამას მაინც ახერხებენ.

ჯერჯერობით უცნობია, პრემიერის ადგილი და დრო. მანამდე "ბელურები" საკუთარი ნამუშევრების საშობაო გამოფენას ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამართავენ და სტუმრებს საკუთარი ხელით შესრულებული სპეციალური მოსაწვევებით დაპატიჟებენ. **მედია-ნიუსი**

აქცია შარდენზე

ნინო ცინცაძე

გლდანის მეორე ინტერნატის 116 მოსწავლე ამ ზამთარს გამთბარ ოთახებში დაიძინებს, თუ ის ფული, რაც გუშინ შარდენის ქუჩაზე ამ პრობლემის მოსაგვარებლად შეგროვდა, საკმარისი აღმოჩნდება. თუ არადა, საქველმოქმედო აქციის მონაწილეები მათ სხვა პრობლემებს მოუგვარებენ, არადა პრობლემა მრავლად აქვთ...

ლევან ჩოხელიძის ფოტოები

ამ აქციის გასამართად სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები, დიდი ხანია, ემზადებოდნენ - იკრიბებოდნენ ერთმანეთთან სახლებში, იკრიბებოდნენ თავისუფლების ინსტიტუტში, იკრიბებოდნენ სასწავლებლებში, ამზადებდნენ და აგროვებდნენ სათამაშოებს, ხატავდნენ, იგონებდნენ თამაშებს. ეს ყველაფერი საინტერესოც უნდა ყოფილიყო, სახალისოც და, რაც მთავარია, ფულიც უნდა მოეტანა. ამგვარ აქციებზე შეგროვებული ფული, უკვე მესამე წელია, გლდანის მეორე ბავშვთა ინტერნატში ირიცხება. როგორც თსუ კურსდამთავრებულმა ლაშა ჩხარტიშვილმა გვითხრა, პირველ წელს ეს აქცია გლდანის ბავშვთა ინტერნატის დასახმარებლად ჩატარდა. შარშან დიღმის ბავშვთა სახლი აირჩიეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ პირველადი საჭიროების საკითხები უფრო მოგვარებულია. ამიტომ შარშანდელი შემოსავლის ნაწილი ისევ გლდანის ბავშვთა ინტერნატს გაუნაწილეს და წელსაც მათ ეხმარებიან. **“ფულს ანგარიშზე არ ვრიცხავთ ხოლმე. მივდივართ და ვეკითხებით, რა სჭირდებათ; ვადგენთ სიას, ჩვენვე ვყიდულობთ და ჩვენვე მიგვაქვს მათთვის. ვცდილობთ, გავაკონტროლოთ, რომ ჩვენი დახმარება დანიშნულებისამებრ გამოიყენონ. შარშან 200 წყვილი თეთრეული და თბილი წინდები შევუძინეთ. ამას გარდა, გათბობის პრობლემა მოვაგვარეთ იმ ოთახებში, სადაც დღისით არიან ხოლმე. თუმცა, იმ ოთახების გათბობას, სადაც ძინავთ ფული აღარ ეყო, თანაც იქ ამის გაკეთება რთულია, რადგან შენობის ეს ნაწილი ამორტიზებულია,”- გვითხრა ლაშა ჩხარტიშვილმა.**

შარდენის ქუჩა გუშინ ძალიან ცოცხალი იყო. აშკარად იგრძნობოდა, რომ ახალგაზრდები კარგ საქმეს აკეთებდნენ და თანაც იცოდნენ, ეს საქმე როგორ გაეკეთებინათ. იყიდებოდა წიგნები, ნახატები, სათამაშოები, იდგა სამოვარი ცხელი ჩაისთვის, იყო გლინტვეინი, ყავა, ნამცხვრები. ერთი კუთხეში ბავშვებისათვის ტანსაცმელი და სათამაშოები გროვდებოდა. ყველაზე დიდი პოპულარობით რევოლუციის დახლი სარგებლობდა, სადაც რევოლუციური სურათები, აუდიო კასეტები და გურიჩას გაკეთებული კომპიუტერული კარიკატურები იყიდებოდა. აქციაზე ხალხი ბევრი მოვიდა: უბრალო ადამიანები ბავშვებით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, იყვნენ ცნობილი სახეებიც - აჩიკო გულედანი, ვახო ბაბუნაშვილი და ა.შ. ემზარ ჯგერენაია, სოციოლოგი: **“სასიამოვნოა, რომ ეს აქცია არავის ნაკარნახევი არ არის და ახალგაზრდებისგან მოდის. აქ მე ჩვენს მომავალს ვხედავ, ადამიანებს, რომელსაც სხვისი დახმარება, სხვის გვერდით დგომა შეუძლიათ და ამიტომ თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ”**. თათა ცოფურაშვილი, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის მასწავლებელი: **“ძალიან კარგია, რომ ეს აქცია ერთჯერადი არ არის და რეგულარული სახე აქვს; წელს კიდევ უფრო კარგად არის ორგანიზებული, კარგი იქნება, თუ ასეთ აქციაში მხოლოდ სტუდენტები არ იქნებიან ჩართულნი და ისინიც მიიღებენ უფრო აქტიურ მონაწილეობას, ვისაც გაჭირვებული ადამიანების დახმარება უფრო სერიოზულად შეუძლია.”**

სტუდენტები მოქანდაკე ლევან დონაძის შექმნილ “კმარას” დიდ მუშტ-ყულაბას დაატარებდნენ. ლევან დონაძემ ამ აქციისთვის ლომიც გააკეთა, ეს ლომი შემდეგ აუქციონზე 4 ლარად გაიყიდა. ფულადი შესაწირის ყუთი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტს ანდრო გიგაურსაც დაჰქონდა. “ფულის მახის” ერთ-ერთ დახლთან 53-ე სკოლის მოსწავლე ელენე მებაღიშვილი და ფრანგული კოლეჯის სტუდენტი თამთა კახალეიშვილი იდგნენ. თამაშს, სახელით “არყის ჭიქა ქილაში,” თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი სანდრო გაბისონია უძღვებოდა - სამლიტრიან წყლით სავსე ქილაში არყის ჭიქა დგას, ქილაში ხურდას აგდებ და ცდილობ, ჭიქაში მოახვედრო. თუ მოახერხე, მაშინ ორ იმდენ ხურდას დაგიბრუნებენ, რამდენიც ჩააგდე, მაგრამ ეს ძნელია. ქუჩაში გვერდიგვერდ ორი “კონკურენტ-პარაკმახერი” მუშაობდა. ერთი ქართულ ნაწნავებს აკეთებდა, მეორე კი - აფრიკულს. მალაგიდან ჩამოსული შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტი ჰადიდა ამბობდა, რომ აქციაზე მეგობარმა დაპატიჟა და მასში მონაწილეობას სიამოვნებით იღებს. აფრიკელების გარდა, გუშინ შარდენის ქუჩაზე ბევრი სხვა უცხოელიც დაიარებოდა. შემდეგ მათ ქართული ხალხური სიმღერების მინი-კონცერტიც ჩაატარეს და ბავშვებისათვის რიგიანი ფული შეაგროვეს. მარკ მალენი, დემოკრატიული ინსტიტუტი: **“არაჩვეულებრივია, ახალგაზრდები გაჭირვებულ ბავშვებს რომ ეხმარებიან. მსგავსი აქციები ხშირად ტარდება დასავლეთში, განსაკუთრებით - მდიდარ დასავლურ ქვეყნებში, მაგრამ ამგვარი რამ აქაც რომ კეთდება, ქვეყანაში, სადაც ხალხს ბევრი ფული არა აქვს, თქვენს ხალხს ძალიან კარგი მხრით წარმოაჩენს.”**

პოლიტიკურ მოღვაწეებს აქციაზე მხოლოდ გიგი წერეთელი წარმოადგენდა: **“დღეს აქაურობა ნამდვილად ევროპული ცივილიზებული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს, რასაც ჩვენთან საკმაოდ იშვიათად შეიგრძნობ ხოლმე. მინდა, ჩემი წვლილიც შევიტანო და თანადგომა გამოვუცხადო იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ კეთილ საქმეს აკეთებენ. კარგია, რომ ამ საქმეს კონკრეტული ადრესატი ჰყავს და იმედია, ახალგაზრდების ასეთი აქტივობა სახელმწიფო მოხელეებსაც ცოტა შეგვაჯანჯღარებს”.**

გუშინდელ აქციაზე 3000 ლარი შეგროვდა. ეს ბევრი არ არის, მაგრამ არც ცოტაა იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც წესიერი საჭმელი და თბილ ოთახში დაძინება ენატრებათ.

ახალი ტექნოლოგიები კლასიკურ მხატვრობას ავიწროებენ

ხელოვნების მოყვარული მკითხველი უთუოდ შეშფოთდებოდა ერთი ახალი ამბით: როგორც ირკვევა, მოსახლეობის სოლიდური ნაწილი ერთმანეთისგან ვერ არჩევს მონესა და როლფ ჰარისს. თურმე, ბევრს ჰგონია, რომ ჟივერნის სანაპიროებზე წყლის შროშანებს თანამედროვე ავსტრალიელი შოუმენი და მხატვარი ხატავდა. არა, რასაკვირველია, უნდა ვაღიაროთ, რომ ორივეს - მონესაც და ჰარისსაც ჰქონდათ და აქვთ ჭაღარაშერეული წვერი, მაგრამ პრობლემის სერიოზულობას ეს გარემოება მაინც არ ამცირებს.

ასევე, დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის, თითქმის, ნახევარს წარმოდგენაც არ აქვს, თუ ვინ არის “მონა ლიზას” ავტორი (თუმცა, ერთი კაცი ფიქრობდა, რომ ავტორი ლეონარდო დი კაპრიოა). ამიტომ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა – არის თუ არა ეს მხატვრობის დასასრული? გააძევებს თუ არა მას სცენიდან არა ფოტოგრაფია (როგორც აქამდე წინასწარმეტყველებდნენ), არამედ საზოგადოების ინდეფერენტული დამოკიდებულება ძველი მხატვრობის მიმართ? გადაწყვეტს თუ არა მის ბედს ინფორმაციული ეპოქის გაუკუღმართებული გემოვნება?

თვითონ მხატვრობა ძალიან ძველი ტექნოლოგიაა. იმასაც ამტკიცებენ, რომ პრეისტორიული მხატვრობა წინ უსწრებდა მეტყველების განვითარებასაც. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად იზიარებთ ამ აზრს, მაგრამ ფაქტია, რომ კულტურა, მართლაც, დაიწყო გამოქვაბულის კედლებზე ბიზონებისა და მსგავსი ცხოველების გამოსახულებების ამოფხაჭვნით.

ჟურნალ “სფექთეითორის” მიმომხილველი კი ამტკიცებს, რომ მას შემდეგ ხელოვნებაში ბევრი არც არაფერი შეცვლილა. მეტიც, ზოგის აზრით, ხელოვნება კიდევ უფრო გაუარესდა. მაგალითად, ხუან მირო სულ იმეორებდა, რომ “გამოქვაბულის ხელოვანთა” დროიდან მხატვრობა დეკადენტური გახდა. მართალია, დამკვიდრდა ხატვის სხვადასხვა ტექნიკა, მაგრამ ისეთიც არაფერი, ძველ მხატვრებს რომ ვერ გაეგოთ.

გარი ჰიუმი 1990-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხატვარი ხშირად ამბობდა, რომ თვითონ გამოქვაბულის დროინდელ ადამიანს ჰგავს, რომელიც კედლებზე ხატავს. რა თქმა უნდა, ეს მეტაფორული ნააზრევი გახლდათ, რადგან ჰიუმის ნახატები ვენეციის ბიენალეზე, “ტეიტში” და საატჩის გალერეაში უფრო ხშირად ჩნდებოდა და არა გამოქვაბულების ნესტიან და ბნელ კედლებზე. თუმცა, აზრობრივად ჰიუმი მაინც მართალი იყო.

ამასობაში დროის მოთხოვნილებებისა და სიახლეების შესაბამისად, სულ უფრო ხშირად ვითარდებოდა მხატვრობის ტექნიკა. ვიდეოხელოვანები, მაგალითად, ამერიკელი ბილ ვიოლა ტექნიკური შესაძლებლობების წინა “ფრონტზე” გამაგრდნენ და მიმდევრებიც გაიჩინეს. იმავე ვიოლას გამოფენა 2003 წლის შემოდგომაზე ლონდონის ეროვნულ გალერეაში მიმდინარეობდა – იმ დარბაზებში, სადაც გაზაფხულზე ტიციანი იყო გამოფენილი.



სხვა თანამედროვე მხატვრების ხელოვნება კი ძლივს განირჩევა მხატვრული ფილმებისგან. მაგალითად, მეტიუ ბერნის ეპიკური ფილმები გავიხსენოთ – მის ვიდეოხელოვნებას აქვს ყველაფერი, რაც ნამდვილ კინოს – თანმხლები მუსიკის ალბომი, ვარსკვლავი მსახიობები და დეტალურად გათვლილი ბიუჯეტი (მხატვრული ფილმისგან ბერნის შემოქმედებას მხოლოდ კარგად ჩამოყალიბებული სიუჟეტი და დიალოგები თუ აკლია). პარალელურად, სულ უფრო მოდური ხდება საუნდ-არტი და ფოტო-არტი, ვირტუალური რეალობის არტი და საშემსრულებლო არტი. ამ ფონზე კი მით უფრო მწვავდება კითხვა – რა უნდა დაუპირისპიროს, რით უნდა გაუწიოს კონკურენცია “გამოქვაბულის მხატვარმა” ანდა ღორის ჯაგრით დამზადებული ფუნჯითა და პალიტრით შეიარაღებულმა ძველმა ოსტატმა ამ სიახლეებს?

ვერაფრით – ასეთია კრიტიკოსთა საერთო მოსაზრება, რომელიც ვენეციის ბიენალეზეც ხშირად გაისმოდა. მოძრავი და ინტერაქტიული გამოსახულებებით გაჯერებულ ეპოქაში ძველი ოსტატების მხატვრობა, სხვა თუ არაფერი, უადგილოდ გამოიყურებაო, – ამტკიცებდნენ ისინი და იქვე დასძენდნენ, - ცოტა ხანში ტიციანი და რემბრანდტი იშვიათ არქეოლოგიურ ექსპონატებად იქცევა და მათთან, მათ ტრადიციასთან კავშირს თანამედროვე ხელოვანები საერთოდ გაწყვეტენო.

თუმცა, ალბათ, არც ასე ტრაგიკულადაა საქმე. თანამედროვე ხელოვანები ხომ ხშირად ძველი მხატვრობიდან იღებენ შთაგონებას. იგივე ბილ ვიოლაც, რაც უნდა ჰაი-თექი იყოს ის, ნაციონალურ გალერეაში სულ სხვა მიზეზით მოხვდა – მისი ნამუშევრები ბელინის, ბოსხისა და პონტორმოს ნამუშევრებზეა დაფუძნებული.

აქედან გამომდინარე, ძალზე მტკივნეულად, ალბათ, არც ის ფაქტი უნდა მივიღოთ, რომ მოსახლეობის ნახევარი “მონა ლიზას” ავტორს ვერ ცნობს. სამაგიეროდ, მეორე ნახევარი ხომ პარიზში მოგზაურობს და გრძელ რიგებში ლოდინსაც უძლებს, რომ როგორმე “მონა ლიზას” მოჰკრას თვალი. თანაც, ზუსტადაც რომ თვალი მოჰკრას – ამ ყველაზე სახელგანთქმულ პორტრეტთან ლუვრში ხომ სულ იმდენი ხალხი ირევა, რომ ძალიანაც რომ მოინდომო, დიდხანს ვერ გაჩერდები – ერთი მუჯლუგუნით გვერდზე გაგწევენ და ვერაფრით შეძლებ ისე დააკვირდე ნახატს, როგორც საჭიროა – ნელა და მშვიდად.

მეტიც, აურაცხელი მნახველი არა მხოლოდ “მონა ლიზას,” არამედ ბევრ ძველ ოსტატს ჰყავს. ინტერესი მათი შემოქმედების მიმართ დღემდე ისეთი ცხოველია, რომ ხშირად გამოფენებზე ტევა არ არის. მაგალითისთვის, პარიზში მიმდინარე მეორე გამოფენა ავიღოთ – “გოგენი ტაიტიზე”. ექსპოზიციაზე დასასწრები ბილეთები ხომ ჯერ კიდევ გახსნამდე გაიყიდა. ასე რომ, ძველ მხატვრობას საფრთხე არ ემუქრება. ტრეისი ემინსა და დანარჩენ მოდერნისტებსაც თავიანთი თაყვანისმცემლები ჰყავთ.

ჯეი ლოს ნაცვლად ჯარისკაცებთან

ბენ აფლეკი დღესასწაულებს სამხედროებთან ერთად გაატარებს. ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი შეყვარებულ ჯენიფერ ლოპესს სახლში დატოვებს, რათა თვითონ შობასა და ახალ წელს სპარსეთის ყურეში ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად შეხვდეს.

აფლეკი შვარცნეგერთან და ბრიუს უილისთან ერთად ჩავა სპარსეთის ყურეში იმისათვის, რომ როგორც იტყვიან, საბრძოლო განწყობა აამაღლოს სამხედროებს შორის და მხარი დაუჭიროს მათ. ამას აგრდა, აფლეკი სამხედროებს აუცილებლად აჩვენებს თავის ახალ ფილმს Paycheck.

ამ ცნობამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა თემა – აპირებენ თუ არა ოდესმე აფლეკი და ლოპესი დაქორწინებას? მსგავს შეკითხვაზე ინტერვიუში ბენ აფლეკმა იხუმრა, მაგრამ კონკრეტული არაფერი უთქვამს. მსახიობმა განაცხადა, რომ რადგანაც მასაჩუსეტის შტატში მიღებულია ჰომოსექსუალთა ჯვრისწერა, გადაწყვიტა მეგობარ მეტ დეიმონზე იქორწინოს. ხუმრობას ჯერჯერობით არ გამოხმაურებია მეტ დეიმონი.

კეიჯი საჩუქრებს იღებს

მართალია, ნიკოლას კეიჯი 2004 წლის დასაწყისში გახდება 40 წლის, მაგრამ ცნობილ მსახიობს უკვე დაწყებული აქვს იუბილეს აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებები. კეიჯმა პირველ ასეთ მიღებაზე შეკრიბა ჰოლივუდის ცნობილი პერსონები, ისეთები, როგორებიც არიან: ჯეკ ნიკოლსონი, უორენ ბიტი და დემი მური (წვეულებაზე მური თავის ახალ მეგობართან ეშტონ კატჩერთან ერთად მივიდა). თუმცა, ყველაზე ეფექტური შავ პონიზე ამხედრებული კეიჯის ბებია იყო. როგორც ჩანს, ბებიამ შვილიშვილს ბავშვობისდროინდელი თხოვნა დაგვიანებით შეუსრულა.

“ოქროს გლობუსი” მუსიკოსებისთვის

კომპოზიციები ელტონ ჯონის, სტინგის, ედი ვებერის (ჯგუფიდან Pearl Jam), ბონოსა და ენი ლენოქსის შესრულებით კატეგორიაში “საუკეთესო სიმღერა”, კინემატოგრაფიულ პრემიაზე, “ოქროს გლობუსზეა” წარდგენილი. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 25 იანვარს ლოს ანჯელესშია დაგეგმილი. როგორც ცნობილია, ამ პრემიას “ოსკარის” ყველაზე დიდ კონკურენტად მიიჩნევენ ჰოლივუდელები. წლევანდელ ცერემონიალზე ტრიუმფატორების ყველაზე მეტი პერსპექტივა გააჩნიათ: ტრილოგია “ბეჭდების მბრძანებლის” ფინალურ ნაწილს; ასევე ფილმებს: “უკანასკნელი სამურაი”, “ამერიკიდან” და “ცივი მთა” - ისინი ყველაზე მეტ ნომინაციაზე არიან წარდგენილნი.

მოკლედ

აუზში ფრანცისკასთან

ფრანცისკა ვან ალმსიკი აუზში უცნობ მამაკაცებთან ერთად ნებივრობს.

ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, გერმანელი მოცურავე ფრანცისკა ვან ალმსიკი მხოლოდ წმინდა სპორტული შედეგიანობით არ გამოირჩევა. 25 წლის მომხიბვლელი ფრანცისკა ყოველი გერმანელი მამაკაცის ოცნების ქალია.

უკანასკნელ ხანს ფრანცისკა აქტიურად ჩაერთო საქველმოქმედო საქმიანობაში. ის უპატრონო ბავშვებს ეხმარება. ამ საქმიანობაში კი თავისი გარეგნობითაც სარგებლობს. თანხის მოზიდვის მიზნით, ფრანცისკა ვან ალმსიკი ეგრეთ წოდებულ ფასიან პაემნებს უნიშნავს უცნობ ადამიანებს, შემოსული თანხით კი ბავშვებს ეხმარება.

ერთ-ერთი ასეთი "აუქციონი" ვან ალმსიკმა ინტერნეტის მეშვეობით გამართა. ერთ-ერთ ვებგვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომლის მიხედვითაც, მამაკაცებს ფრანცისკა ვან ალმსიკთან ერთად მთელი დღის განმავლობაში აუზში ნებივრობის საშუალება მიეცემოდათ. ერთადერთი ბედნიერი მამაკაცი კი ის აღმოჩნდებოდა, ვინც ამ სიამოვნების სანაცვლოდ ყველაზე მეტს გადაიხდიდა. მამაკაცს, რომელმაც აუქციონზე გაიმარჯვა, ვან ალმსიკთან აუზში ნებივრობა 2321 ევრო დაუჯდა. ამ ბედნიერი ადამიანისგან განსხვავებით, შეხვედრით უკმაყოფილო დარჩა თავად ფრანცისკა. უცნობი მამაკაცი მეტად შეუხედავი აღმოჩნდა, თუმცა, ჩემპიონი უფრო იმან აღაშფოთა, რომ ამ ადამიანს მასთან შეხვედრა მხოლოდ 2321 ევრო დაუჯდა. ფრანცისკა, თურმე, ვარაუდობდა, რომ აუქციონით ის, დაახლოებით, 11 ათას ევროს მიიღებდა.

ფორმულა 1 ერაყით დაინტერესდა

2004 წლიდან ფორმულა 1-ის პილოტებს საკუთარი ბოლიდებით ქროლვა ორ ახალ გრან-პრიზე - ბაჰრეინისა და შანხაის ეტაპებზე მოუწევთ. მთლიანობაში კი მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენად 18 ეტაპი იქნება საჭირო, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე საჯინიბოს მრბოლმა ნაადრევად არ გაიანაღდა პირველობა, რისი არაერთი მაგალითიც არსებობს.

მალაიზია, ბაჰრეინი, შანხაი – დროთა განმავლობაში სამეფო რბოლები უფრო ეგზოტიკური ხდება. ფორმულა 1-ის მამები კი, ეტყობა, ამაზე შეჩერებას არ აპირებენ და "ახალი მიწების" დაპყრობა განუზრახავთ. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი იდეითაა შეპყრობილი ფორმულა 1-ის მხცოვანი იმპრესარიო ბერნი ეკლსტოუნი. სამეფო რბოლების ბოსს მსოფლიოს უსწრაფესი სპორტის სახეობის ახალ ქვეყნებში შეტანა სურს. ირკვევა, რომ ეკლსტოუნს ძალზე იზიდავს ნავთობითა და, შესაბამისად, მილიარდებით გაჯერებული აღმოსავლეთის ქვეყნები. ეს ქვეყნები კი იმითაცაა მიმზიდველი, რომ იქ თამბაქოს რეკლამას არ კრძალავენ.

"ფორმულა 1 საუდის არაბეთთან, კუვეიტთან და ომანთან თანამშრომლობითაა დაინტერესებული. ახალი ბაზარია ერაყიც, სადაც გრან-პრის გამართვა ამჯერად ძნელი აღარ იქნება", - ახალ სტრატეგიას გვამცნობს ეკლსტოუნი და იქვე დასძენს, რომ ამ საქმეში აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის მისაბაძი უნდა გახდეს ბაჰრეინი: "მემკვიდრე პრინცი შემპირდა, რომ ფინანსებზე იზრუნებს. მე ისღა დამრჩენოდა, ტრასის მშენებლობისთვის მიმედევნებინა თვალყური".

TV-სპორტი

ორშაბათი. 22 დეკემბერი

НТВ+ФУТБОЛ

08:30 NBA TV - NBA შიგნიდან
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: რედ ჰოლზმენი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. "ვიტესი" – "პსვ"
15:10 იტალიის ჩემპიონატი
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 ესპანეთის ჩემპიონატი
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. "ტოტენჰემი" – "მანჩესტერ იუნაიტედი"
20:45 საფებურთო უიკ-ენდი
21:30 სახვალიო ტელეპროგრამა
21:35 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 იტალიის ჩემპიონატი
01:10 "FUTBOL MUNDIAL"
01:40 01:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:30 NBA TV - NBA შიგნიდან
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. "CHICAGO BULLS" - "UTAH JAZZ". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ

11:00, 14:00, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "ST. LOUISRAMS" - "CINCINNATI BENGALS"
14:40 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "PHILDALEPHIA FLYERS" – "NEW YORK ISLANDERS"
17:15 ჭადრაკი. "საჭადრაკო მიმოხილვა"
17:45 "NHL - პლუს"
18:00 ჰოკეი. ევროტური. "ბალტიკის თასი". რუსეთი - ფინეთი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "რკინის ფაქტორი". ფიტნეს ოლიმპია 2003. ნაწილი მეორე
21:00 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" ფინეთში. ნაწილი პირველი
21:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
22:00 პროფესიული კრივი. ვლადიმირ კლიჩკო – დენელ ნიკოლსონი
00:00 "NHL - პლუს"
00:15 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "ST. LOUIS RAMS" - "CINCINNATI BENGALS". შესვენებისას (01:00) ახალი ამბები
02:45 "რკინის ფაქტორი". ფიტნეს ოლიმპია 2003. ნაწილი მეორე

EUROSPORT

11:30 თავგადასავალი. გალუაზის რეიდი ყირგიზეთში
12:00 ექსტრემალური სპორტი
13:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
14:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
15:15 მძლეოსნობა. 2003 წლის საუკეთესო მომენტები
17:00 ცხენოსნობა. კონკური ლონდონში
18:30 მულტისპორტი. ევროსპორტის 50 საუკეთესო პროგრამა
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
21:00 ფეხბურთი. ევროგოლები
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი აშშ-ში
23:00 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი ლონდონში
00:15 მხედრული ორთაბრძოლები
02:15 ფეხბურთი. ევროგოლები
02:45 ჩოგბურთი. მასტერსის თასი აშშ-ში
03:45 მულტისპორტი

ფეხბურთი

რვა თვე რიოს გარეშე

ფერდინანდი 8 თვით ჩამოაშორეს ფეხბურთს

რიო ფერდინანდი თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა. REUTERS

ინგლისის ნაკრები ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე თავისი წამყვანი მცველის გარეშე გაემგზავრება. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით, "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი, ინგლისის ყველაზე ძვირად ღირებული მცველი, რიო ფერდინანდი რვა თვით დისკვალიფიცირებულია.

დამოუკიდებელი სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელიც "ფერდინანდის" საქმესთან დაკავშირებით გაიმართა, ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 23 სექტემბერს "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი დოპინგ-ტესტზე არ გამოცხადდა და თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ ტესტზე მისვლა, უბრალოდ, დაავიწყდა. თუმცა, ფერდინანდის ასეთი განმარტება არც ინგლისის საფეხბურთო ასოციაციისა და არც სხვა ორგანიზაციებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ფეხბურთელს თურქეთის წინააღმდეგ ინგლისის ნაკრების მატჩში მონაწილეობა აუკრძალეს, თუმცა, ეროვნული პირველობის შეხვედრებში ფერდინანდი კვლავინდებურად განაგრძობდა თამაშს. "დამნაშავის" მიმართ ასეთმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ FIFA-ს პრეზიდენტის, ზეპ ბლატერის გულისწყრომა გამოიწვია.

ფერდინანდის საქმის განხილვა არაერთხელ გადაიდო, საბოლოოდ კი მაინც შედგა. დამოუკიდებელმა კომისიამ თავისი ვერდიქტი გუშინწინ გამოიტანა: დოპინგ-ტესტზე გამოუცხადებლობის გამო რიო ფერდინანდი 8 თვით იქნა დისკვალიფიცირებული. ეს დისკვალიფიკაცია 2004 წლის 12 იანვრიდან შევა ძალაში. გარდა ამისა, ჯარიმის სახით ფეხბურთელს 50 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდაც დააკისრეს.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სასჯელი ბევრს ზედმეტად მკაცრად ეჩვენება, საერთაშორისო ანტისადოპინგო სააგენტოს ხელმძღვანელის, დიკ პაუნდის თქმით, კომისიის გადაწყვეტილებით ფერდინანდი კმაყოფილი უნდა იყოს. პაუნდი აცხადებს, რომ კომისია ფეხბურთელს "მეტად ლოიალურად მოექცა". არსებული კანონების მიხედვით, ფეხბურთელი, რომელიც დოპინგ-ტესტს აარიდებს თავს, ისევე ისჯება, როგორც დოპინგის მომხმარებელი. დოპინგის მოხმარებისთვის კი ფეხბურთელი დაახლოებით ორწლიანი დისკვალიფიკაციით ისჯება ხოლმე.

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე ფერდინანდთან ერთად "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონი და ფეხბურთელი ნიკი ბატი გამოცხადდენ. თუმცა, ფერდინანდისადმი მათი თანადგომა კომისიის ვერდიქტზე ვერაფრით აისახა.

თავად "დამნაშავემ" მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არავითარი კომენტარი არ გააკეთა, თუმცა, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ფერდინანდის მიერ სხდომაზე წარმოთქმული ფრაზა გამოაქვეყნა: "კომისიამ დოპინგ-ტესტზე გამოუცხადებლობა მეტისმეტად სერიოზულ დანაშაულად მიიჩნია და ამის გამო მკაცრად დამსაჯა".

ფერდინანდისგან განსხვავებით, საჯარო განცხადებებით გამოვიდნენ "მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლები. სხდომის დამთავრებისთანავე მათ განაცხადეს, რომ თავიანთი ფეხბურთელის დასაცავად სააპელაციო საჩივარს შეტანენ. "სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით მეტისმეტად უკმაყოფილო ვართ. მათი ვერდიქტი არაადამიანური და უპრეცედენტოა. ამიტომ იძულებული ვართ, გადაწყვეტილება გავასაჩივროთ. რიომ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მის მხარეს ვართ, მას ჩვენი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს", - განაცხადა "მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორმა, მორის უოტკინსმა.

რიო ფერდინანდს, თავისი კლუბის გარდა, გულშემატკივართა იმედიც უნდა ჰქონდეს. "მანჩესტერის" ქომაგები კომისიის გადაწყვეტილებით არანაკლებ აღშფოთებულნი არიან. "ფერდინანდის დისკვალიფიკაციით მეტისმეტად უკმაყოფილო ვარ. "მანჩესტერის" ხელმძღვანელობა მართალია, როდესაც აცხადებს, რომ ვერდიქტი არაადამიანურია. ფერდინანდი ჩვენი დაცვის ბურჯია და მისი არყოფნა ნეგატიურად აისახება გუნდზე. რაც შეეხება თავად ფეხბურთელს, ყველაზე დიდი შოკი მისთვის ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება იქნება. ეჭვი არ მეპარება, კომისიის გადაწყვეტილებაზე იმოქმედა ბლატერმა, რომელსაც, უკვე დიდი ხანია, ფეხბურთიდან რიოს ჩამოცილება უნდოდა", - აცხადებს "მანჩესტერის" ერთერთი ქომაგი. ზოგიერთი გულშემატკივარი კიდევ უფრო შორს მიდის და ფერდინანდის დისკვალიფიკაციაში, ბლატერთან ერთად, ლონდონის "ჩელსის" რუს მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩსაც ადანაშაულებს - თითქოს აბრამოვიჩმა სადისციპლინო კომისია მოქრთამა...

კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის ფერდინანდს 14 დღე აქვს. თუ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ კომისია თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის, ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე თავისი საუკეთესო მცველის გარეშე გაემგზავრება.

როგორ ჩაიარა 2003 წელმა

შემაჯამებელი ინტერვიუები სპორტის ვარსკვლავებთან

ნინო პირველი

ათი დღეც აღარ დარჩა ახალი წლის დადგომამდე. სულ მალე კიდევ ერთი წელი იქცევა ისტორიის საკუთრებად. 2003 წელი ზოგისთვის, ალბათ, ძალიან კარგი იყო, იმდენად კარგი, რომ ენანებათ კიდეც მასთან განშორება. ზოგსაც მეტად ცუდად დაამახსოვრა თავი. რას ვიზამთ, კარგი იყო თუ ცუდი, რაც ამ წელს მოხდა, იმას ვერაფერი წაშლის. 2003 წელი, ალბათ, არაფერ შუაშია. თუ ის მშვენიერი იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ თავად გავილამაზეთ ცხოვრება, თუ ულიმღამოდ ჩაიარა, ამაშიც ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავე – ალბათ, ისე ვერ მოვიქეცით, რომ ყოველი დღე დღესასწაული ყოფილიყო. ცხოვრება თავისთავად არც მშვენიერია და არც საზარელი. ადამიანები თავად ქმნიან ორივე ეფექტს. მშვენიერებაც მათგან მოდის და სიმახინჯეც. მოდით, ერთად გადავხედოთ, როგორი იყო ეს წელი მსოფლიო სპორტის რამდენიმე ვარსკვლავისთვის. ვინ ინატრებდა მშვენიერი წამის სამუდამოდ შეჩერებას და ვის ეჩქარება ახალი წლის დადგომა...

"მომავალ წელს ნომერ პირველი გავხდები!"

ამას რაინერ შიუტცლერი ამბობს, დღეისთვის ყველაზე წარმატებული გერმანელი ჩოგბურთელი, რომელმაც აწ უკვე გასული სეზონი მეექვსე ადგილზე დაამთავრა. შიუტცლერი ბედს ნამდვილად არ უჩივის. 2003 წელი მისთვის შესანიშნავი იყო. მართალია, ვერც ერთი დიდი ტურნირი ვერ მოიგო: ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ფინალში დამარცხდა ანდრე აგასისთან, უიმბლდონს მეოთხედფინალიდან გამოეთიშა, მასტერისის ტურნირზე კი ნახევარფინალში ისევ ანდრე აგასისთან წაიტეხა კისერი. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, შიუტცლერისთვის 2003 წლის სეზონი მაინც წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. სხვა რომ არაფერი, მაინც ის რად ღირს, ახლანდელ ნომერ პირველ ჩოგანს, ამერიკელ ენდი როდიკს რომ მოუგო ჰიუსტონში, უამრავი გულშემატკივრისა და ამერიკის ექს-პრეზიდენტის თვალწინ. მოკლედ, შიუტცლერი მეტად კმაყოფილია წლევანდელი წარმატებებით და იმედით მოელის 2004 წელს...

- ეს წელი, რომელიც თქვენთვის საკმაოდ წარმატებული იყო, ნელ-ნელა იწურება. როგორ შეაჯამებდით განვლილ სეზონს?

- ეს სენსაციური წელი იყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სეზონს მეექვსე ადგილზე დავასრულებდი. ავსტრალიის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველას დამარცხება შემეძლო. ამ სეზონმა შესანიშნავად ჩაირა, მაგრამ ძალიან გადამღალა კიდეც წლის ბოლოს. ასეთი გამოფიტული არასოდეს ვყოფილვარ.

- დასვენება თუ მოასწარით?

- ათი დღით ვიყავი მაიამიში. მართლაც, კარგად დავისვენე. მთელი დღე ოკეანის პირას ვიწექი. საღამოობით კი წვეულებებზე დავდიოდი. სხვათა შორის, ტომი ჰაასიც იქ იყო. ჩემს ცხოვრებაში პირველად მოვახერხე სრული განტვირთვა. ამ ათი დღის განმავლობაში ჩოგანს საერთოდ არ გავკარებივარ.

- ახალი სეზონისთვის როგორ ემზადებით?

- ფიზიკურ კონდიციებს ვიუმჯობესებ, კვირაში სამჯერ ტაეკვანდოს გაკვეთილებს ვიღებ, რათა უფრო მოძრავი და მოქნილი გავხდე. მეექვსე ადგილი აღარ მაკმაყოფილებს, უფრო ზევით მინდა ასვლა. ვინც საუკეთესო ათეულში მოხვდა, ის პირველ პოზიციასაც შეწვდება.

"ხშირად მინატრია, ნეტა, ნიღბის მორგება შემეძლოს-მეთქი"

ნიღბით სახის დაფარვის მსურველი რუდი ფიოლერი გახლავთ, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. რა ქნას, საბრალომ, ოთხმოცმილიონიან ქვეყანაში კაცი არ არის, მას რომ არ იცნობდეს. გერმანელებს ფეხბურთი ძალიან უყვართ და, რაკი ბოლო დროს ბუნდესნაკრები წარუმატებლობას უფრო ხშირად იმკის, ვიდრე ბრწყინვალე გამარჯვებებს, გულშემატკივრები და ჟურნალისტები უდანაშაულო რუდიზე იყრიან ჯავრს. ამიტომაც ნატრობს ჰერ ფიოლერი ნიღბებს...

- ისლანდიასთან ჩატარებული უფერული მატჩის შემდეგ თქვენ თავი ვეღარ შეიკავეთ და გულში დაგროვილი ბოღმა ტელეკამერების წინ გადმოანთხიეთ. ხშირად ბრაზდებით ასე?

- არა. რაინერ კალმუნდი, რომელიც კარგად მიცნობს ჯერ კიდევ ლევერკუზენის "ბაიერიდან", გაოცებული დარჩა, როცა ასე გაბრაზებული მნახა.

- სახლში როგორი ხართ?

- წყნარი. თუ ოდნავ ხმას ავუწევ, ჩემი მეუღლე მაშინვე მეუბნება, თავი ნაკრებში ნუ გგონიაო. სახლში განტვირთვა აუცილებელია. ზოგჯერ ღამე ფეხბურთი მესიზმრება ხოლმე.

- თქვენს მეუღლეს უყვარს ფეხბურთი?

- რა გითხრათ, სხვა გზა არცა აქვს... მართლია, ზაბრინა იტალიელია, მაგრამ მაინც გერმანიის ნაკრებს გულშემატკივრობს. როცა იტალიასთან ვაგებთ, ის ჩემთან ერთად განიცდის.

- რომელ ენაზე საუბრობთ ოჯახში?

- მე გერმანულად. ზაბრინა ხანდახან იტალიურად ელაპარაკება ბავშვებს. ახლა უკვე აღარ უჭირს, ისწავლა გერმანული. ჩვენთან ორივე ენა მიღებულია. იტალიურ ტელეარხებს სიამოვნებით ვუყურებ და ყოველთვის ვიცი, რა ხდება იტალიაში.

- თქვენი ბიჭები - 11 წლის კევინი და 9 წლის ბრაიანი "ბაიერის" ბავშვთა გუნდში თამაშობენ. რას ამბობს გუნდის მთავარი მწვრთნელი, როცა მის ვარჯიშებს ზოგჯერ ბუნდესნაკრების ხელმძღვანელი ესწრება?

- როცა ჩემს შვილებთან მივდივარ, მოშორებით ვამჯობინებ ყოფნას. ხშირად მინატრია, სახეზე ნიღაბაფარებულს მევლო ყველგან...

"ევენტუსში" რომ იყოს, აქამდე "ოქროს ბურთს" მიიღებდა"

ვინ არის ამ ქათინაურის ადრესატი? რა თქმა უნდა, კაცი, რომელიც სერია A-ს ბოლო ტურის გმირად იქცა. "რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ "ემპოლის" ორი გოლი გაუტანა და, მილანელებისა და ტურინელების გულის გასახეთქად, ფაბიო კაპელოს გუნდი შემოდგომის ჩემპიონად აქცია. "ოქროს ბურთის" მოპოვების ღირსად კი რობერტო მანჩინიმ მიიჩნია. ფაბიო კაპელომ მხოლოდ ძუნწად შეაქო თავისი კაპიტანი, იმის მიუხედავად, რომ ძალიან ბედნიერი იყო ამ საშობაო საჩუქრით.

- არდადეგებზე შესანიშნავი განწყობით მიდიხართ. ელოდით ასეთ შედეგს?

- რა თქმა უნდა. დღეს ჩვენ საოცარი "რომა" ვნახეთ, ყველა ფეხბურთელი შესანიშნავი იყო. ვიცოდი, რომ რთული მატჩი იქნებოდა. "ემპოლი" ძალიან ტექნიკური გუნდია და კარგად თამაშობს საკუთარ მოედანზე. ბიჭებმა თავი არ დაზოგეს, რომ რომში სამი ქულით დავბრუნებულიყავით.

- ტოტი განუმეორებელი იყო, არა?

- დიახ, მაგრამ, მოდი, ნურავის გამოვყოფთ. ტოტი კაპიტანია და მას სხვებზე მეტად მოეთხოვება გამარჯვებისთვის ბრძოლა. ძალიან მიხარია, რომ სწორედ მან შეძლო გოლების გატანა, მაგრამ სხვებს რომ ცუდად ეთამაშათ, ეს არ მოხდებოდა.

- ამ სეზონში "სკუდეტო" თქვენი იქნება?

- ამ იმედით მივდივარ არდადეგებზე. უკვე ორი სეზონია, ჩემპიონები აღარ გავმხდარვართ. უკვე დროა, გავახაროთ ტიფოზები...

ინფოთეკა

ფეხბურთი. ჩეხეთში წლის სპორტსმენად ტურინის "იუვენტუსის" ფეხბურთელი პაველ ნედვედი აღიარეს. მან მოთხილამურე მარტინ კუკალასა და ჰოკეისტ მილან ჰეიდუკს აჯობა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ტურინის "იუვენტუსში" უახლოეს მომავალში შეიძლება არგენტინელი ლეგიონერი გადავიდეს. იტალიაში გადასვლას "სან-ლორენცოს მცველი გონსალო როდრიგესი აპირებს. ტურინში ჩასვლის დიდი იმედი თვითონ 19 წლის ფეხბურთელსაც აქვს. ვარაუდობენ, რომ "იუვე" ფეხბურთელში 4 მილიონ დოლარს გადაიხდის.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "ჩელსის" ირლანდიელი ლეგიონერი დამიენ დაფი 2-3 კვირით გამოვიდა მწყობრიდან. "ფულემის" წინააღმდეგ მატჩში მას მხარი ეტკინა. "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ დაფის ტრავმა გუნდისთვის დიდი დანაკლისია. რანიერიმ ისიც აღიარა, რომ "ჩელსის" ძირითად შემადგენლობაში დროდადრო დაფის არყოფნას მისი 84 წლის დედაც აკრიტიკებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფრანც ბეკენბაუერი გამოვიდა ინიციატივით, ბუნდესლიგაში ლეგიონერებზე ლიმიტი შემოიღონ. "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში "კაიზერ ფრანცმა" განაცხადა, რომ ლეგიონერთა სიმრავლე სერიოზულ ზიანს აყენებს გერმანიის ეროვნულ ნაკრებს. ამასთან, ბეკენბაუერი მიიჩნევს, რომ ცვლილება ევროკავშირის დონეზე უნდა მოხდეს. ბეკენბაუერმა მიუხედავად "ბაიერნსაც" გაჰკრა კბილი. მისი აზრით, "ბაიერნის" ფეხბურთელები საკუთარ თავში დარწმუნებულები არ არიან.

■ ■ ■

ფეხბურთი. კიევის "დინამომ" კონტრაქტი გაუფორმა "ბორისფენის" ნახევარმცველ რუსლან ბიდნენკოს. კონტრაქტი 5-წლიანია. 22 წლის ფეხბურთელზე გერმანიის "ვერდერი" და საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი" აცხადებდნენ პრეტენზიას. ბიდნენკომ თავის ახალ კლუბში 33 ნომერი უკვე მიიღო.

■ ■ ■

ფეხბურთი. ეგვიპტე იმედოვნებს, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა ქვეყნის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრმა ალი ედდინ ხილიალმა. მინისტრმა მოაწყო ქვეყნის იმ სტადიონების პრეზენტაცია, რომლებიც უფლების მოპოვების შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს უმასპინძლებენ. ეგვიპტის კონკურენტები არიან მაროკო, ტუნისი, ლიბია და სამხრეთ აფრიკა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ეგვიპტის პოზიციები საკმაოდ მყარია. ქვეყანას აქვს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი 12 სტადიონი. მრავალრიცხოვან სასტუმროებში 130 000 ნომერია მომზადებული. ამას გარდა, მთავრობა მზად არის, მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის 1,5 მილიარდი დოლარი გამოყოს. "მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა მთელი ქვეყნის ოცნება გახდა", - ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა.

■ ■ ■

